# საარჩევნო „ომი“ დამთავრდა, გეშინოდეთ „მშვიდობის!“


# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 22 იანვარი, 2008 წელი.

№ 11 (5869)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika ფასი 50 თეთრი.




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბრძოლის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

## არც ახლა გჯერათ, რომ გაყალბდა?!

ეუთოს სადამკვირვებლო მისიის არჩევნების შემდგომი შუალედური ანგარიში

OSCE 5-6

## უსინდისობა თუ დანაშაული? 8

## 4 დიდი დღეა დღეს, მარიკა! უდიდესი დღე!!!

## სააკაშვილი ისევ ხელებს იწვდის „ჩრდილოელი მეზობლისკენ“ 10



## ინაუგურაციული მელოდია მაგრებისა და ჯიბრებისთვის 2

## ულეგიტიმო ხელისუფლების ლეგიტიმური ოპოზიცია 3

## შავი სტატისტიკა: ჟურნალისტებს აპატიმრებენ, ხოცავენ... 12

**● სააკაშვილის აზრით, დაპირისპირების დრო და ფუფუნება საქართველოს არა აქვს. ერთიანი და ძლიერი საქართველოს ასაშენებლად ხელი ხელს ჩავკიდოთ და მხარდამხარ დავდგეთ შრომასა და ბრძოლაშიო, ოპოზიციის მისამართით განაცხადა...**



**◎ 20 იანვარი თბილისში**

# ინაუგურაციული მელოდია მაგრებისა და ჯიგრებისთვის

**საქართველოს მესამე პრეზიდენტის მეორე ვადით არჩევის ინაუგურაციის ცერემონიალს თბილისი ორად გაყოფილი შეხვდა. ვინც ლევან გაჩეჩილაძეს მისცა ხმა, ის იპოდრომისკენ მიიჩქაროდა, ხოლო სააკაშვილის მომხრეები პარლამენტის შენობის წინ შეიკრიბნენ. ინაუგურაციის სცენარით მიხეილ სააკაშვილი ფიცის დასადებად პარლამენტის შენობიდან კი არა, ხალხიდან უნდა ასულიყო ტრიბუნაზე. ასეც მოხდა – პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის ნინო ბურჯანაძის გულისამაჩუყებელი სიტყვის შემდეგ, ვინც იქ შეკრებილთა სახელითაც ახალარჩეულ პრეზიდენტს საქართველოს გაერთიანება და გამთლიანება უსურვა, ხალხის რიგებიდან გამოჩენილმა მიხეილ სააკაშვილმა ფიცი დასდო საქართველოს კონსტიტუციაზე.**

ძნელი სათქმელია, რას განიცდიდა იმ წუთებში გელათიდან, დავით აღმაშენებლის საფლავიდან ჩამოსული, გულზე ხელმიდებული ახალი ძველი და კარგად ნაცნობი პრეზიდენტი, მაგრამ მისი საკმაოდ ვრცელი გამოსვლა ხალხზე თავგადაკლული ხელისუფალის ემოციით იყო აღსავსე, ხოლო ეს დღე – არა თვითკმაყოფილებისა და თავმოწონების ტრიუმფი, არამედ ხალხისთვის თავდადების დღე.

„ახლა ვდგავარ თქვენს წინაშე არა როგორც ერთი პარტიის, არამედ მთელი ერის წარმომადგენელი, ერისა, რომელსაც მტკიცედ აერთიანებს რწმენა, რომ ერთიანი ძალებით ჩვენ შეგვიძლია დავიცვათ სამშობლო, ვაქციოთ იგი თავისუფალ, ერთიან და ძლიერ სახელმწიფოდ. ეს არის პასუხისმგებლობა და მიზანი, რომელიც ჩვენს ხალხს აერთიანებს და ჩვენი ძალა ჩვენს ერთიანობაშია. როგორც პრეზიდენტი, მე გეკუთვნით თქვენ – საქართველოს ხალხს, თითოეულ თქვენგანს. ჩემი მოღვაწეობა ეძღვნება ჩვენი ხალხის, ჩვენი კონსტიტუციის დაცვას და პატივისცემას“.

ვერ გეტყვით, რამდენჯერ ახსენა სააკაშვილმა თავის გამოსვლაში ხალხი, მაგრამ იგი პირველი საპრეზიდენტო ვადისა და ამჟამინდელი ვადის მთავარ საზრუნავად წარმოგვისახა.

ჩემი პრეზიდენტობა პირველ ვადაშიც ტრიუმფის ნაცვლად ხალხის იმედების გასამართლებლად თავის გადადებით დაიწყოო, ჩვენს ხალხს ვარდების რევოლუციის მოსავალი ჯერ სრულად არ აუღიაო, ანუ ეს საქმე სანახევროდ უკვე ადგილიდან დაძრულია და ძლევამოსილ რთველს ოთხ წელიწადში მოვიმკით. თუ, რა თქმა უნდა, განახლებული და კოსმეტიკურად შელამაზებული ხელისუფლება ისევ არ მოსწყდა ხალხს და იმედები ისევ არ გაუცრუა. თუ ინაუგურაციის დაპირებები ფუჭ სიტყვებად არ იქცა და ხელთ ფასადური დემოკრატია არ შემოგვაჩეჩეს. სახელმწიფოს ფასადურმა მშენებლობამ და, ასევე, ფასადურმა დემოკრატიამ განაპირობა სწორედ ხალხის მძაფრი პროტესტი და ქვეყანაში არსებული ორხელისუფლებიანობა.

ძნელი სათქმელია, რას ფიქრობდა სააკაშვილი იპოდრომზე შეკრებილ ხალხზე, ვინც საკუთარ პრეზიდენტად ლევან გაჩეჩილაძეს მიიჩნევდა, მაგრამ ოპოზიციის მიმართ მადლიერება ხმამაღლა გამოხატა: „მინდა, მივმართო ყველას, ვინც მონაწილეობდა და მონაწილეობას მიიღებს გასულ და მომავალ არჩევნებში. ჩვენ შეიძლება ხშირად განვსხვავდებოდეთ ჩვენი იდეებით, მაგრამ ერთნი ვართ საქართველოს სიყვარულში, ერთნი ვართ დემოკრატიისა და თავისუფლებისათვის თავდადებაში... მე გადავდგამ ქმედით ნაბიჯებს, რათა უზრუნველვყო ოპოზიციის უფრო სოლიდური მონაწილეობა ძირითადი სახელმწიფო ინსტიტუტების მუშაობაში. ჩვენ დასაკარგი ქართველები არა გვყავს, მიუხედავად მათი პოლიტიკური შეხედულებებისა...“

სააკაშვილის აზრით, დაპირისპირების დრო და ფუფუნება საქართველოს არა აქვს. ერთიანი და ძლიერი საქართველოს ასაშენებლად ხელი ხელს ჩავკიდოთ და მხარდამხარ დავდგეთ შრომასა და ბრძოლაშიო, ოპოზიციის მისამართით განაცხადა...

მან ოპოზიციას მოუწოდა ჩაერთონ სიღარიბის გარეშე საქართველოს მშენებლობაში, სააკაშვილი აპირებს აპრილამდე, ანუ 50 სამუშაო დღეში, ახალი პროგრამის წარდგენას, რომლის მიხედვითაც ამოქმედდება ყველა მექანიზმი ახალი სამუშაო ადგილების შესაქმნელად, დაიწყება იაფი კრედიტების გაცემა. აპრილისთვის უკვე დაიდება პენსიების 100 დოლარამდე გაზრდის ზუსტი ეტაპობრივი გეგმა, საქართველოს ბიუჯეტსა და კანონმდებლობაში ასახული. „ამ დროისთვის უკვე შეიქმნება სიღარიბის დაძლევის ეროვნული კომისია, რომელშიც მსურს ვიხილო არა მხოლოდ მთავრობის, არამედ ოპოზიციის წარმომადგენლებიც“, – დაასკვნა სააკაშვილმა.

მეორე ვადით არჩეულმა პრეზიდენტმა ილაპარაკა, აგრეთვე, ქვეყნის გამთლიანებაზე და, სამწუხაროდ, კონფლიქტების ხსენებისას, თავის გამოსვლაში ცხინვალის რეგიონი ორჯერვე „სამხრეთ ოსეთად“ მოიხსენია. მან ხაზი გაუსვა ქართველი ხალხის ევროატლანტიკურ ორიენტაციას. „ჩვენი ევროატლანტიკური ორიენტაცია არ ეწინააღმდეგება არც ერთი ჩვენი მეზობლის ინტერესს, ეს არ არის მიმართული რომელიმე ჩვენი მეზობლის გაუცხოებაზე. ჩვენ უნდა ვიაროთ წინ, და გახსოვთ, 4 წლის წინათ ჩვენ ყველამ ერთად გავუწოდეთ მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელი რუსეთს. მინდა, დღეს იგივე გავიმეორო და კვლავ ვუწვდი პარტნიორობის ხელს ჩვენს ჩრდილოელ მეზობელს – ჩვენ უნდა ვიმეგობროთ, ჩვენ უნდა დავახლოვდეთ, ჩვენ უნდა დავდგეთ ერთად“.

ამ სიტყვებს ისმენდა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი, რუმინეთის, პოლონეთის, ბალტიისპირეთის ქვეყნების პრეზიდენტები, 23 ქვეყნის სამთავრობო და საპარლამენტო დელეგაციები, ასევე, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის მოადგილის თანაშემწე მეთიუ ბრაიზა და ამერიკის ვაჭრობის მინისტრი (ავადმყოფობის გამო, უკრაინის პრემიერმინისტრის ნაცვლად, ინაუგურაციას ქვეყნის ვიცე-პრემიერი დაესწრო).

ინაუგურაციას მიეძღვნა 40-წუთიანი სამხედრო აღლუმი, რომელსაც ხელმძღვანელობდა საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის უფროსი, პოლკოვნიკი ზაზა გოგავა. აღლუმი მიიღეს შეიარაღებული ძალების მთავარსარდალმა მიხეილ სააკაშვილმა, თავდაცვის მინისტრმა დავით კეზერაშვილმა და ზაზა გოგავამ.

აღლუმში 2500 ქვეითი მონაწილეობდა, ასევე, გაიმართა ჯავშანტექნიკის საარტილერიო დანადგარების დემონსტრაცია. აღლუმის დროს თბილისის ცაზე 15 საფრენი აპარატი გამოჩნდა.

ინაუგურაციის სცენარით გათვალისწინებული თოვლი არ მოვიდა, მაგრამ ხალხმა და სტუმრებმა თეთრი და წითელი ქოლგები მაინც გაშალეს. ვარდების ხელისუფლების მოტრფიალე ინტელიგენციამ და შოუბიზნესის მოწკრიალე მომღერლებმა კმაყოფილებმა დატოვეს საზეიმო ცერემონიალი. იგივეს განიცდიდა მიხეილ სააკაშვილის ოჯახი – სანდრა რულოვსი და მისი ორი ვაჟი, ეს ზეიმი განსაკუთრებით უხაროდა პატარა ნიკოლოზ სააკაშვილს.

ჩვეული სიდარბაისლითა და სიმშვიდით გამოიყურებოდა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II.

საქართველოს მზე კი ყველას ერთნაირად დაჰნათოდა – პარლამენტის შენობის წინ და იპოდრომზე შეკრებილთაც. მზე ყველასთან იყო, ვინც გაიძახოდა – მიშა მაგარიაო და იმათთანაც, ვისთვისაც ლევანი იყო ჯიგარი!... თბილისის თავზე კი ერთი დიდი კითხვის ნიშანი ეკიდა – როგორ გაერთიანდებოდა ერი, თუ თეთრსა და შავს თავისი სახელი არ დაერქმეოდა?

**თამარ შაიშმელაშვილი**

№ 11. სამშაბათი, 22 იანვარი, 2008 წელი.

**◎ ინფორმაცია**

## ლავროვი კათალიკოს-პატრიარქს ეწვია

**რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი, რომელიც თბილისში საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ინაგურაციაზე იმყოფებოდა საქართველოს კათალიკოს-პარტიარქს, უწმიდესსა და უნეტარესს ილია მეორეს შეხვდა.**



საპატრიარქოში გამართულ შეხვედრაზე მისი უწმინდესობა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრს ორ ქვეყნას შორის ურთიერთობის გაუმჯობესების აუცილებლობაზე და წლების განმავლობაში არსებულ მეგობრული ურთიერთობების აღდგენის შესახებ ესაუბრა.

პატრიარქმა სურვილი გამოთქვა, რომ ორ ქვეყანას შორის არსებული პრობლემები ვლადიმერ პუტინის პრეზიდენტობის ვადაში მოგვარდეს.

პატრიარქი ლავროვს სავიზო რეჟიზე, ეკონომიკურ ემბარგოსა და ტერიტორიული მთლიანობის პრობლემებზე ესაუბრა.

– ტერიტორიული საკითხი საქართველოსთვის მთავარია და მიმაჩნია, რომ რუსეთს შეუძლია ამ საკითხში აქტიური მონაწილეობა. დიდი სურვილი მაქვს, რომ პრობლემები გადაწყდეს ვლადიმერ პუტინის პრეზიდენტობისას, რომელსაც ჩვენ დიდ პატივს ვცემთ, – განაცხადა პატრიარქმა.

## შეხვედრა დახურულ კარს მიღმა

**საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე ესტონეთის პრეზიდენტს ტომას ილვესს შეხვდა.**

შეხვედრა დახურულ კარს მიღმა თითქმის ერთი საათის განმავლობაში გაგრძელდა, თუმცა პროტოკოლით მისთვის 20 წუთი იყო განკუთვნილი. შეხვედრის შემდეგ კომენტარი გააკეთა ნინო ბურჯანაძემ და აღნიშნა, რომ ესტონეთი საქართველოს მხარდამჭერი ქვეყანაა, რისთვისაც ქვეყანას და პირადად პრეზიდენტ ილვესს მადლობა გადაუხადა.

ბურჯანაძის განცხადებით, შეხვედრისას მხარეებმა ესტონეთის მხრიდან მხარდაჭერის გაგრძელებასა და ქვეყანაში არსებულ პრობლემებზე ისაუბრეს.

**ჯი-ეიჩ-ენი**

## დღეს, ამერიკის საელჩოსთან...

**ხალხის პარტიის ლიდერი კობა დავითაშვილი დღეს , 14 საათზე ამერიკის საელჩოსთან აქციას გამართავს. ამის შესახებ კობა დავითაშვილმა პრესკონფერენციაზე განაცხადა.**

მისივე თქმით, აქციის მიზანია მსოფლიო საზოგადოებისა და მასმედიის ყურადღების მიპყრობა, მათი სწორი ინფორმირება, რათა მხარი არ დაუჭირონ საქართველოში ჩატარებულ ფალსიფიცირებულ საპრეზიდენტო არჩევნებს და მიხეილ სააკაშვილს.

დავითაშვილმა სააკაშვილი პრესკონფერენციაზე მიხეილ როდიონოვად მოიხსენია.

ხალხის პარტიის ლიდერის განცხადებით, ფალსიფიცირებულ არჩევნებს დემოკრატიული სწორედ აშშ-ს ადმინისტრაციამ უწოდა.

**ინტერპრესნიუსი**

# საით?!.

● თავად ხალხი კი, ვინც არჩევნები რეალურად მოიგო, ბუნებრივია, უფრო მეტს ხედავს, ვიდრე საერთაშორისო დამკვირვებლები



◉ მომისმინეთ!

## არჩევნები ჩავატარებინოთ გაეროს, ევროკავშირს და ეუთოს და არა – ცესკოს

გააყალბეს საპრეზიდენტო არჩევნები, გააყალბებენ საპარლამენტო არჩევნებსაც. (ხელისუფლება არჩევნების გაყალბების მრავალწლიანი უკურნებელი სენით არის დაავადებული). ჩავატარებინოთ არჩევნები გაეროს, ევროკავშირს და ეუთოს ერთობლივად, და არა ცესკოს, რათა ერთხელ და სამუდამოდ მშვიდობა ნახოს საქართველომ. 2005 წლიდან უშუალოდ ამ ორგანიზაციების მიერ ჩატარებულმა არჩევნებმა გაამართლა რუმინეთში, ინდოეთში, ჰაიტზე, ნიკარაგუაში, კამბოჯაში და ბევრ პოლიტიკურად არასტაბილურ ქვეყანაში.

ერი მართლაც დაიღალა. 15 წელია მოვდივართ „ძირს – გაუმარჯოს" ყვირილით. დავემშვიდობოთ „წითელას" ანუ კომუნისტურ წარსულს.

დავძლიოთ სიჯიუტე და ვიყოთ ბრძენნი.

გულწრფელი პატივისცემით,

**ბიძინა სავანელი,**

პროფესორი, მეცნიერებათა დოქტორი, სამართლის და სოციოლოგიის ევროპული ასოციაციის წევრი (პარიზი), ადამიანის უფლებათა დაცვისა და სწავლების ცენტრის პრეზიდენტი (თბილისი), ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი (ნიუ-იორკი), „სოლიდარობა განათლებული საქართველოსთვის" ვიცე-პრეზიდენტი (თბილისი), ადამიანის უფლებათა ფილოსოფიური საზოგადოების დამფუძნებელი წევრი (ნევადა)

◉ ინფორმაცია

## პრეზიდენტო, დაგვიბრუნეთ შვილი!

ცხინვალის დროებითი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის დიმიტრი სანაკოევის ოჯახი საქართველოს ახლადარჩეულ პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს ღია წერილით მიმართავს და მათი შვილის სამშობლოში გაშვებას სთხოვს.

გაზეთ „იუჟნაია ოსეტიაში" დაბეჭდილ წერილში, ტამერლან სანაკოევის ოჯახი სააკაშვილს თხოვნით მიმართავს, დიმიტრი სანაკოევის გარშემო „ბინძური კამპანია" შეწყვიტოს.

სანაკოევები აცხადებენ, რომ მათ შვილი ღალატის ტრადიციით არ გაუზრდიათ და მის ქმედებებს, რომელსაც, მათი თქმით, დიმიტრი სანაკოევს ქართული სპეცსამსახურები აიძულებენ, მშობელი ხალხის ღალატად აფასებენ.

– ჩვენი უახლოესი ადამიანის სიტყვების გამო ვწითლდებით. თქვენი პროპაგანდა ჩვენს შვილს საკუთარი ხალხის პატრიოტად წარმოაჩენს, მაგრამ ოსების აზრით, ის მოღალატეა, რადგან დღეს ის ჩვენი ხალხის გაერთიანების მრავალსაუკუნოვანი ოცნების წინააღმდეგ გამოდის. მისი განცხადებები არა ხელისუფლების, არამედ ჩვენი რესპუბლიკის მოქალაქეების, მათ შორის ჩვენს წინააღმდეგ არის მიმართული, – ნათქვამია ღია წერილში.

სანაკოევების ოჯახის თქმით, ტელევიზიითაც კი ჩანს, რომ მათ შვილს იმ სიტყვების წარმოთქმა უჭირს, რომლის თქმასაც მას აიძულებენ. ამასთან, დიმიტრი სანაკოევის ოჯახი აღნიშნავს, რომ იგი არავის წარმოადგენს და მის უკან არავინ დგას.

– ოსი ხალხის აზრი თქვენ შესანიშნავად იცით და ხალხი არ მიიღებს არც მას და არც თქვენ. სიტყვებს, რომელსაც იგი იძულებით იმეორებს, აქ არავინ იჯერებს, არ ვიჯერებთ უპირველესად ჩვენ, მაგრამ თუ მას მართლაც სურს ჩვენი ხალხის სწრაფვას ხელი შეუშალოს იცოდეთ, რომ იგი მთელი ოსი ხალხის მტრად დარჩება. როგორი მტკივნეულიც არ უნდა იყოს, მასზე ჩვენც კი უარს ვიტყვით, – აცხადებს დიმიტრი სანაკოევის ოჯახი.

ღია წერილში ასევე ნათქვამია, რომ მას შემდეგ, რაც დიმიტრი სანაკოევის ქართველების „მხარეზე გადასვლის შესახებ" გამოცხადდა, მან ოჯახს სულ რამდენჯერმე დაურეკა და ძალიან უცნაური ხმა ჰქონდა.

– მას რომ საშუალება ჰქონდეს, უფრო ხშირად დაგვირეკავდა. ბატონო მიხეილ გთხოვთ, გამოუშვით იგი, ცხოვრებას ნუ უნგრევთ, ნუ არცხვენთ მის ახლობლებს, მას თქვენთვის არაფერი დაუშავებია. მიეცით მის ოჯახს და ხალხს მშვიდად და ღირსეულად ცხოვრების საშუალება, – ნათქვამია ღია წერილში.

ინტერპრესნიუსი

◉ SIC!

*საქართველო რომ კონტრასტების უმაგალითო, ამერიკელებისა და რუსებისთვის თანაბრად შეუცნობადი ქვეყანაა, ამაში ბოლო საპრეზიდენტო არჩევნებმა კიდევ ერთხელ გადაგვარწმუნა. ერთადერთი, ვინც ვერ დარწმუნდა საკუთარი ქვეყნისა და ხალხის ამოუწურავ ფანტაზიასა და შესაძლებლობებში, თავად პრეზიდენტი სააკაშვილი გახლავთ, რომელიც ინაუგურაციის შემდეგაც კი განცვიფრებულია ბოლო პერიოდის საქართველოში მომხდარი სასწაულებრივი ცვლილებებით.*

## ულეგიტიმო ხელისუფლების ლეგიტიმური ოპოზიცია

რაც არ უნდა დაუჯერებელი იყოს, ეს ცვლილებები უპირველესად აისახა არა ეკონომიკისა და ხალხის კეთილდღეობის ზრდაში, როგორც ეს ხელისუფლებას სურს დაგვარწმუნოს, არამედ ოპოზიციური ძალების არნახულად მომძლავრებაში. იმ ძალებისა, რომლის „ხრინწიანი ხმა" საპარლამენტო სხდომებსა თუ სესიებზე ამ რამდენიმე თვის წინათ თვით უზენაესი კანონმდებელი ლედის უსათნოეს ყურამდეც ძლივს აღწევდა. აღარაფერს ვამბობ პრეზიდენტზე, რომელიც ოპოზიციის სისუსტეს იმდენად განიცდიდა, რომ საქვეყნოდ გახმაურებული საზღვარგარეთული მოგზაურობების პერიოდში სირცხვილით თავი გარეთ ვერ გამოეყო.

არადა რამდენი რამ ჰქონდა სატრაბახო (რასაც შიგადაშიგ, ძალზე იშვიათად თუ ახერხებდა) – აყვავებული ეკონომიკა, რომელიც ბოლო წლებში პერმანენტულად 10–12 პროცენტით და მეტითაც იზრდებოდა, კიდევ უფრო აყვავებული დემოკრატია, ნატოს სტანდარტების შესაბამისი სამხედრო ძლიერება, დაკარგული ტერიტორიების შემოერთების მოახლოებული რეალობა და რა აღარ. ერთადერთი სუსტი მხარე, რაც საერთაშორისო სარბიელზე უკან ეწეოდა საქართველოს რეიტინგსა და ღირსებას, იყო არაკონკურენტუნარიანი ოპოზიცია, რომლის უნარი და პროფესიონალიზმი კონკურენტუნარიანი ხელისუფლების დონეს კოჭებამდეც ვერ სწვდებოდა.

და აი, ერთ მშვენიერ დღეს, როცა მოწმენდილ ცაზე ღრუბლის ნაფლეთიც კი არ ჩანდა, მოულოდნელად იქუხა და ამ ჩვენმა სუსტმა და უღონო ოპოზიციამ ხელისუფლებას ისეთი ცეცხლი შეუნთო (ზედ ზოლიც მიაყოლა), რომ ტახტიდან გადმოვარდნას ძლივს გადაურჩა. ერთი სიტყვით, ბევრი რომ არ გავაგრძელო, ჩვენ ნაციონალ ლიდერებთან (სახელების ჩამოთვლას არ შევუდგებით) არა ერთი და ორი „დუტას ზღაპრების" პერსონაჟებს დაემსგავსა, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ იქ ყველაფერი კეთილად მთავრდება, ამ შემთხვევაში კი ბევრი მათგანი, როგორც ჩანს, ახლო მომავალში 5 იანვარს ჩატარებული ცრუარჩევნების მშობიარობას გადაჰყვება.

**ასე იქცა არაკონკურენტუნარიანი ოპოზიცია კონკურენტუნარიანად, რომელიც ხალხის მშვიდობიანი მანიფესტაციის დარბევის შემდეგ კიდევ უფრო მოღონიერდა და ხელისუფლებასთან ერთად კონკურენტუნარიანი არჩევნების თანაავტორი გახდა. ამის გამო აღფრთოვანებას ვერ მალავს ხელახლა გაპრეზიდენტებული სააკაშვილი, რომელიც ოპოზიციის სისუსტით ერთ დროს გულგატეხილ ოპონენტს გამარჯვებას ულოცავს და სამომავლოდ ქვეყნის მართვაში თანამშრომლობას სთავაზობს. არჩევნების შედეგებით დიდად კმაყოფილია საერთაშორისო დემოკრატიული საზოგადოებრიობაც, რომელიც ხელისუფლების მიერ „მოგებულ" არჩევნებში სიყალბის მხოლოდ უმნიშვნელო ელემენტებს ხედავს.**

თავად ხალხი კი, ვინც არჩევნები რეალურად მოიგო, ბუნებრივია, უფრო მეტს ხედავს, ვიდრე საერთაშორისო დამკვირვებლები. მას მიაჩნია, რომ არჩევნები კი იყო კონკურენტუნარიანი, მაგრამ არ იყო დემოკრატიული და ლეგიტიმური. ამიტომაც, მათი აზრით, არჩევნებში „დამარცხებული" ოპოზიცია უფრო ლეგიტიმურია, ვიდრე „გამარჯვებული" ხელისუფალი. ხელისუფლებას ხმა მისცა ძირითადად სახელისუფლებო რესურსმა და დაშინებულმა ან ვაუჩერებითა და საჩუქრებით მოქრთამულმა საზოგადოების ნაწილმა. **აქტიურ ნაწილს, რომელიც აცნობიერებს ქვეყნის სამომავლო ამოცანებს, მოძალადე და უზურპატორი ხელისუფლებისთვის ხმა არ მიუცია.**

ამიტომაც არავის გაკვირვებია, როცა დედაქალაქში მიხეილ სააკაშვილის ინაუგურაციამდე რამდენიმე დღით ადრე მოხდა ოპოზიციის ლიდერის – ლევან გაჩეჩილაძის „სახალხო ინაუგურაცია". თავად სააკაშვილს კი, რომელსაც პრეზიდენტობის პირველ ვადაში ოპოზიციის სისუსტის სირცხვილი სწვავდა, შეიძლება ითქვას, მეორე ვადაში იმავე ოპოზიციის გაძლიერებამ გაცილებით მეტი თავსატეხი გაუჩინა.

შარშანდელი თოვლივით გაქრა პრეზიდენტის უტეხობა, ხისტი პოლიტიკური რიტორიკა, ამპარტავნობა და თვითნებობა. ყველასგან მოულოდნელად იგი კაკლის მურაბასავით დატკბა, დაშაქრდა, ხალხში გავიდა, აქამდე ბედის ანაბარად მიტოვებული მშიერ-ობოლნი გულში ჩაიხუტა, მეცნიერებისა და კულტურის ცნობილ მოღვაწეებს შეხვდა და გამურაბებული პრეზიდენტი ერთ დროს „ჩასარეცხად" გამზადებულ პროფესიონალებსა და სპეციალისტებს აზრს დაეკითხა.

რაც მთავარია, ქუჩის აქციების შემდეგ, პრეზიდენტს, რომელიც თავისი მმართველობის პირველ ოთხ წელიწადში გზებისა და შადრევნების მშენებლობას იყო გადაყოლილი, გაახსენდა, რომ ხალხი დაუსაქმებელი და მშიერი ჰყავს და წინასაარჩევნოდ მოსახლეობის გულის მოსაგებად ისროლა ყოვლისმძლე ლოზუნგი – „საქართველო, სიღარიბის გარეშე!" ეს დაპირება სხვა ადრინდელი დაპირებებივით, საპნის ბუშტივით რომ არ გასკდეს, პრეზიდენტი გამოყოფს იაფ კრედიტებს, გახსნის უამრავ ახალ საწარმოს, სადაც ხალხს დაასაქმებს, საზღვარგარეთის ქვეყნების ნაცვლად ივლის ჭოპორტში, გორში, გურჯაანში, მოიყვანს პომიდვრის, ვაშლის, ყურძნის უხვ მოსავალს და ქვეყანას დააპურებს.

შეძლებს თუ არა სააკაშვილი ჭოპორტის პომიდვრით სიღარიბის დამარცხებას, ამის ამოცნობა ალბათ ნათელმხილველ ლელა კაკულიასაც კი გაუჭირდება. რაც შეეხება ამერიკის პოლიტიკას საქართველოში, ის კარგა ხანია ამოცნობილია, მაგრამ ამ არჩევნების შემდეგ კიდევ უფრო ცხადი გახდა, რომ ჩვენი ოკეანისგაღმელი პარტნიორები მხარს უჭერენ არა ხალხის არჩევანს, არამედ თავიანთთვის სასურველ ხელისუფლებას. **მათ სურთ ისევე მართონ საქართველო, როგორც ლათინური ამერიკა. ჩვენი პრეზიდენტის საყვარელი გამოთქმა რომ ვიხმაროთ, ეს არის და ეს, არც მეტი, არც ნაკლები.**

**ოთარ ხუციშვილი**



# ნაარჩევნებს

**• ხალხი მივიდა იპოდრომზე იმიტომ, რომ ხელისუფლებისთვის ეთქვა: მიუხედავად იმისა, რომ რუსთაველზე ხუთიანით „დამშვენებული“ „მარშუტკების“ პარადი შსს-ს „კობრების“ პარადმა შეცვალა, ჯერ ყველაფერი არ დამთავრებულა**



**ხალხი მოვიდა იპოდრომზე იმიტომ, რომ ეთქვა, ჩვენ არამც თუ არ გვეშინია, არც გავჩერდებით.**

№ 11. სამშაბათი, 22 იანვარი, 2008 წელი.

## ◎ ინფორმაცია

### ოპოზიციის წარმომადგენლები გერმანიის სახელმწიფო მინისტრს შეხვდნენ

ერთიანი ეროვნული საბჭოს წარმომადგენლები სალომე ზურაბიშვილი, ლევან გაჩეჩილაძე და ჯონდი ბაღათურია სასტუმრო „თბილისი მერიოტში“ გერმანიის სახელმწიფო მინისტრს გერმუნდ ერნერს შეხვდნენ.

როგორც შეხვედრის დასრულების შემდეგ სალომე ზურაბიშვილმა განაცხადა, გერმანიის მთავრობის წარმომადგენელს მათ მიაწოდეს ინფორმაცია იმ მოვლენების შესახებ, რაც 5 იანვრის არჩევნებსა და შემდგომ პერიოდში საქართველოში მოხდა.

– ჩვენ გავუზიარეთ ჩვენი შეხედულებები და ის პროტესტი, რაც გვაქვს საარჩევნო დარღვევების გამო. ვისაუბრეთ იმაზე, რომ საქართველოში უნდა აღდგეს დემოკრატიული პროცესები, წინააღმდეგ შემთხვევაში, განვითარება შეუძლებელია, – განაცხადა სალომე ზურაბიშვილმა.

ლევან გაჩეჩილაძის თქმით კი, ერთ კვირაში გაერთიანებული ოპოზიცია გამოაქვეყნებს სამომავლო გეგმას, სადაც აღნიშნული იქნება, მიიღებენ თუ არა ისინი საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობას.

– ჩვენი მოთხოვნაა, ტელევიზია დაუბრუნდეს ხალხს, საარჩევნო კანონმდებლობაში შევიდეს ცვლილებები, აღდგეს საქართველოში სამართლიანი სასამართლო. იმ შემთხვევაში, თუ არ დაკმაყოფილდება ჩვენი მოთხოვნები, საპარლამენტო არჩევნებს ბოიკოტს გამოვუცხადებთ, – განაცხადა ლევან გაჩეჩილაძემ.

გერმანიის სახელმწიფო მინისტრმა კი მოკლე კომენტარი გააკეთა და აღნიშნა, რომ მას არ შეეძლო, საქართველოში ჩამოსულიყო და ოპოზიციის წარმომადგენლებს არ შეხვედროდა.

### აჭარაში არჩევნების ცალკე ჩატარებას ითხოვენ

ოპოზიციურმა პარტიებმა გუშინ ბათუმში ერთობლივი ბრიფინგი გამართეს.

„კონსერვატორები“ და „რესპუბლიკელები“ საქართველოს პარლამენტს მოთხოვნებს უგზავნიან. ისინი ითხოვენ, აჭარის უმაღლესი საბჭოს არჩევნები ჩატარდეს მისი უფლებამოსილების ვადის ამოწურვისთანავე, კონსტიტუციურ ვადაში, 2008 წლის ზაფხულის დასაწყისში.

–აჭარის უმაღლესი საბჭოს არჩევნები ჩატარდეს ცალკე და არა საქართველოს პარლამენტის არჩევნებთან ერთად, როგორც ეს დაგეგმილია. აჭარის უმაღლესი საბჭოს არჩევნები ჩაატაროს აჭარის უმაღლესმა საარჩევნო კომისიამ და არა ცესკომ, როგორც ეს დაგეგმილია. აჭარის უმაღლესი საარჩევნო ადმინისტრაცია დაკომპლექტდეს პარტიული პარიტეტით, – ნათქვამია მათ მოთხოვნაში.

ამასთან, „კონსერვატორები“ და „რესპუბლიკელები“ არ აკონკრეტებენ, აჭარის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში ცალკე მიიღებენ მონაწილეობას თუ გაერთიანებული ოპოზიციის ეროვნულ საბჭოში შემავალ პარტიებთან ერთად.

– კონსულტაციები ამ საკითხზე დაწყებულია. აჭარაში თბილისში მიღებული გადაწყვეტილების კოპირება არ მოხდება – აღნიშნეს მათ.

ინტერპრესნიუსი

## ◎ საქართველო იპოდრომზე

**ტელეკომპანია „იმედის“ ეთერით (თუ გახსოვთ, იყო ასეთი ტელეკომპანია საქართველოშიძ გადიოდა იუმორისტული სერიალი „შუა ქალაქში“. იმ სერიალის ერთ-ერთი გმირის ირაკლის საყვარელი გამოთქმა – „დიდი დღეა დღეს, მარიკა! უდიდესი დღე!“ ზუსტად შეეფერებოდა 2008 წლის 20 იანვარს.**

ძალიან „დატვირთული“ თვეა იანვარი საქართველოს მოსახლეობისთვის. ახალი წელი, არჩევნები, შობა, შემდეგ არჩევნების შედეგებზე ნერვიულობა, შემდეგ ისევ ახალი წელი, შემდეგ ინაუგურაცია (დილითძ და კიდევ „ინაუგურაცია“ (შუადღისას, ოღონდ იპოდრომზეძ.

საოცარი ხალხი ვართ ქართველები. არც ერთი ქვეყნის მოსახლეობა არ ხვდება ახალ წელს და არ ატარებს არჩევნებს ისე, როგორც საქართველოს მოსახლეობა. დილით ე.წ. „პახმელია“, შუადღისას მიტინგი (ან აქციაძ, საღამოს „მორიგი“ ახალი წელი, დილით ისევ „პახმელია“ დ.ა.შ. (პირდაპირ მოჯადოებული წრეაძ.

ჰოდა, ამ ყველაფერს წერტილი უნდა დასმოდა. უნდა დასმოდა და ჩვენი მოსახლეობა ახალი პერიპეტიების წინაშე უნდა დამდგარიყო. „წერტილის დასმის“ დღედ ხელისუფლებამ ერთი შეხედვით ჩვეულებრივი, მაგრამ სინამდვილეში „უდიდესი დღე“ – 20 იანვარი შეარჩია.

მან თავისი მომხრეები ამ დღისთვის აგებულ ტრიბუნასთან დაიბარა და ზემოთ აღნიშნული სერიალის მეორე გმირის დათოს სიტყვებით მიმართა (მცირე ინტერპრეტაცია მაინც გააკეთაძ: „მაცალეთ ცოტა, ასე, ერთი-ხუთი წელი“. მაცალეთ და წავალ. კიდევ თქვა, მაცალეთ და ბევრ რამეს გაგიკეთებთო.

თქმით კი თქვა, მაგრამ? არ ვიცი, არ ვიცი...

ორი ფერი დომინირებდა იმ დღეს თბილისში. „წითელი“ რუსთაველზე და „თეთრი“ იპოდრომზე. არა, ძვირფასო მკითხველო, არ შეგეშინდეს, არც „თეთრი და წითელი ვარდების ომი“ (ინგლისი. მე-15-ე საუკუნის მიწურული) დაწყებულა საქართველოში და არც „წითელ-გვარდიელები“ დასდევნებიან „თეთრებს“ „კობრას“ ტიპის ჯავშანტრანსპორტიორებით (ეგ უკვე იყო 2007 წლის 7 ნოემბერს).

ძალიან საინტერესო იყო არჩეული პრეზიდენტის ინაუგურაციისადმი მიძღვნილი ღონისძიება. საკმაოდ ბევრი სიმბოლური ელემენტი იყო ჩადებული სცენარში. არ ვიცი ეს ყველაფერი წინასწარ იყო ასეთი სახით გათვლილი, თუ მე მინდოდა დამენახა ის მინიშნებები, რომელთა ხაზგასმაც მიხეილ სააკაშვილმა სცადა.

დავიწყოთ ყველაზე მთავარით: წითელი ხალიჩა პარლამენტიდან კი არ ეშვებოდა ტრიბუნისკენ, არამედ **ხალხიდან** ამოდიოდა და არჩეული პრეზიდენტი, პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელთან სწორედ **ხალხიდან** მივიდა. თუ ამ დეტალს ის დატვირთვა ჰქონდა, რაც მე ვიფიქრე, მაშინ ნამდვილად ველარ ვიხილავთ ნაციონალური მოძრაობის საპარლამენტო სიაში ვერც მაია ნადირაძეს, ვერც კოტე გაბაშვილს და „თუ ასეთი ამინდები დაიჭირა“, ვერც გიგა ბოკერიას („კაი ყურით მისმინე, ღმერთო“ძ. ასევე ვერ ვიხილავთ მომავალ მთავრობაში ვერც გოკა გაბაშვილს, ვერც კახა ბენდუქიძეს (მან თავადაც „აღიარა“, რომ საკმაოდ ბევრ ადამიანს „შეაძულა თავი“. ისე, ბატონი კახას გასაგონად ვიტყვი, რომ სჯობდა ეთქვა „მოვაბეზრე თავიო“, რადგან ჩვენ ქართველებს სიძულვილი არ გვჩვევიაძ და კიდევ ბევრ მინისტრს თავის მოადგილეებთან ერთად.

ინაუგურაციის მეორე ნაწილი იყო პრეზიდენტის ფიცი და სიტყვა. მიუხედავად იმისა, რომ მიხეილ სააკაშვილი ფიცის წარმოთქმის დროს რამდენჯერმე „წაბორძიკდა“, სიტყვა მაინც საკმაოდ შთამბეჭდავი გამოუვიდა.

არ იყო ნახსენები „მატარებელი, რომელმაც უკვე გაგვასწრო“, არ იყო არანაირი მუქარა. მოკლედ რომ ვთქვა, სააკაშვილმა იგივე გაიმეორა, რაც „პრაიმტაიმში“ თქვა, ოღონდ უკვე პრეზიდენტის რანგში, რამდენიმე პრეზიდენტისა და რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის თანდასწრებით (ამერიკის სახელმწიფო მდივნის მეორე მოადგილის მეორე თანაშემწეზე რომ არაფერი ვთქვაძ.

იყო სამხედრო აღლუმიც და ის-ის იყო კარგ ხასიათზე დავდექი, რომ აღლუმის ბოლოს მომავალი, შინაგან საქმეთა სამინისტროს კუთვნილი ათიოდე „კობრა“ დავინახე. დავინახე და 7 ნოემბერი გამახსენდა (ბუნებრივია, 2007 წლის 7 ნოემბერი, და არა 1917 წლის). აქაც გარკვეული სიმბოლო დავინახე, რადგან ვიცი, რომ სამხედრო აღლუმი ძირითადად მტრის „გულის გასახეთქად“ და მოყვრის გასახარად ტარდება. არა მგონია ის „კობრები“ კოკოითის ან ბაღაფშის „შესაშინებლად“ იყო გამოყვანილი.

## დიდი დღეა დღეს, მარიკა! უდიდესი დღე!!!

აღარ მოვუსმინე, თუ როგორ აფრქვევდნენ ბედნიერების გამომხატველ სიტყვებს ჩვენი ქვეყნის ისეთი ღირსეული შვილები, როგორებიც ნინა წკრიალაშვილი ან ლექ-სენია. ავდექი და იპოდრომისკენ წავედი.

**მიუხედავად იმისა, რომ „დიდი, ყვითელი ავტობუსები“ არ დადიოდნენ, იპოდრომზე მაინც უამრავი ხალხი იყო მისული.**

**დაახლოებით 250 000 კაცი.**

მისული იყო საშუალო ფენა. ის ფენა, რომელთა მხრებზეც დგას ქვეყანა. მისული იყო ის ხალხი, რომლებიც შრომობენ და ავსებენ იმ ხაზინას, რომლიდანაც როგორც საქმეში ჩახედული ადამიანები ამბობენ, საკმაოდ დიდი თანხები დაიხარჯა ღღევანდელი პრეზიდენტის საარჩევნო კამპანიის დასაფინანსებლად.

მისული იყო ის ხალხი, ვისაც უნდა შრომა, მაგრამ ხელისუფლების „ეკონომიკური პოლიტიკის“ გამო ეს უფლება წაერთვა.

მისული იყო ის ხალხი, რომელთაც არა მარტო თავიანთი შვილების, არამედ მთელი საქართველოს მომავალი აწუხებს.

ეს ხალხი იყო იპოდრომზე მისული 2008 წლის 20 იანვარს.

და კიდევ ხუთი ამდენი ვერ მივიდა.

ერთის შეხედვით ამდენი ხალხი არ უნდა მოსულიყო. არ უნდა მოსულიყო იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ რუსთაველზე ინაუგურაცია გაიმართა. ე. ი. სააკაშვილი პრეზიდენტია. ე. ი. ყველაფერი დამთავრდა და ისევ „იჯეჯილებენ“ ის ოდიოზური „ფიგურები“, რომლებმაც მართლაც მოაბეზრეს ხალხს თავი.

ასე არ მოხდა.

ხალხი მივიდა იპოდრომზე იმიტომ, რომ ხელისუფლებისთვის ეთქვა: მიუხედავად იმისა, რომ რუსთაველზე ხუთიანით „დამშვენებული“ „მარშუტკების“ პარადი შსს-ს „კობრების“ პარადმა შეცვალა, ჯერ ყველაფერი არ დამთავრებულა.

**ხალხი მოვიდა იპოდრომზე იმიტომ, რომ ეთქვა, ჩვენ არამც თუ არ გვეშინია, არც გავჩერდებითო.**

ამის სათქმელად ჩამოვიდნენ სოფელ ბებნისიდან გოჩა, ზურა და ზაურ არდემანაშვილები, ზაქრო და დათო მაღალდაძეები, ზაზა და აჩიკო ბეგალიშვილები, გიორგი გელაშვილი, ნოდარ შოშიაშვილი, ლერი ბერიკაშვილი. ჩამოვიდნენ და სხვებთან ერთად თქვეს, რომ ღირსებას არავის შეალახვინებენ. არ შეალახვინებენ და ამიტომ არც გაჩერდებიან.

ოპოზიციის ლიდერები წარმოთქვამდნენ სიტყვებს. მიმართავდნენ ხალხს და ხელისუფლებას, მაგრამ მთავარი მაინც მათი მოქმედებაა. ისინი მართლაც სწორ ნაბიჯებს დგამენ.

ქალბატონმა სალომე ზურაბიშვილმა მეთიუ ბრაიზას ფამილარობას სასტუმრო „მერიოტში“ შეხვედრის დროს ცივი წყალი გადაასხა.

მიუხედავად ხელისუფლების მცდელობისა, „განხეთქილების ვაშლი“ შეაგოროს ოპოზიციაში და რაღაც გარიგებებზე დაითანხმოს, ოპოზიციის დღევანდელი ერთიანობა მართლაც შესაშურია.

ამ ერთიანობის შენარჩუნების მოთხოვნითაც იყო იპოდრომზე ხალხი მოსული და ამ ერთიანობის გამო „დგას სააკაშვილის მატარებელი „მგზავრების“ მოლოდინში“ (რა დასამალია და იყო მოსაზრებები, რომ ზოგიერთი პოლიტიკური ძალა, შეავსებდა „მგზავრების“ თავისუფალ ადგილებს, მაგრამ ხალხის აქტიურობამ არ მისცა მათ ამის საშუალებაძ.

ოპოზიციის სწორი ნაბიჯების შედეგია უცხოელი დიპლომატების მუდმივი კონსულტაციები და მათ მიერ ხელისუფლების მიმართ გაკეთებული რეკომენდაციები, რომლებიც ნელ-ნელა სულ უფრო მკაცრდება და სულ უფრო მეტ სფეროს ეხება.

**იპოდრომზე 2008 წლის 20 იანვარს მეორე ინაუგურაცია – გამარჯვებული ხალხის ინაუგურაცია შედგა (არა რომელიმე კანდიდატის, არამედ გამარჯვებული ხალხისძ.**

ეს ყველაფერი უამრავი ჟურნალისტის მიერ გაშუქდა. ყველას თავისი ხედვა აქვს, მაგრამ მონტაჟისა და ოპერატორული ხელოვნების ნიმუში იყო ტელეკომპანია „მზის“ მიერ „დანახული“ იპოდრომი. ნამდვილად ძლიერი ოპერატორები ჰყავს „მზეს“. ძალიან ძნელი იყო გეპოვა ისეთი რაკურსი, საიდანაც ხალხის მინიმალური რაოდენობა გამოჩნდებოდა. „მზის“ ოპერატორმა კი ეს შეძლო.

არადა ძალიან ბევრი ხალხი იყო მოსული იპოდრომზე (გაითვალისწინეთ, რომ რუსთაველზე მდგარი ტრიბუნისგან განსხვავებით, იპოდრომი არ თბებოდაძ.

**დიდი დღე იყო 2008 წლის 20 იანვარი!**

**გია გაბრიჭიძე**



## ერისა და ბერის გასაგონად!

*„5 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნები საქართველოში მთლიანობაში შეესაბამება დემოკრატიული არჩევნების უმეტეს საერთაშორისო სტანდარტებს, თუმცა გამოვლინდა მნიშვნელოვანი პრობლემები, რომლებზეც დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს რეაგირება“, — განაცხადა არჩევნებზე დამკვირვებელთა საერთაშორისო მისიამ თავის წინასწარ განცხადებაში. ეს იყო პირველი, მართლაც კონკურენტული საპრეზიდენტო არჩევნები ქვეყანაში, რომელმაც საშუალება მისცა ქართველ ხალხს, გამოეხატა თავისი პოლიტიკური არჩევანი. საარჩევნო კამპანია წარიმართა ძალზედ პოლარიზებულ გარემოში ნდობის ნაკლებობითა და მუდმივი დარღვევების ბრალდებებით. განსხვავება სახელმწიფოებრივ საქმიანობასა და ყოფილი პრეზიდენტის კამპანიას შორის ხანდახან ბუნდოვანი იყო, რაც ქმნიდა უსამართლო საარჩევნო გარემოს. არჩევნებს აკვირდებოდა ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის, ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეისა და ევროპის პარლამენტის 85 საპარლამენტო და 340 მოკლევადიანი დამკვირვებელი.*

*„კამპანიის მკვეთრად გამოხატული კონკურენტუნარიანობის გამო მე აღვიქვამ მოცემულ არჩევნებს, როგორც ქართველი ხალხის თავისუფალი არჩევნის შედეგიან გამოხატულებას, მაგრამ მომავალში უამრავ პრობლემას შევხვდებით,“ — განაცხადა ეუთოს მოკლევადიან დამკვირვებელთა სპეციალურმა კოორდინატორმა, ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის საპატიო პრეზიდენტმა ელსი ჰასტინგმა.*

*ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის დელეგაციის ხელმძღვანელმა მათიას იორშმა თქვა: „ამ, თუმცა აშკარად არასრულყოფილმა, არჩევნებმა საშუალება მისცა ქართველ ხალხს, დემოკრატიული პასუხი გაეცა არსებული პოლიტიკური კრიზისისათვის. ქართველები იმსახურებენ მილოცვას დემოკრატიული პრინციპების ერთგულებისათვის, რომელიც მათ აჩვენეს არჩევნების დღეს. ახლა ხელისუფლების ჯერია, რომ მოისმინონ ჩვენი კრიტიკა და დროულად უპასუხონ იმ მნიშვნელოვან ხარვეზებს, რომლებიც ჩვენ აღვნიშნეთ. ქვეყნის სტაბილურობისათვის მე მოვუწოდებ ყველა მონაწილეს, შეაჯამონ ეს საარჩევნო პროცესი იმ ფორმით, რომელიც უზრუნველყოფს ქართველი ხალხის თვალში ამ არჩევნების ლეგიტიმაციას“.*

*მერი ენ ისლერ-ბეგინმა, რომელიც ხელმძღვანელობს ევროპარლამენტის დელეგაციას, განაცხადა: „ეს არჩევნები კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯია საქართველოს ახალგაზრდა და ჯერ კიდევ მყიფე დემოკრატიის გასაძლიერებლად. რაც შეეხება მომავალ საკანონმდებლო არჩევნებს, რომელიც გადაწყდა პლებისციტით, დაუყოვნებლივ უნდა იქნეს გამოტანილი სათანადო დასკვნები. ევროკავშირი გააგრძელებს საქართველოს მხარდაჭერას ამ მიმართულებით, კონკრეტულად კი სამეზობლო პოლიტიკის ინსტრუმენტების მეშვეობით“.*

*ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის გრძელვადიანი მისიის ხელმძღვანელმა დიტერ ბოდენმა განაცხადა: „ჩვენ აღვნიშნავთ, რომ ეს არჩევნები მომზადდა პროფესიონალურად, მაგრამ ჩვენ ცუდ სამსახურს გავუწევთ ქართულ დემოკრატიას, თუკი ღიად არ გავახმოვანებთ ეუთოს ღირებულებებთან იმ შეუსაბამობებს, როგორებიცაა დაშინების ფაქტები. ეს არის ის გამოწვევები, რომლებზეც დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს რეაგირება სათანადო არხების მეშვეობით“.*

*დროის სიმწირის მიუხედავად, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ მთლიანობაში პროფესიონალურად მოამზადა არჩევნები, იგი მოქმედებდა გამჭვირვალედ და ახორციელებდა ამომრჩეველთა ფართო საგანმანათლებლო კამპანიას. მიუხედავად ამისა, მიმდინარე საკითხებზე მისი წევრები მიკერძოებულად მოქმედებდნენ და ყოველთვის არ იცავდნენ იმ ნეიტრალურობას, რომელიც მოეთხოვება საარჩევნო ადმინისტრაციას.*

*კამპანია დაჩრდილა ფართოდ გავრცელებულმა ბრალდებებმა დაშინებისა და ზეწოლის თაობაზე, რომელთა დიდი ნაწილიც საფუძვლიანია. სოციალური დახმარების პროგრამების განხორციელება ხშირ შემთხვევაში გაიგივებული იყო ყოფილი პრეზიდენტის წინასაარჩევნო კამპანიასთან.*

*უმეტეს საარჩევნო უბნებზე ვიზიტისას საარჩევნო დღე იყო ორგანიზებული და შედარებით მშვიდობიანი, მაგრამ ადგილი ჰქონდა რეგიონებში მნიშვნელოვან განსხვავებებს და სერიოზული დარღვევების ცალკეულ ფაქტებს. ზოგ საარჩევნო უბანზე პროცესი იყო ქაოსური და აღინიშნებოდა პროცედურული პრობლემები, კერძოდ კი, მარკირებისა და მრავალგზის ხმის მიცემის თავიდან აცილების მხრივ. ამომრჩეველთა დაახლოებით 5% დაემატა საარჩევნო სიას არჩევნების დღეს.*

*დამკვირვებლებმა დათვლის პროცესი ნაკლებად პოზიტიურად შეაფასეს და აღნიშნეს ნელი პროცესი და პროცედურული ნაკლოვანებები.*

# არც ახლა გჯერათ, რომ გაყალბდა?!

## ეუთოს სადამკვირვებლო მისიის არჩევნების შემდგომი შუალედური ანგარიში

### ქვეყნდება სრული სახით

### წინასწარი კვლევის შედეგები და დასკვნები

საერთაშორისო სადამკვირვებლო მისია, რომელიც აკვირდებოდა საქართველოში 2008 წლის 5 იანვარს გამართულ რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნებს, წარმოადგენს ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტების და ადამიანის უფლებების ოფისის, ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის და ევროპარლამენტის ერთობლივ პროექტს. არჩევნები ფასდება ეუთოსა და ევროსაბჭოს მიერ დადგენილი დემოკრატიული არჩევნების ჩასატარებლად აუცილებელი ვალდებულებებისა და სტანდარტების შესაბამისად. შეფასება წინასწარი კვლევისა და დასკვნების საფუძველზეა გაკეთებული საარჩევნო პროცესის დასრულებამდე. ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის სადამკვირვებლო მისია გამოაქვეყნებს საბოლოო მოხსენებას, რეკომენდაციების ჩათვლით, საარჩევნო პროცესის დასრულებიდან დაახლოებით ორ თვეში. ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის დელეგაცია წარადგენს საკუთარ მოხსენებას ასამბლეის მორიგ სხდომაზე, რომელიც 21 იანვარსაა დაგეგმილი.

საპრეზიდენტო არჩევნებთან ერთად ჩატარდა არასავალდებულო ხასიათის პლებისციტი ორი შეკითხვით, რათა ამომრჩევლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი დამოკიდებულება საპარლამენტო არჩევნების ჩატარების თარიღთან და ნატოს წევრობასთან დაკავშირებით. საერთაშორისო სადამკვირვებლო მისია აკვირდებოდა პლებისციტს იქიდან გამომდინარე, რომ ისინი ზეგავლენას ახდენდნენ საპრეზიდენტო არჩევნებზე.

### წინასწარი დასკვნა

საქართველოში 5 იანვარს ჩატარებული რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნები მთლიანობაში შეესაბამებოდა ეუთოსა და ევროსაბჭოს ვალდებულებებსა და სტანდარტებს დემოკრატიულ არჩევნებზე, თუმცაღა გამოვლენილ იქნა არსებითი გამოწვევები, რომელთაც დაუყოვნებლივ უნდა მიექცეს ყურადღება. 5 იანვარს ჩატარებული რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნები არის პირველი კონკურენტუნარიანი საპრეზიდენტო არჩევნები, რომელმაც საშუალება მისცა ქართველ ხალხს გამოეხატა საკუთარი პოლიტიკური ნება.

თუმცა საარჩევნო კამპანია ჩატარდა მეტად პოლარიზებულ პოლიტიკურ გარემოში. საარჩევნო კამპანიის ჩატარებასთან დაკავშირებული შესაძლო დარღვევებისადმი ნდობის ნაკლებობა და აღმოუფხვრელობა — რომელთაგან მხოლოდ რამდენიმეა შეტანილი ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში და სასამართლოში — არ შეესატყვისებოდა კონსტრუქციულ საარჩევნო კამპანიას. განსხვავება სახელმწიფო საქმიანობასა და ყოფილი პრეზიდენტის საპრეზიდენტო კამპანიას შორის, ზოგჯერ იშლებოდა და წვლილი შეჰქონდა არაჯანსაღი საარჩევნო გარემოს შექმნაში. მიუხედავად ამისა, ყველა საპრეზიდენტო კანდიდატს ჰქონდა საშუალება შეუზღუდავად ჩაეტარებინა საარჩევნო კამპანია ქვეყნის მასშტაბით.

საქართველოს აქვს მრავალფეროვანი მედია-გარემო, რომელიც იძლევა თავისუფალი აზრის გამოხატვის შესაძლებლობას და სთავაზობს ამომრჩეველს პოლიტიკური შეხედულებების ფართო არჩევანს. მედიასაშუალებები აქტიურად აშუქებდნენ საარჩევნო პროცესებს, ეწყობოდა თოქ-შოუები, დებატები, საპრეზიდენტო კანდიდატებს გამოყოფილი ჰქონდათ უფასო საეთერო დრო. შესაბამისად, ამომრჩეველს საშუალება ჰქონდა გაცნობოდა საპრეზიდენტო კანდიდატებსა და მათ პროგრამებს. კერძო მაუწყებლები ახალი ამბების გაშუქებისას აკვირდებოდნენ გამოვლენილ უთანასწორობებს მმართველი პარტიის კანდიდატის სასარგებლოდ. თუმცა, საზოგადოებრივი მაუწყებელი იყო უფრო მეტად დაბალანსებული ყველა კანდიდატისთვის უფასო საეთერო დროის გამოყოფის თვალსაზრისით, ახალი ამბების გაშუქების მისეული ტონი კი მიმართული იყო ყოფილი პრეზიდენტის სასარგებლოდ.

საარჩევნო კოდექსში შეტანილი ცვილილებების საფუძველზე, ცენტრალური საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში შედიან პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები. მიუხედავად მცირე დროისა, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ შეძლო პროფესიონალურად მოემზადებინა არჩევნები, თუმცა სადავო საკითხების გადაჭრისას მის წევრებს ზოგიერთ შემთხვევაში უჭირდათ საარჩევნო ადმინისტრაციისათვის სავალდებულო ნეიტრალიტეტის შენარჩუნება და მოქმედებდნენ მიკერძოებულად. ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ დაეხვეწა საარჩევნო სიები და უზრუნველეყო ამომრჩეველი შესაძლებლობათა ფართო არჩევანით, რათა მათ გადაემოწმებინათ საკუთარი თავი ამომრჩეველთა სიებში. მიუხედავად ზემოხსენებული ძალისხმევებისა, ამომრჩეველთა სიები კვლავაც საჭიროებს დახვეწას.

საარჩევნო პროცესის პოზიტიური ასპექტები მოიცავს: საქართველოს საარჩევნო კოდექსი დემოკრატიული არჩევნების ჩატარების თვალსაზრისით ზოგადად არის ადეკვატური. საარჩევნო კოდექსში შეტანილი უახლესი ცვლილებები წარმოადგენენ ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტების და ადამიანის უფლებების ოფისის და ევროსაბჭოს საკმაოდ ადრეულ რეკომენდაციებს.

წინასაარჩევნო პერიოდში ცენტრალური საარჩევნო კომისიის ქმედება იყო გამჭვირვალე. ცენტრალური საარჩევნო კომისია ხშირად მართავდა მედიასა და დამკვირვებელთათვის ღია შეხვედრებს. ცენტრალური საარჩევნო კომისია ყველა დონეზე ავლენდა მზადყოფნას თანამშრომლობისათვის.

ჩატარდა ამომრჩეველთა საგანმანათებლო კამპანია მედიის მეშვეობით და მოხდა საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა გადამზადება.

გაძლიერდა საარჩევნო პროცესის გამჭვირვალეობა, რადგან ეროვნული არაპარტიული სადამკვირვებლო ორგანიზაციების დიდმა რაოდენობამ გაიარა აკრედიტაცია, რათა დაკვირვებოდნენ რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნებს.

საარჩევნო მასალები დაიბეჭდა ასევე საქართველოში მცხოვრები ეროვნული უმცირესობის ენებზე.

საქართველოს მოქმედმა პრეზიდენტმა ჩამოაყალიბა უწყებათშორისი ჯგუფი თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების ჩასატარებლად, რომელსაც ევალებოდა კავშირის დამყარება სადამკვირვებლო ორგანიზაციებთან და შემოსული საჩივრების განხილვა. დრო და დრო მოქმედი პრეზიდენტი პირადად ერეოდა ოპოზიციის ბრალდებებზე პასუხის გაცემის პროცედურებში.

თუმცა გამოვლინდა შემდეგი ნაკლოვანებები: საარჩევნო კამპანია დაჩრდილა ფართოდ გავრცელებულმა ბრალდებებმა, რომ სხვა პირებთან ერთად ხორციელდებოდა სახელმწიფო მოხელეთა დაშინება და ზეწოლა.

სოციალური კეთილდღეობის პროგრამების განხორციელებას ხშირად უკავშირებდნენ საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის საპრეზიდენტო კამპანიას.

საქართველოს საარჩევნო კოდექსში არსებული შეუთავსებლობა, ხარვეზები და ორაზროვნება საფუძვლად დაედო საარჩევნო კოდექსის განსხვავებულ და მრავალფეროვან ინტერპრეტირებას.

იხ. 6 გვ.

# სიმართლე კი ასეთია

OSCE

ერისა და ბერის გასაგონად!

# არც ახლა გჯერათ, რომ გაყალბდა?!

## ეუთოს სადამკვირვებლო მისიის არჩევნების შემდგომი შუალედური ანგარიში

ქვეყნდება სრული სახით

(მეხუთე გვერდიდან)

საჩივრების განხილვისას ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ვერ შეძლო მიყოლოდა მნიშვნელოვან იურიდიულ პროცედურებს.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ დადგენილ არჩევნების დღის პროცედურებს აკლდათ სიზუსტე და დეტალურობა.

არჩევნების დღე ზოგადად იყო მშვიდი. მთლიანობაში, ხმის მიცემის პროცედურა დადებითად იქნა შეფასებული საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიაში შემავალი უმრავლესი დამკვირვებლების მიერ. თუმცა, დადგინდა ორგანიზაციული და პროცედურული ხასიათის ხარვეზები, განსაკუთრებით ეს შეეხება მარკირების პროცედურების არასათანადოდ გამოყენებას. მარკირების პროცედურა მოიაზრება გაყალბების საწინააღმდეგო ერთ-ერთ მნიშვნელოვან მექანიზმად. ეს არის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი, რადგან ზემოხსენებულის საფუძველზე მოხდა არჩევნების დღეს ამომრჩეველთა რეგისტრაციის პროცედურისა და მისი გამოყენების მასშტაბის ხელახალი შემოტანა. ხმების დათვლის პროცედურა ნაკლებად დადებითად შეფასდა, რადგან დადგინდა ბევრი მნიშვნელოვანი ხარვეზი, რომელთაც შესაძლოა გამოეწვიათ გართულება.

### წინასაარჩევნო ფონი

7 ნოემბერს ოპოზიციური პარტიების ბლოკის მიერ ორგანიზებული ექვსდღიანი მიტინგის კულმინაცია იყო პოლიციის მიერ მომიტინგეების ძალისმიერი დაშლა. მომიტინგეები ითხოვდნენ საპარლამენტო არჩევნების დანიშვნას 2008 წლის გაზაფხულზე, საქართველოს საპარლამენტო რესპუბლიკად გარდაქმნას და მაშინ მოქმედი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის გადადგომას. იმავე დღეს საქართველოს პრეზიდენტმა გამოაცხადა საგანგებო მდგომარეობა, რადგან მისი მტკიცებით მიტინგები წარმოადგენდნენ საქართველოს ხელისუფლების დამხობის მცდელობის ნაწილს. საქართველოში საგანგებო მდგომარეობა გაუქმდა 2007 წლის 16 ნოემბერს.

8 ნოემბერს პრეზიდენტი გამოვიდა ინიციატივით, შეემცირებინათ მისი საპრეზიდენტო მანდატი და შესაბამისად, 25 ნოემბერს იგი გადადგა, რითაც შესაძლებლობა მისცა პარლამენტს დაენიშნა რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნები 2008 წლის 5 იანვარს. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე გახდა ქვეყნის მოქმედი პრეზიდენტი. პოლიტიკური დიალოგის საფუძველზე ცვლილებები შევიდა საქართველოს საარჩევნო კოდექსში და გადაწყდა ჩატარებულიყო პლებისციტი საპარლამენტო არჩევნების გამართვის თარიღთან დაკავშირებით.

### სამართლებრივი ჩარჩო და საარჩევნო სისტემა

საქართველოს კონსტიტუცია უზრუნველყოფს დემოკრატიული არჩევნების ჩატარებისათვის აუცილებელ ფუნდამენტურ სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს. უპირველესი კანონმდებლობა, რომელიც არეგულირებს არჩევნების ჩატარებას, არის 2001 წელს მიღებული საქართველოს საარჩევნო კოდექსი, რომელიც რამდენჯერმეა შესწორებული.

2007 წლის 22 ნოემბერს მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა საქართველოს საარჩევნო კოდექსში. 2007 წლის 12 დეკემბერს, რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნების დანიშვნის შემდეგ, კვლავ შევიდა ცვლილებები საქართველოს საარჩევნო კოდექსში. მიუხედავად ამ ცვლილებებისა, რომლებიც მიზნად ისახავს საარჩევნო კანონმდებლობის დახვეწას, საარჩევნო კოდექსში ცვლილებების შეტანა ასე მოკლე პერიოდში არ შეესატყვისება ვენეციის კომისიის კოდექსს საარჩევნო საქმიანობაში კარგი პრაქტიკის შესახებ (Code of Good Practice in Electoral Matters of the Venice Commission of the Council of Europe).

საქართველოს პრეზიდენტს ირჩევენ ხუთი წლის ვადით. თუ ვერც ერთი კანდიდატი ვერ შეძლებს ხმების აბსოლუტური რაოდენობის მოპოვებას პირველ ტურში, ორი კვირის შემდეგ ინიშნება მეორე ტური იმ ორ საპრეზიდენტო კანდიდატს შორის, რომელმაც მოიპოვა ხმების უმრავლესობა.

### საარჩევნო ადმინისტრაცია

საარჩევნო ადმინისტრაცია შედგება სამი სტრუქტურული ერთეულისგან: ცენტრალური საარჩევნო კომისია, 76 საოლქო საარჩევნო კომისია და 3511 საუბნო საარჩევნო კომისია, რომელთაგან 44 მოქმედებდა საზღვარგარეთ. საქართველოს საარჩევნო კოდექსში შეტანილი ცვლილებების საფუძველზე შეიცვალა ცენტრალური საარჩევნო კომისიისა და საუბნო საარჩევნო კომისიის დაკომპლექტების წესები, რომელთა შემადგენლობაში შედიან შვიდი პოლიტიკური პარტიის წევრები. თუმცა აღსანიშნავია, რომ ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრები ხშირად ვერ ინარჩუნებდნენ ნეიტრალიტეტს, რაც არის სავალდებულო საარჩევნო ადმინისტრაციის წევრებისათვის.



ცენტრალური საარჩევნო კომისია მოქმედებდა გამჭვირვალედ, ატარებდა ღია შეხვედრებს პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლების, მედიასა და დამკვირვებელთათვის. თუმცა, ცენტრალური საარჩევნო კომისია ყოველთვის არ აცხადებდა არჩევნების შედეგებს და ზოგჯერ გაურკვეველი რჩებოდა, მიღებული იყო თუ არა გადაწყვეტილებები. ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ გამოცემული არჩევნების დღის პროცედურებთან დაკავშირებული ინსტრუქცია არ იყო ამომწურავი და არ შეიცავდა დეტალურ აღწერას იმ საკითხებისა, რომლებიც არ არის მოცემული საქართველოს საარჩევნო კოდექსში. არჩევნებამდე დაახლოებით ათი დღით ადრე გამოიცა საუბნო საარჩევნო კომისიის სახელმძღვანელო არჩევნების დღის პროცედურებთან დაკავშირებით. მიუხედავად იმისა, რომ ის შეიცავდა დეტალურ ინფორმაციას ხმის მიცემასა და დათვლის ყველა ეტაპისათვის, ის ხელმისაწვდომი გახდა მხოლოდ მაშინ, როცა თითქმის დასრულებული იყო საუბნო საარჩევნო კომისიების წევრების გადამზადება. ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ასევე ორგანიზება გაუწია მედიის მეშვეობით ამომრჩეველთა საგანმანათლებლო კამპანიას ისეთ საკითხებზე, როგორიცაა ამომრჩეველთა სიები, კენჭისყრის ფარულობა, პირადობის მოწმობის ფალსიფიკაცია და ხმის მიცემა რამდენჯერმე. პარტიების წარმომადგენლები არ შედიან საოლქო საარჩევნო კომისიების შემადგენლობაში, რომელთა ძალაუფლებაც შეიზღუდა. არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე, საოლქო საარჩევნო კომისიები იყვნენ ორგანიზებულები, მართავდნენ სპონტანურ სხდომებს, რომლებიც ღია იყო დამკვირვებელთა და მასმედიისათვის. ზოგიერთი საოლქო საარჩევნო კომისია არ აწვდიდა ოპოზიციური პარტიის კანდიდატებს ინფორმაციას საუბნო საარჩევნო კომისიების შეხვედრების თაობაზე.

ოპოზიციური პარტიები არასაკმარისად იყვნენ წარმოდგენილნი ადმინისტრაციულ თანამდებობებზე საუბნო საარჩევნო კომისიების დონეზე. გაერთიანებულ ნაციონალურ მოძრაობას ეკავა სრული უმრავლესობა საუბნო საარჩევნო კომისიებში. ცენტრალური საარჩევნო კომისიის თანახმად, საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეებად ირჩევდნენ საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ დანიშნულ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებს, როცა მხოლოდ ორი ოპოზიციური კანდიდატი დაინიშნა საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარედ.

### ამომრჩეველთა რეგისტრაცია

ცენტრალური საარჩევნო კომისია პასუხისმგებელია ცენტრალიზებულ ამომრჩეველთა სიის შედგენაზე. არჩევნების მოსამზადებელ პერიოდში ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ განახორციელა ამომრჩეველთა სიების შემოწმება კარდაკარ ჩამოტარების პრინციპით, რასაც შედეგად მოჰყვა არსებითი ოდენობის გადასინჯვა. ამომრჩეველთა სიები ხელმისაწვდომი იყო საზოგადოებისათვის დაახლოებით ერთი კვირის განმავლობაში. ამომრჩევლებს შეეძლოთ გადაემოწმებინათ საკუთარი თავი ამომრჩეველთა სიებში და შეეტანათ შესწორებები ინტერნეტის, ცენტრალური საარჩევნო კომისიის ცხელი ხაზის ანდა პირადად გადაემოწმებინათ საკუთარი თავი საუბნო საარჩევნო კომისიაში ან საოლქო საარჩევნო კომისიაში. მოსახლეობის აქტივობის შედეგად, ამომრჩეველთა სიებს დაემატა დაახლოებით 2 000 ამომრჩეველი და მოაკლდა დაახლოებით 3 000. ცენტრალური საარჩევნო კომისიის ცნობით, მონაცემთა შეყვანის პროცედურა სისტემატიზებულ იქნა და ახალი პროგრამული უზრუნველყოფა იქნა დამონტაჟებული. 2008 წლის 2 იანვრისათვის დარეგისტრირებული იყო 3 352 448 ამომრჩეველი. საქართველოს საარჩევნო კოდექსში შეტანილი ცვლილებების შედეგად შესაძლებელი გახდა ამომრჩეველთა რეგისტრაცია არჩევნების დღეს. მიუხედავად გატარებული ღონისძიებებისა, ამომრჩეველთა სიებში დაფიქსირებული უზუსტობანი კვლავაც დარჩა სადავო საკითხად. პოლიტიკურმა პარტიებმა და არასამთავრობო ორგანიზაციებმა მიაწოდეს ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტების და ადამიანის უფლებების ოფისის დამკვირვებელთა მისიას მაგალითები მრავალჯერადი და არასრული ოქმებისა, ხმის მიცემის უფლების მქონე პირების სიიდან ამოღებისა, მართლწერითი და ტოპოგრაფიული შეცდომებისა და ინფორმაცია ისეთი შემთხვევების თაობაზე, როდესაც გარდაცვლილი პირები ამომრჩეველთა სიებში იყვნენ შეტანილნი. ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ აღიარა შეცდომების არსებობის ალბათობა და მიზეზად დროის სიმცირე დაასახელა. სულ ცოტა ექვსი სარჩელი შევიდა ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში ოპოზიციური პარტიების მიერ. მათი მტკიცებით, დაახლოებით 40 000 ამომრჩეველთა ოქმები უზუსტო იყო. ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში ყველა ზემოხსენებული საჩივარი შევიდა ამომრჩეველთა სიის გადამოწმების იურიდიული ვადის ამოწურვის შემდეგ. ცენტრალური საარჩევნო კომისიის მტკიცებით ზემოხსენებული საჩივრები გადამოწმდა და უზუსტობების დადგენის შემთხვევაში აუცილებელი ხასიათის ცვლილებები იქნა შეტანილი.

(დასასრული მორიგ ნომერში)

№ 11. სამშაბათი, 22 იანვარი, 2008 წელი.

# SIC!

● მას უნდოდა საქართველოს პრეზიდენტობა მიუხედავად ქართველი ხალხის წინააღმდეგობისა, არჩევნებში გაიმარჯვა, მოუნდა თავისი ინაუგურაცია საზეიმოდ აღენიშნა და მიუხედავად ათასობით მომიტინგის პროტესტისა, ჩაატარა კიდეც

⊙ უმრავლესობა



## ბესო ჯუღელი:
# სააკაშვილი ის კაცი არ არის, ვინც დაპირებას არ შეასრულებს

*პრეზიდენტის ინაუგურაცია არ გამოირჩეოდა ისეთი პომპეზურობით, როგორც ეს სააკაშვილის პრეზიდენტად პირველად არჩევისას მოხდა. ფიცის მიმოხილვის ხასიათისა იყო და უფრო დაპირებებს ჰგავდა. საზოგადოების ერთი სოლიდური ნაწილისგან განსხვავებით, ხელისუფლების წარმომადგენლები იმედით განეწყვნენ ამ დღის მიმართ და შეფასებამაც არ დააყოვნა. გთავაზობთ ბესო ჯუღელის კომენტარს:*

— ინაუგურაციაზე თვალნათლივ გამოჩნდა ის, რომ ხელისუფლებამ ხალხის ნდობა მოიპოვა, რაც აუცილებელი იყო. საქართველოს მოსახლეობამ ეს ზეიმით აღნიშნა. მისასალმებელია ისიც, რომ სააკაშვილმა უწინდელი შეცდომა გაითვალისწინა და ამჯერად ის არა პარლამენტიდან მარტო, არამედ ოჯახთან ერთად ხალხის მასიდან გამოვიდა. ბოლოს კი კვლავ ხალხში შევიდა.

**— ეს მისი იდეა იყო თუ ერთობლივი გადაწყვეტილება?**

— ეს პრეზიდენტის იდეა იყო. ამ ნიუანსით მან ხაზი გაუსვა იმას, რომ ამიერიდან პრეზიდენტსა და ხალხს შორის მეტი სიახლოვე იქნება...

**— და რას უნდა მოველოდეთ?**

— დაპირება — საქართველო სიღარიბის გარეშე ასრულებადია და სააკაშვილი არ არის ის კაცი, რომელიც დაპირებას არ შეასრულებს. მეორე საპრეზიდენტო ვადა საკმარისი იქნება ამისთვის.

**— სხვას რას გვპირდება პრეზიდენტი?**

— აღდგება ტერიტორიული მთლიანობა. კონკრეტული გეგმის შესახებ ვერაფერს გეტყვით, მაგრამ ქართველი კაცის ოცნება — ვიხილოთ აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი საქართველოს იურისდიქციაში — მალე აგვისრულდება!

**— როგორ ფიქრობთ, ოპოზიციის მიერ წარმოდგენილი არჩევნების გაყალბების ფაქტები შედეგის შეცვლის საკმარისი საფუძველი რატომ არ აღმოჩნდა?**

— ამ არჩევნებს უამრავი დამკვირვებელი ჰყავდა და მათ ეს არჩევნები ლეგიტიმურად შეაფასეს. მეც ვყოფილვარ უკრაინაში არჩევნებზე დამკვირვებელი და ჩემი გასროლილი თოფივით ეშინოდათ, იმიტომ რომ უზარმაზარი მნიშვნელობა აქვს დამკვირვებლის აზრს და მის მოთხოვნებს. ეს ყველაფერი გავთვალე და ვიცი, როგორ ფასდება დამკვირვებლის შრომა. დამკვირვებლებმა შეაფასეს, რომ ეს არჩევნები დემოკრატიულად, გამჭვირვალედ ჩატარდა თუ მათ ჩვენი სჯერათ, ჩვენ რატომ არ უნდა ვირწმუნოთ სხვისი? ასე რომ, ამ არჩევნებს შევაფასებ ისე, როგორც დამკვირვებლები აფასებენ, ანუ აბსოლუტურად გამჭვირვალედ და ლეგიტიმურად.

**— ითქვა ისიც, რომ არჩევნების შემდეგ საქართველოში ორხელისუფლებიანობაა.**

— არა. ასე ვერ ვიტყოდი. ეს საზოგადოებრიობის ნაწილის აზრია, რომელსაც ჩვენ პატივს ვცემთ, მაგრამ საქართველოში ორხელისუფლებიანობა ნამდვილად არ არის. ეს თავს მოხვეული შეხედულებაა. ისინი ახლა არ აღიარებენ, მაგრამ გავა დრო და ყველაფერი დალაგდება.

**— ანუ მეორე ტურის საფუძველი არ არსებობს?**

— ეს საფუძველი ობიექტური რომ ყოფილიყო, ამაზე ჩვენ წავიდოდით, მაგრამ ამის საფუძველი არ არის და ძალით ხომ არ ჩავატარებთ მეორე ტურს?

**ესაუბრნენ**
**თეა მოსია,**
**მაია ხორგუაშვილი**

⊙ ინფორმაცია

## ესტონეთი მხარს უჭერს საქართველოს

ესტონეთი მხარს უჭერს საქართველოს დემოკრატიის რთულ გზაზე, — ამის შესახებ ესტონეთის პრეზიდენტმა ტომას ილვესმა პარლამენტის თავმჯდომარესთან ნინო ბურჯანაძესთან გამართული შეხვედრის შემდეგ განაცხადა.

—საქართველო გამოვიდა პოსტსაბჭოთა მემკვიდრეობიდან და ამ პროცესთან დაკავშირებული პრობლემების გადალახვა რთული არ არის. ეს პრობლემები კი ესტონეთისთვისაც ცნობილია, — აღნიშნა ესტონეთის პრეზიდენტმა და დასძინა, რომ სამჯერ იყო ოპოზიციაში და კარგად იცის, რას ნიშნავს ეს პროცესები.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძის განცხადებით კი, ესტონეთი არის საქართველოს ერთ-ერთი მეგობარი და ტომას ილვესი მხარს უჭერს საქართველოში დემოკრატიული რეფორმების განვითარებას, ნატოში ინტეგრაციას.

ესტონეთის პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ მომავალშიც დაუჭერს მხარს საქართველოში დემოკრატიის განვითარებას.

## ესტონეთის პრეზიდენტმა ოპოზიციის წარმომადგენლები სამშობლოში მიიწვია

როგორც სასტუმრო „თბილისი მარიოტში“ გამართული შეხვედრის შემდეგ ოპოზიციის ლიდერმა ლევან გაჩეჩილაძემ განაცხადა, საუბარი უაღრესად მნიშვნელოვანი იყო.

— ესტონეთის პრეზიდენტს გავუზიარეთ შეხედულებები არჩევნებთან დაკავშირებით და ქვეყანაში მიმდინარე სხვა პროცესებთან მიმართებაში. ესტონეთის პრეზიდენტს ვუთხარით, რომ თუ საქართველოში არ ჩამოყალიბდება ისეთი ვითარება, როგორიც ესტონეთშია, საქართველო მიიღებს ძალიან მძიმე შედეგებს, — აღნიშნა გაჩეჩილაძემ.

მისივე ინფორმაციით, ტომას ილვესმა ოპოზიციის წარმომადგნლები ესტონეთში მიიწვია.

— ჩვენ პრეზიდენტმა მიგვიწვია ესტონეთში, რათა იმ საკითხებზე საუბარი ესტონეთში გაგრძელდეს. მან შემოგვთავაზა, გავეცნოთ დამოუკიდებელი სასამართლოსა და მედიის მუშაობას, რათა შემდეგ გამოცდილების გაზიარება საქართველოში მოხდეს, — განაცხადა ლევან გაჩეჩილაძემ.

ესტონეთის პრეზიდენტთან ტომას ილვესთან შეხვედრის შემდეგ ერთიანი ეროვნული საბჭოს წევრმა სალომე ზურაბიშვილმა აღნიშნა, რომ ესტონეთის პრეზიდენტისთვის ძალიან მნიშვნელოვანია საქართველოში განვითარებული მოვლენები.

როგორც სალომე ზურაბიშვილმა განაცხადა, ესტონეთის პრეზიდენტი მეგობრობს ქართველ ხალხთან და არა მის რომელიმე ხელისუფლებასთან.

## ენერგეტიკის მინისტრს არ შეცვლიანო

ენერგეტიკის აკადემიის პრეზიდენტი, ექსპერტი რევაზ არველაძე მთავრობაში ენერგეტიკის მინისტრის ცვლილებას არ ვარაუდობს.

— ალექსანდრე ხეთაგური არის მინისტრი, რომელსაც, ყოველ შემთხვევაში, ცუდი არაფერი გაუკეთებია. მას მიღებული აქვს მონაწილეობა ყველაფერ კარგში, რაც მოხდა ენერგეტიკაში ბოლო წლებში. ამის გარდა, იგი სულ რამდენიმე თვის წინათ დაინიშნა მინისტრის პოსტზე, — განაცხადა არველაძემ.

ექსპერტის თქმით, კიდევ ერთი ფაქტორი, რის გამოც ხეთაგური ახალ მთავრობაში უნდა იყოს, მისი არაპარტიულობაა. — ცნობილია, რომ ახალი მთავრობის დაკომპლექტება პროფესიული ნიშნით მოხდება, — აღნიშნა მან.

რაც შეეხება მთავრობის პრიორიტეტებს უახლოესი წლების განმავლობაში, არველაძე მას ეკონომიკის განვითარებას უკავშირებს.

**ინტერპრესნიუსი**



⊙ რას ფიქრობს ხალხი?

# პრეზიდენტი კეთილშობილი ადამიანის როლს ასრულებს

*ოპოზიციის არაერთგზისი წინააღმდეგობისა და პროტესტის მიუხედავად, ბრძოლა უშედეგოდ დასრულდა. მიხეილ სააკაშვილმა 20 იანვარს პრეზიდენტობა ოფიციალურად გაიფორმა. თუმცა, ამის პარალელურად ოპოზიცია ბრძოლის შეწყვეტას არ აპირებს. ხალხი კი აი, რას ფიქრობს ქვეყანაში განვითარებულ მოვლენებზე.*

**მანანა დუგლაძე, ექიმი:** — როგორი დე ფაქტო პრეზიდენტიცაა, ისეთივე დე ფაქტო ინაუგურაცია გამართა. მან პრეზიდენტის პოსტის დაბრუნება, ძალადობით და ტყუილებით შეძლო, თუმცა რად უნდა იმ ქვეყნის მეთაურობა, სადაც ხალხის ერთი მესამედიც კი აღარ ემხრობა, ჩემთვის გაუგებარია. იპოდრომზე გამართულ აქციაზე ხუთჯერ მეტი მოქალაქე მივიდა, ვიდრე ინაუგურაციაზე, თუმცა ის როდის უყურებს ან უსმენს საწინააღმდეგო აზრს...

**თემურ გაგნიძე, ისტორიკოსი:** — რას ვფიქრობ დღევანდელ დღეზე? ჩემი აზრი აინტერესებს ვინმეს? მას უნდოდა საქართველოს პრეზიდენტობა მიუხედავად ქართველი ხალხის წინააღმდეგობისა, არჩევნებში გაიმარჯვა, მოუნდა თავისი ინაუგურაცია საზეიმოდ აღენიშნა და მიუხედავად ათასობით მომიტინგის პროტესტისა, ჩაატარა კიდეც.

**ინგა ტატიშვილი, პედაგოგი:** — ინაუგურაციას, რა თქმა უნდა, თვალს ვადევნებდი და ამ სცენას ერთი წუთით იმ ქართველების გადასახედიდან შევხედე, რომლებიც ოჯახების რჩენის მიზნით იძულებულნი არიან საყვარელი შვილები, მეუღლეები, მშობლები მიატოვონ, საზღვარგარეთ გადაიხვეწონ და ნებისმიერი დამთრგუნველი საქმეც აკეთონ. ჩვენი ქვეყნის მეთაურებმა კი, ოთხი წლის მანძილზე ამ პრობლემების აღმოსაფხვრელად არაფერი აკეთონ. პირიქით, მაქსიმალურად შეამცირეს დასაქმებულ ადამიანთა რიცხვი. მართალია, მთავრობა დღეს არნახული რაოდენობის სამუშაო ადგილების შექმნას გვპირდება და ქალბატონმა ნინომაც ინაუგურაციაზე გამოსვლა ძველი სიტყვებით დაიწყო, — ქვეყანაში რთული ვითარებააო, მაგრამ მე მაინც ვიკითხავდი, ვინ გაართულა? და კიდევ უნდა ვენდოთ?

**პეტრე ნაცვლიშვილი, პენსიონერი:** — მიხეილ სააკაშვილი გარემოცვამ დაღუპა. ამ არჩევნების შემდეგ ის შეცდომებზე დაფიქრდება და მჯერა, რომ გამოსწორდება. ოპოზიციას კი ვურჩევდი, რომ გაუთავებელი აქციები შეწყვიტოს და ხალხში დაპირისპირება არ გააღვივოს. მიხეილ სააკაშვილმა საქართველოს მსოფლიოს მხარდაჭერა მოუპოვა. ნუთუ ეს დასაფასებელი არ არის? ოპოზიცია მის უსამართლო კრიტიკას და ლანძღვა-გინებას უნდა შეეშვას. ვფიქრობ, ძალზე შთამბეჭდავი ინაუგურაცია იყო და მჯერა, რომ მიხეილ სააკაშვილი დადებულ ფიცს არ დაარღვევს და ქართველებს არ გვიღალატებს.

**ირინა ჯოხაძე, მოვაჭრე:** — მართალია, მიხეილ სააკაშვილი მსოფლიომ აღიარა, მაგრამ ის ქართველ ხალხს არ აურჩევია. მან პრეზიდენტობა მიითვისა. ჩემი აზრით, ახლა მიხეილ სააკაშვილი ნიღაბმორგებულია და კეთილშობილი კაცის როლს ასრულებს, მაგრამ ეს დიდხანს არ გასტანს. ხალხს მისი ყოველი ნაბიჯი ახსოვს. რუსეთთან ურთიერთობა სწორედ მან დაძაბა და ამის გამო უამრავი ქართველი დააზარალა. ახლა აპირებს რუსეთთან ურთიერთობის სუფთა ფურცლიდან დაწყებას? ის ალბათ დარწმუნებულია, რომ საპარლამენტო არჩევნებსაც გააყალბებს, მაგრამ ამას არ დავუშვებთ. ვფიქრობ, მოუთმენელია, რომ მსოფლიომ მასშტაბურ გაყალბებაზე თვალი დახუჭა და მხარი უკანონობას დაუჭირა. ინაუგურაციაზე ჩამოსვლით, უცხოელებმა, მიხეილ სააკაშვილის ლეგიტიმურობა დააკანონეს, რაც ყოვლად მიუღებელია. მართალია, მიხეილ სააკაშვილმა „გვირგვინი“ დაიდგა, მაგრამ ქართველი ხალხი ასეთ პრეზიდენტს ვერ შეიყვარებს.

**ლევან მგელაძე, უმუშევარი,** — წარსულში გამართული ინაუგურაციები გამახსენა — ქართველი ხალხის ტკივილი ერთ მხარეს, ტაში — მეორე მხარეს, მაგრამ აღსანიშნავია, ისიც, რომ ბატონმა მიხეილმა გამზრდელს მართლაც აჯობა.

**ვაჟა მშვენიერაძე, სპორტსმენი:** — მიხეილ სააკაშვილი მართლაც ღირსეული პრეზიდენტია. მან ინაუგურაციაზე ხელი გაუწოდა ოპოზიციას. ვფიქრობ, კოალიციური მთავრობა ამ ეტაპზე ყველაზე მისაღებია. საქართველო უნდა გამთლიანდეს და ამ მისიას მიხეილ სააკაშვილზე უკეთ ვერავინ შეასრულებს.

**სოფიო გოგლიძე**

№ 11. სამშაბათი, 22 იანვარი, 2008 წელი.

# ჩვენ

● ოპოზიცია კარგად მოქმედებს. მათ ძალიან ბევრი იშრომეს. აღსანიშნავია, რომ დიდი მოქალაქეობრივი შეგნება გამოიჩინეს და ავანტიურაზე არ წავიდნენ



◎ „შეწყალებული“

# ირაკლი ბათიაშვილი ციხიდან გამოსვლისთანავე პოლიტიკაში ჩაერთო

*ხელისუფლებამ კიდევ ერთი ლიბერალური ნაბიჯი გადადგა (ალბათ, უფრო ოპოზიციის დასაცხრომადძ და ირაკლი ბათიაშვილი „შეიწყალა“. ბატონ ირაკლისთან ინტერვიუს აღება მისი მოუცლელობის გამო რთული აღმოჩნდა, ამიტომ მხოლოდ სატელეფონო საუბარს დავჯერდით.*

**— ბატონო ირაკლი, როგორ ფიქრობთ, ახლა ჩვენს საუბარსაც ისმენენ?**

— რა თქმა უნდა, გვისმენენ.

**— თქვენ თავი დამნაშავედ აღიარეთ და შეგიწყალეს?**

— თქვენ რა, არ იცით, რა მოხდა?!

**— ვიცი, მაგრამ თქვენი პასუხი მაინტერესებს.**

— თავი დამნაშავედ არ მიცვნია. ძალადობისა და უსამართლობის მსხვერპლი აღმოვჩნდი, ჩემი შეწყალება კი — ფარსი იყო.

**— ხომ არ იყო თქვენზე ზეწოლის ფაქტები ციხეში ყოფნისას?**

— ფიზიკურ შეურაცხყოფას ვერავინ გამიბედავდა, თუმცა წელიწადი და ერთი თვე მე-7 საპყრობილეში სრულიად უკანონოდ მარტო მამყოფეს. ეს იყო აუტანელი და ჩემს გასატეხად გააკეთეს, მაგრამ პატრიარქის ლოცვამ, ჩემი ოჯახისა და მეგობრების თანადგომამ გადამარჩინა.

შემდეგ ავჭალის ზონაში გადამიყვანეს. იქ ადამიანებთან ერთად ვიყავი და საუბრის საშუალება მქონდა. ამასთანავე, პატიმრები ძალიან კეთილად განეწყვნენ ჩემს მიმართ. უნდა გენახათ გამომშვიდობების სცენა...

**— ხომ არ ყოფილა იქ ვინმე, ვინც „თვალ-ყურს გადევნებდათ“, ან პროვოკაცია ხომ არ დაგიპირეს?**

— ციხეში ყოველთვის არიან ინფორმატორები, რომელთაც ციხის ადმინისტრაცია მართავს. თუმცა ასეთი შემთხვევებისთვის მზად ვიყავი და ყურადღება არ მომიდუნებია, ძალიან ვფრთხილობდი.

საერთოდ კი, ციხე დიდი გამოცდილებაა იმ ადამიანისათვის, ვინც საერო ცხოვრებით ცხოვრობს. ციხეში ყოფნისას ბევრ რამეზე დავფიქრდი, ჩემს წარსულ ცხოვრებას გადავხედე. ადამიანები ცოდვილები ვართ, ციხე კი „კარგი“ ადგილია შეცდომებზე დასაფიქრებლად.

ციხეში ვმუშაობდი ფილოსოფიაზე და ახლაც, ციხიდან გამოსვლის შემდეგ ამ სფეროში მოღვაწეობას გავაგრძელებ.

**— მაგრამ პოლიტიკის არც მიტოვებას აპირებთ, არა?**

— როგორც ხედავთ, ციხიდან გამოსვლისთანავე ჩავერთე პოლიტიკაში. დღეს ისეთი კრიტიკული სიტუაციაა, რომ პოლიტიკიდან განზე დგომა არ შეიძლება.

**— ციხეში ყოფნისას დატოვეთ პარტია „წინ საქართველო!“, რომელიმე ძალასთან ხომ არ გეგმავთ გაერთიანებას?**

— რომელიმე პარტიაში ჩემს თავს ჯერჯერობით ვერ ვხედავ. რაც შეეხება „წინ საქართველოს“, იქ დღესაც ჩემი მეგობრები არიან და იმიტომ კი არ დავტოვე პარტია, რომ იმ ორგანიზაციაში არ მინდოდა ყოფნა, რახან ციხეში ვიყავი, საჭიროდ ჩავთვალე მათთვის მიმეცა უფლება ჩემგან დამოუკიდებლად მიეღოთ გადაწყვეტილებები.

**— როგორი განწყობით შეგხვდათ საზოგადოება?**

— ძალიან დიდი სიყვარულით, ხალხისგან ამხელა ნდობა და თანადგომა ეროვნულ მოძრაობაში ყოფნის დროსაც კი არ მიგრძვნია. იპოდრომზე შეკრებილ მიტინგზე სიტყვით გამოვედი. თუ სადმე რამე მოძრაობა იქნება, მე ყოველთვის ხალხის გვერდით ვიქნები.

**— ხალხი იპოდრომზეც იყო და პრეზიდენტის ინაუგურაციაზეც...**

— პრეზიდენტის ინაუგურაციაზე უმრავლესობა ფორმალურად მიიყვანეს. გასული საუკუნის 50-60-იან წლებში კომუნისტებს ბევრად მეტი ხალხი გამოჰყავდათ.

ხალხმა ნამდვილი ნება იპოდრომზე გამოხატა. იქ ვნახე ისეთი აღტაცება, როგორიც ეროვნული მოძრაობის წლებში მახსოვს.

**— რას ფიქრობთ ოპოზიციაზე, ხომ არ გაქვთ შენიშვნები მათი მისამართით?**

— ოპოზიცია კარგად მოქმედებს. მათ ძალიან ბევრი იშრომეს. აღსანიშნავია, რომ დიდი მოქალაქეობრივი შეგნება გამოიჩინეს და ავანტიურაზე არ წავიდნენ.

**— რას გულისხმობთ?**

— თქვენ რა, არ გახსოვთ, რა გააკეთეს სააკაშვილმა და მისმა თანამებრძოლებმა 2003 წლის ნოემბრის აქციაზე, მათ სახელმწიფო გადატრიალება მოაწყვეს.

1991-92 წლებისა და 2003 წლის გადატრიალებები — ეს იყო საქართველოს უბედურება და არასოდეს აღარ უნდა განმეორდეს.

**— დაბოლოს, როგორ შეაფასებთ ხელისუფლების მიერ ოპოზიციისაკენ გამოწვდილ შერიგების ხელს?**

— ეს არასერიოზულია და ამაზე სერიოზულ პასუხს ვერც გაგცემთ.

**თეა მოსია**

◎ კითხული კაცის აზრი

# უსინდისობა თუ დანაშაული?

***არის თუ არა არჩევნების გაყალბება უსინდისობა?***

***ეჭვი არ მეპარება, რომ ამ კითხვას ყველა წესიერი მოქალაქე დადებითად უპასუხებს. რაც შეეხება მიშისტებს, მათი პასუხი ძალზე საინტერესოა. შეიძლება თქვან, რომ „ბრძოლის დროს ყველაფერი დასაშვებია“, ან იეზუიტური ახსნა გაიხსენონ: „მიზანი ამართლებს საშუალებებს“, მაგრამ ის, რომ გაყალბება მოხდა, თვით ბოკერია-თარგამაძის დუეტიც კი ვერ უარყოფს.***

***აქვე მეორე შეკითხვაცაა: არიან კი უსინდისოები ის მოქალაქენი, რომლებმაც პირადად გაყალბება ჩაიდინეს, თარხნიშვილიდან დაწყებული „კარუსელის“ მონაწილე 100-ლარიანი ქალბატონებით დამთავრებული?***

***აქაც განსხვავებული პასუხია მოსალოდნელი, მაგრამ თვითონ უსინდისო გამყალებლები და მათი ახლობლები რას იტყვიან?***

ცხადია, 100-ლარიანი გაყალბების ფერხულში ქალბატონები გაჭირვებამ ჩააბა და მათ ალბათ კიდეც ეპატიებაც ის, რასაც სხვა გამყალბებლებზე ვერ ვიტყვით.

დაბოლოს, არის თუ არა გაყალბება სისხლის სამართლის დანაშაული?

ამაზე შეიძლება ყველამ ერთნაირად უპასუხოს, მაგრამ მათ ვინ დასჯის? განა ამისათვის ვინმე დასჯილა?

ცესკოს მთავარმა გამყალებელმა თარხნიშვილმა განაცხადა, „არჩევნებში ხარვეზები იყო და მის გამოსწორებაზე ფიქრს ხვალიდან დავიწყებთო“?! კი მაგრამ, ამ ფიქრის დაწყებას გუშინ და გუშინწინ ვინმე უშლიდა თუ მხოლოდ დღეს მიხვდა, რომ გაყალბება ძალიან ცუდი საქმეა?

ხმების მოპარვა რომ ქურდობაა, ამაშიც ალბათ ყველა დამეთანხმება, მაგრამ რატომ არ სურთ ნაციონალისტებს გამყალბებლების გამოვლენა და მათი დასჯა თუნდაც საარჩევნო უბნებში დაყენებული „ვიდეოთვალის“ დახმარებით? რატომ არ სურთ სიმართლის დადგენახმების გადათვლით, თუ მართალნი არიან?



თუ, გამარჯვებულებს არ ასამართლებენ?

ამათ ხალხი გაასამართლებს, რადგან სააკაშვილი და მისი გუნდი დამარცხდა და არც პომპეზური ინაუგურაცია უშველის ამ გაფუჭებულ საქმეს და არც გადამთიელთა მილოცვები.

თუმცა, „გამარჯვებულებისთვის“ თურმე ეს გაყალბებული არჩევნები „დემოკრატიისკენ გადადგმული ნაბიჯი“ ყოფილა, მით უმეტეს, რომ იქ მისულებისთვის რაღაც საჩუქრებიც დაურიგებიათ. ამდენად, სილატაკის წინააღმდეგ ბრძოლა უკვე დაიწყო!

სოფლებს კი არჩევნების წინ საჩუქრად ტრაქტორები დაურიგეს, რადგან თურმე სოფელი უნდა აყვავდეს (იქნებ გუთანი და კავი დაერიგებინათ ხარ-კამეჩთან ერთად?ძ. მაგრამ აღმოჩნდა, რომ იმ სოფლებს, სადაც სააკაშვილმა არჩევნები წააგო, ტრაქტორები წაართვეს (თურმე სოფლის მეურნეობის სამინისტროს ასე გადაუწყვეტიაძ. მაგალითად, ეს გურიის სოფელ შუხუთში მოხდა: ნაჩუქარი ტრაქტორი არჩევნების შემდეგ ლანჩხუთის გამგეობის ეზოში აღმოჩნდა. კიდევ რამდენი სოფელი დასაჯა ასე არჩევნებმა?

სოფელი არ ვიცი, მაგრამ ქალაქები რომ დაისჯება არჩევნების გამო, სავსებით მოსალოდნელია. პრეზიდენტს ხომ უნდობლობა ქალაქებმა გამოუცხადეს.

ამის მისაღწევად კი, „მთავრობის წევრებმა დღე და ღამე უნდა იმუშაონ!“ — ასე ბრძანა პრეზიდენტმა. ეს მართლაც კარგია, რადგან თუ ასე მოხდა, რესტორნები გამონთავისუფლდება და ღრეობებიც დამთავრდება ამ ქვეყანაში, მაგრამ ვითომ მათი უძილობა საქმეს უშველის? განათლება და პროფესიონალიზმი მათ მართლა არ სჭირდებათ?

აქამდე მართლაც არც განათლება სჭირდებოდათ და არც პროფესიონალიზმი და ახლა ვითომ საჯარო სკოლის მერხებს დაუბრუნდებიან? რა ხარისხის უმაღლესი განათლების დიპლომებით არიან ხელდამშვენებულნი, კარგად ვიცი ჩვენი უბადრუკი განათლების სისტემის გამო, მაგრამ მამაზეციერი მათ ვითომ ახალ ტვინს ჩაუდგამს? აკაკისა არ იყოს, „მარტო სწავლა რას უშველის, თუ ბუნებამც არ უშველა?“

გაყალბება მაინც არაპროფესიონალურად, ძალიან დაბალ დონეზე ჩატარდა და ამიტომაც ვერ მიაღწიეს სასურველ 70 პროცენტს. მაგრამ რასაც მიაღწიეს, ესეც, მათი გონებრივი შესაძლებლობიდან გამომდინარე, ძალიან დიდი საქმეა. აბა, სხვანაირად როგორ შეაფასებთ სააკაშვილის რეალური ხმების სულ ცოტა გაორმაგებას?

მაგრამ, არაპროფესიონალიზმი რა შუაშია, როცა მთავარი მიზანი მიღწეულია! სააკაშვილს „გადააბიჯებინეს“ 50-პროცენტიანი ზღურბლი, თუმცა ამით ხალხის დიდი უმრავლესობის გულისწყრომა გამოიწვიეს. განა პრეზიდენტს ასეთ „გამარჯვებას“ მეორე ტურში თუნდაც „დამარცხება“ არ ერჩია? ის ხომ ყველამ ნახა, ჩვენიანმაც და უცხოელმაც, რომ არჩევნები ტოტალურად გაყალბდა და ასეთი გაყალბებული შედეგები განა პრეზიდენტისა და მთელი ქვეყნის ავტორიტეტს არ ანადგურებს?

მნიშვნელოვანია, რომ სააკაშვილმა ხმები სწორედ იმ უბნებში „დააგროვა“, სადაც ამომრჩევლების რაოდენობა 1000-ს აჭარბებდა. ასე იყო თბილისშიც და რაიონებშიც. ამომრჩეველთა ნაწილი (მკვდარი სულების ჩათვლითძ რომ არ შეეწუხებინად, ურნებში დასტა-დასტად ალაგებდნენ წინასწარ „გახუთიანებულ“ ბიულეტენებს.

**როგორი იქნება მომავალი საპარლამენტო არჩევნები?**

**თარხნიშვილმა ხვალიდან ფიქრი მართლაც რომ დაიწყოს, არა მგონია ჩვენებურ არჩევნებს რამე სიკეთე დაეტყოს, თუ ძირეულად არ შეიცვალა საარჩევნო კანონი, არჩევნების წესი და ელემენტარული სინდისის მქონე წევრებით არ დაკომპლექტდა უკვე კარგა ხანია ავადსახსენებელი ცესკო. როცა ცესკოს ყველა უაღრესად საეჭვო გადაწყვეტილება 7:6-ზე გადიოდა, ამას პარიტეტთან რა საერთო აქვს? და როცა საეჭვოდ არჩეული პრეზიდენტი ისევ პარიტეტებს ბრძანებს, განა ცესკოს „პარიტეტი“ ცუდი მაგალითია, რომ ხალხმა ხელისუფლებას თავი არ მოატყუებინოს?**

**ისევ ხელისუფლების ყალბი დაპირებები გაისმის და ალბათ საპარლამენტო არჩევნებამდე გაგრძელდება. არჩევნებისთვის კი გამყალბებლების მთელი არმიაა და თუ მათ ხალხი არ დასჯის, გაზაფხულის არჩევნებიც გაყალბდება და ყველა მომდევნოც. სწორედ ამიტომაც უნდა დაიწყოს ხალხმა პრეზიდენტის „იმპიჩმენტისთვის“ ბრძოლა.**

**სამაგიეროდ, გრძელდება დაუნდობელი ბრძოლა ღარიბ-ღატაკების წინააღმდეგ და ღმერთო, გვევედრები, „გადაარჩინე ჩვენი სულები“.**

**მერაბ ჯიბლაძე,**

**„ქართული აკადემია“**

● რას ვიზამთ, პარტიომანიის სენი, როგორც ჩანს, ჩვენი ერის ხვედრი ყოფილა, და ყველა პარტიას თავი ყველაზე საუკეთესო ჰგონია



◎ პარტია, პარტია, პარტია ჩქარა!

# გიორგი ლაღიძე: ჩვენ პოლიტიკაში სუფთა ხელებით მოვდივართ

*შეიქმნა კიდევ ერთი ახალი პარტია – „მომავალი საქართველო“, რომლის თავმჯდომარეა გიორგი ლაღიძე. იგი მანამდე ადამიანის უფლებათა დაცვის არასამთავრობო ორგანიზაციას ხელმძღვანელობდა. დამფუძნებელ კონფერენციაზე გაირკვა, რომ პარტიაში 25-მდე არასამთავრობო ორგანიზაცია გაერთიანდა, ხოლო მისი დაფუძნება, გიორგი ლაღიძის თქმით, ჩვენს ქვეყანაში არსებულმა უამრავმა პრობლემამ, ხალხის გაჭირვებამ და უსამართლობამ განაპირობა. პარტია სერიოზულად ემზადება მომავალი საპარლამენტო არჩევნებისთვის. რომელი ცნობილი სახეები გაერთიანდებიან პარტიაში? გიორგი ლაღიძე მათ ვინაობას ჯერჯერობით არ აკონკრეტებს, თუმცა პარტიის ბირთვი თურმე უამრავი პროფესიონალი იურისტები, სამართალდამცველები ყოფილა. „ამ პარტიაში თავმოყრილია ის ხალხი, ვინც სუფთა ხელებით მოვა პოლიტიკაში. საზოგადოება დაიღალა ერთი და იგივე სახეებით. მრავალი ადამიანი ერთი პარტიიდან მეორეში გადადის და მერე სხვადასხვა პოზიციიდან უმტკიცებს ხალხს სიმართლეს. ჩვენ გვყავს პროფესიონალები, რომლებიც შეძლებენ უამრავი პრობლემის მოგვარებას, უწინარესად სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის გარანტიების შექმნას და ამ უსამართლობის ფონის აღმოფხვრას“.*

ახალი პარტიის ლიდერი აცხადებს, რომ ისინი ყველა ოპოზიციურ ჯანსაღ ძალასთან, მათ შორის ხელისუფლების იმ წარმომადგენლებთანაც ითანამშრომლებენ, ვინც „მართლა მოწადინებული იქნება, რომ საქართველო დამოუკიდებელ და დემოკრატიულ სამართლებრივ სახელმწიფოდ ჩამოყალიბდეს. კრიტიკული ვერ ვიქნები იმ შემთხვევაში, თუ დავინახავ, რომ რომელიმე თანამდებობის პირი მართებულ ნაბიჯებს დგამს, უპასუხებს დემოკრატიულ მოთხოვნებს, მაგრამ ძალიან მკაცრად გავაკრიტიკებთ ხელისუფლების იმ წარმომადგენელს ან კონკრეტულ პოლიტიკურ ძალას, რომელსაც ხალხი შეცდომაში შეჰყავს, ხალხის ხარჯზე მდიდრდება და ქართულ საზოგადოებას ატყუებს. ხელისუფლებაში ყველა ნამდვილად არ არის დამნაშავე და უნამუსო“...

გიორგი ლაღიძეს უმართებულოდ მიაჩნია, რომ ოპოზიცია დათანხმდეს ხელისუფლების კონკრეტულ შემოთავაზებას ამა თუ იმ თანამდებობაზე. „მათ ხალხი ქუჩაში იმიტომ გამოყვა, რომ ამ ადამიანებს დღევანდელი ხელისუფლების და ყველა იმ უკანონობის მიმართ, რაც ხელისუფლება სჩადიოდა, თუნდაც 7 ნოემბერს, პროტესტს გამოხატავენ. ამ მოვლენების მომსწრენი და თვითმხილველი ჩვენც ვართ. ამიტომ არანაირი გარიგება არ უნდა მოხდეს – ოპოზიციის პოზიცია საკმაოდ მკაცრი უნდა იყოს. თუმცა, ვნახოთ, მომავალი რას დაგვანახებს, შესაძლოა ხელისუფლებასა და პოლიტიკურ ძალებს შორის თანამშრომლობის სრულიად განსხვავებული სურათიც დაიხატოს“.

„მომავალი საქართველოს“ მომავალი ლიდერი ფიქრობს, რომ არ არის გამორიცხული, სამომავლოდ თანამდებობებზე ოპოზიციის წარმომადგენლებიც იხილოს, თუმცა ამ შემთხვევაში ისინი „ხალხის თვალში ქულებს დაკარგავენ. შესაძლოა ეს იყოს ხელისუფლების ფანდი, რათა ოპოზიციას მხარდამჭერები ჩამოაშოროს“.

გიორგი ლაღიძემ ოპოზიციაც გააკრიტიკა და დასძინა, რომ მას უფრო მკვეთრი და მიზანმიმართული ქმედებები მართებდა არჩევნების შემდეგ, თუნდაც საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობებში, რამდენიც არ უნდა ვიძახოთ, სააკაშვილი არალეგიტიმური პრეზიდენტიაო, მათ მხარი დაუჭირეს სააკაშვილის გამარჯვებას. ოპოზიციამ სუსტად იმუშავაო, დაასკვნა ლაღიძემ.

იგი იპოდრომზე გამართულ ოპოზიციის აქციას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს, მაგრამ თავად იპოდრომზე მის ჩატარებას მაინცდამაინც რეზონანსულად არ მიიჩნევს. „იპოდრომზე თავმოყრილი ქართული საზოგადოების ძალიან დიდმა ნაწილმა სააკაშვილის ლეგიტიმური პრეზიდენტობა არ ცნო და ამის გამო პროტესტი გამოხატა, მაგრამ ამ აქციამ სააკაშვილის ინაუგურაციაზე გავლენა ვერ მოახდინა“.

თავად ლაღიძე და მისი ახლად დაფუძნებული პარტიის წევრები არც იპოდრომზე მივიდნენ და არც ინაუგურაციაში მონაწილეობდნენ, რადგან უამრავ საორგანიზაციო საკითხს აგვარებენ და „ამ მოვლენებისთვის არ ეცალათ“.

ასე რომ, პარტიების ცვენით განთქმულ საქართველოში კიდევ ერთი პარტია დაფუძნდა, ვინ არ მიესალმება ისეთი პოლიტიკური ძალის გამოჩენას, რომელიც მიზნად დაისახავს ქართველი ხალხის ინტერესების დაცვას, მაგრამ განა სხვა უამრავ უკვე არსებულ პარტიასაც ხალხზე ზრუნვა არ უდევს საფუძვლად? აბა, რომელიმეს აკადრე და უთხარი, ხალხი არ გაინტერესებს, ან სუფთა ხელებით არ მოსულხარ პოლიტიკაშიო, ერთი ვაი-უშველებელს ატეხენ.

**რას ვიზამთ, პარტიომანიის სენი, როგორც ჩანს, ჩვენი ერის ხვედრი ყოფილა, და ყველა პარტიას თავი ყველაზე საუკეთესო ჰგონია.**

**ნატა ნიბლაძე**

№ 11. სამშაბათი, 22 იანვარი, 2008 წელი.

◎ ახალი მოძრაობა – „არა სიყალბეს“!

# საერთაშორისო ორგანიზაციები კრიტიკის ქარცეცხლში მოხვდნენ

**პრეზიდენტის ინაუგურაციის მიუხედავად, ოპოზიციურად განწყობილი ძალები ცესკოს შედეგებს არ ცნობენ და გზებსა და მეთოდებს ეძებენ გაყალბების შედეგებთან საბრძოლველად.**

თანასწორობის ინსტიტუტმა ახალი კამპანია დაიწყო სიყალბის წინააღმდეგ – „არა სიყალბეს“! როგორც აცხადებენ, ეს იქნება მოძრაობა მთელი საქართველოს მასშტაბით, ყველა რეგიონში შეიქმნება ცენტრები, სადაც გაერთიანდებიან მოქალაქეები და პერმანენტულად გამართავენ მშვიდობიან საპროტესტო აქციებს ძალადობისა და გაყალბების წინააღმდეგ. ჩვენ ყოველდღე შევახსენებთ ხელისუფლებას, რომ პრეზიდენტის ლეგიტიმურობას არ ვცნობთ და ვაიძულებთ, დანიშნოს მეორე ტური, – ამბობენ „თანასწორობის ინსტიტუტში“. მათ კიდევ ერთხელ „ააფრიალეს“ ნაგავსაყრელიდან ამოღებული ბიულეტენი.

„ეს ახლა ჩვენს ხელში არ უნდა იყოს – ცესკოში ხუთი წლის განმავლობაში უნდა ინახებოდეს. ამის შესახებ მივმართეთ ცესკოს, ამ ფაქტით იმთავითვე უნდა დაინტერესებულიყო პროკურატურაც, თუმცა, როგორც ხედავთ, მსგავსი რამ არ მომხდარა, რაც ადასტურებს იმას, რომ ეს ბიულეტენი წინასწარ გაამზადეს კარუსელის დასატრიალებლად, რისი ჩაყრაც მოასწრეს, ყუთებში ჩაყარეს, ხოლო, რისი ჩაყრაც ვერ მოასწრეს, გადაყარეს“, – ამბობენ ისინი.

„თანასწორობის ინსტიტუტის“ წარმომადგენლებმა, არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციასთან ერთად საპროტესტო განცხადებით მიმართეს საქართველოში ჩამოსულ საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციებს; ლაშა ჩხარტიშვილის თქმით, საპროტესტო აქციათა ნუსხაში განსაკუთრებული კრიტიკით მოხვდებიან საერთაშორისო ორგანიზაციები. მათ პრინციპულად მოვთხოვთ გადახედონ არჩევნებთან დაკავშირებით ჩატარებულ სამუშაოებს, – ამბობს ჩხარტიშვილი, – ჩვენ კი კიდევ ერთხელ გავუკეთებთ მობილიზაციას გაყალბების ამსახველ ყველა კონკრეტულ ფაქტს. აქამდე ისინი ჭეშმარიტ სიმართლეს არ აშუქებდნენ, ჩვენ კი მუდმივად ვეცდებით, ვაიძულოთ საერთაშორისო ორგანიზაციები, გამოააშკარაონ რეალობა, რადგან ისინი ასევე აგებენ პასუხს ქვეყანაში არსებულ სიყალბესა და განვითარებულ მოვლენებზე.

**სწორედ ეს იქნება ნიშანი იმისა, რომ სამოქალაქო საზოგადოება შედგა და საქართველო არაა იმის ღირსი, რომ ქვეყანამ სიყალბე მიიღოს და პოლიტიკურ ბაკქანალიას შეეგუოს.**




**ნია ფიფია**



◎ ინფორმაცია

# თხოვნის ადრესატი პრეზიდენტია, შინაარსი – მასთან შეხვედრა

**„საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ არსებობისა და საქმიანობის ორი წლის თავზე ასოციაციის თავმჯდომარე კახაბერ ასლანიშვილი საქართველოს პრეზიდენტთან მიხეილ სააკაშვილთან შეხვედრას ითხოვს.**

ასლანიშვილის განცხადებაში აღნიშნულია, რომ არ სურს, აპრობირებული ღია წერილების ფორმა გამოიყენოს და სათქმელი წინასწარ თქვას.

– შესაძლო შეხვედრამდე მხოლოდ იმას აღვნიშნავ, რომ ადვოკატის ინსტიტუტის გაძლიერება პირდაპირპროპორციულად აისახება ჩვენი ქვეყნის სამართლებრივ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებასა და, აქედან გამომდინარე, უახლოეს პერსპექტივებზე. მოგეხსენებათ, რომ ადვოკატის პროფესიის განვითარების ნიშნით შესაძლებელია სახელმწიფოს დემოკრატიულობის ხარისხის განსაზღვრა. ვფიქრობ, რომ პირებს, ვისაც ხელისუფლების ამა თუ იმ შტოში მინდობილი აქვთ სამართლებრივი რეფორმების განხორციელება, ჩვენი თანადგომა სჭირდებათ, ხოლო იმ პროცესებს, რომლებიც სამართლებრივი რეფორმების სახით მიმდინარეობს, ჩვენი მონაწილეობა. სწორედ ამ თანამშრომლობის ფორმებსა და იმ ნაბიჯებზე მსურს საუბარი, რომლებიც დამოუკიდებელი სასამართლოს არსებობასა და ადამიანის უფლებების განუხრელ დაცვას მიღწევადს გახდის, – აღნიშნულია ასლანიშვილის განცხადებაში.

როგორც ასლანიშვილი აცხადებს, სურს, გამოხატოს მხოლოდ ერთი საიუბილეო თხოვნა, რომელიც სახელმწიფოს სამართლებრივ ცხოვრებაში არსებულმა პრობლემებმა განაპირობა. – ამ თხოვნის ადრესატი საქართველოს პრეზიდენტია, ხოლო შინაარსი – მასთან შეხვედრა, – აღნიშნავს „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ხელმძღვანელი.

**ინტერპრესნიუსი**

სხვადასხვა მონაცემებით ოპოზიციის მიტინგში მონაწილეობდა 60-დან 80 ათასამდე კაცი. ადამიანები იპოდრომზე მოდიოდნენ ცივი ამინდისა და მოყინული ბილიკების მიუხედავად, სადაც მომიტინგეები „ცოცხალ მოაჯირებს" აწყობდნენ, რათა ქალებსა და მოხუცებს დახმარებოდნენ იპოდრომის ცენტრში მისასვლელად



რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# მიხეილ სააკაშვილმა ფიცი დადო

კვირას საქართველოში მეორე ვადით ქვეყნის პრეზიდენტობის ფიცი დადო მიხეილ სააკაშვილმა. თითქმის იმავდროულად დედაქალაქისა და რეგიონების ათიათასობით მცხოვრები იპოდრომის ტერიტორიაზე გამართულ ოპოზიციის მიტინგზე მივიდა.

საპროგრამო სიტყვაში სააკაშვილმა ჩამოთვალა ის პრიორიტეტული პრობლემები, რომელთა გადაწყვეტასაც პრეზიდენტობის მეორე ვადისას აპირებს: ქვეყანაში ცხოვრების დონის ამაღლება, დემოკრატიული ინსტიტუტების განმტკიცება, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტების მოწესრიგება, ნატოსა და ევროკავშირში ინტეგრაცია, რუსეთთან ურთიერთობის მოგვარება.

„საქართველო სტაბილურ ქვეყნად ვერ ჩამოყალიბდება, თუ ერთად არ შევინარჩუნეთ ეთნიკური სიმშვიდე, ყველა ეთნიკურ ჯგუფს შორის თანამშრომლობა, ყველა ერთად დღედაღამ ვიმუშავებთ, რათა მომავალ პრეზიდენტს და მომავალ თაობებს აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან გაერთიანებული საქართველო დავუტოვოთ", – თქვა სააკაშვილმა. პარლამენტის წინ მოედანზე სტუმრებთან – პოლონეთის, რუმინეთის, ესტონეთის, ლატვიისა და ლიტვის პრეზიდენტებთან, აგრეთვე 17 სახელმწიფოს, მათ შორის რუსეთის სამთავრობო დელეგაციებთან ერთად 5-დან 7 ათასამდე კაცი შეიკრიბა.

„ის ჭკვიანი და ამაყია, როგორც ყველა ქართველი", – მიაჩნია დასავლეთ საქართველოს აბაშის რაიონული საავადმყოფოს მთავარ ექიმს ნანა შენგელიას. ის ინაუგურაციაზე მამუკა ლანჩავასთან ერთად მოვიდა, რომელსაც 2008 წლის 20 იანვარი მიაჩნია „კორუფციასა და ბანდიტიზმზე მთელი საქართველოს გამარჯვების დღედ, რაც საბოლოოდ ქვეყანას ნატოსა და ევროკავშირში მიიყვანს".

„ძალიან ვენდობი ჩვენს პრეზიდენტს. მან ბევრი რამ გააკეთა საქართველოსთვის, – თქვა საქართველოს ისტორიის სახელმწიფო მუზეუმის უფროსმა კურატორმა მედეა შეროზიამ. – ვამაყობ ჩვენი არმიით, რომელიც მან შექმნა, მივესალმები განათლების რეფორმას, რომლის წყალობითაც ახლა ფულისა და ნაცნობების გარეშე შეიძლება სწავლა. მჯერა, რომ მომავალშიც განაგრძობს ჩვენი პრობლემების გადაჭრას და, უწინარეს ყოვლისა, ჩვენი მოქალაქეების სოციალურ მდგომარეობას გააუმჯობესებს".

ინაუგურაციაზე თავის სიტყვაში მიხეილ სააკაშვილი რუსეთთან ურთიერთობასაც შეეხო, რომლის აგებასაც იგი ახლებურად აპირებს, რათა დაძლეულ იქნეს ნეგატიური ტენდენციები.

„ჯერ კიდევ ოთხი წლის წინათ მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელი გავუწოდეთ რუსეთს, დღეს იგივე მინდა გავიმეორო და კვლავ პარტნიორობის ხელს ვუწვდი ჩვენს ჩრდილოელ მეზობელს. უნდა ვიმეგობროთ, უნდა დავახლოვდეთ, ერთად უნდა ვიდგეთ", – განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა. ამასთან მან აღნიშნა, რომ „საქართველოს ნატოსკენ ორიენტაცია არც ერთი მეზობელი ქვეყნის ინტერესებს არ ეწინააღმდეგება და არ არის მიმართული ვინმეს წინააღმდეგ".

„ვფიქრობ, რომ გვაქვს შანსი დავიწყოთ ახალი ურთიერთობა, ქართველ ხალხს ალტერნატივა არ აქვს", – თქვა მან მოგვიანებით, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მეთაურთან სერგეი ლავროვთან შეხვედრისას. – ძალიან ბევრი ქვა ვისროლეთ. დადგა მათი შეგროვების ჟამი.

სერგეი ლავროვმა, თავის მხრივ, თქვა, რომ რუსეთი იზიარებს ასეთ განწყობას და სიტყვიდან კონკრეტულ საქმეებზე გადასვლას სთავაზობს. „მართლა გვჯერა, რომ კიდევ ერთხელ უნდა ვცადოთ ჩვენი ურთიერთობის გაუმჯობესება", – დასძინა ლავროვმა.

თითქმის ინაუგურაციასთან ერთდროულად თავის მომხრეებს მოუყარა თავი გაერთიანებულმა ოპოზიციამ, რომელიც 5 იანვრის ვადამდელი არჩევნების ოფიციალურ შედეგებს არ ცნობს. მასში შემავალი პარტიების ლიდერები აცხადებენ, რომ არ ეთანხმებიან საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მონაცემებს და მიხეილ სააკაშვილს გამარჯვებულად არ მიიჩნევენ. ისინი მეორე ტურს მოითხოვენ. მათ მოთხოვნებს შეუერთდა „ახალ მემარჯვენეთა" პარტია და „საქართველოს ლეიბორისტული პარტია", რომლებიც გაერთიანებული ოპოზიციის ეროვნულ საბჭოში არ შედიან.

სხვადასხვა მონაცემებით ოპოზიციის მიტინგში მონაწილეობდა 60-დან 80 ათასამდე კაცი. ადამიანები იპოდრომზე მოდიოდნენ ცივი ამინდისა და მოყინული ბილიკების მიუხედავად, სადაც მომიტინგეები „ცოცხალ მოაჯირებს" აწყობდნენ, რათა ქალებსა და მოხუცებს დახმარებოდნენ იპოდრომის ცენტრში მისასვლელად.

მიტინგზე სლოგანის „არ მეშინია" ნაცვლად გაჟღერდა ოპოზიციის ახალი ლოზუნგი „არც ერთი ნაბიჯი უკან!" გაერთიანებული ოპოზიციის ლიდერმა ლევან გაჩეჩილაძემ მიტინგზე გამოსვლისას, განაცხადა, რომ ოპოზიცია სისხლისღვრას არ დაუშვებს და საქართველოს პრეზიდენტის პოსტიდან მიხეილ სააკაშვილის მშვიდობიანი მეთოდით გადაყენებას მიაღწევს.

„საქართველოს ხალხისათვის სამართლიან არჩევნებს, თავისუფალ მასმედიას და თავისუფალ სასამართლოს მოვითხოვთ", – თქვა გაჩეჩილაძემ. ამასთან ოპოზიციის ლიდერმა პირველად განაცხადა სახალხო აჯანყების შესაძლებლობის თაობაზე. „ეს ჩვენი ულტიმატუმი კი არა, სააკაშვილის გაფრთხილებაა, არც ერთი სავარძელი არ გვიღირს თუნდაც ერთი კაცის სისხლის ფასად, მაგრამ თუ ამგვარი პოლიტიკა გაგრძელდა, ოპოზიცია სააკაშვილს საქართველოს პრეზიდენტის პოსტიდან წასვლას აიძულებს", – აღნიშნა მან.

„არასოდეს არ ვაღიარებთ სააკაშვილს ჩვენს პრეზიდენტად და განვაგრძობთ პოლიტიკურ ბრძოლას. ადამიანებმა, რომლებიც დღეს მიტინგზე მოვიდნენ, მთელ მსოფლიოს უჩვენეს, რომ სააკაშვილი მათი პრეზიდენტი არ არის", – თქვა გაერთიანებული ოპოზიციის წევრმა გიორგი ცაგარეიშვილმა.

„ნებისმიერი დიქტატორული რეჟიმი განწირულია, როცა მას ხალხი ებრძვის", – განაცხადა მიტინგზე ხუთგზის მსოფლიოს ჩემპიონმა ჭადრაკში ნონა გაფრინდაშვილმა, რომელიც „გაერთიანებული საქართველოს დემოკრატიულ პარტიას" მეთაურობს. მან შეკრებილთ აღუთქვა, რომ ოპოზიციის გვერდით იქნება ბოლომდე, სანამ სააკაშვილი პოსტიდან არ წავა.

იპოდრომზე მოსულ ოპოზიციის მომხრეთა უმრავლესობას ქართული ინტელიგენციის წარმომადგენლები შეადგენენ. პროფესიით ფიზიკოსი თბილისელი თამარ სადღობელაშვილი ამბობს, რომ მიტინგზე მოვიდა, რათა პროტესტი გამოხატოს საერთაშორისო ორგანიზაციების, ევროპის ქვეყნებისა და შეერთებული შტატების მთავრობათა მიმართ, რომლებმაც არჩევნების შედეგები აღიარეს. „მე და ჩემი მეგობრები არ ვცნობთ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ლეგიტიმურობას და ვაცხადებთ, რომ არჩევნები გაყალბდა. მთელმა საქართველომ იცის, რომ ლევან გაჩეჩილაძემ გაიმარჯვა", – თქვა მან.

„სხვა გზა არა გვაქვს, ან სისხლისღვრა, რომელიც არ გვინდა, ანდა პროტესტის გამოხატვა მანამ, სანამ სამართლიანობას არ მივაღწევთ", – მხარი აუბა მას თბილისელმა სერგო ხუროშვილმა.

აფხაზეთიდან დევნილი, 90-იანი წლების დამდეგს შეიარაღებული კონფლიქტის დროს საომარ მოქმედებათა მონაწილე გიზო კაკაბაძეც შიშობს, რომ სიტუაცია შეიძლება ხელისუფალთა წინააღმდეგ საქართველოს მოქალაქეთა სახალხო აჯანყებაში გადაიზარდოს. მას აგრეთვე მიაჩნია, რომ „დასავლეთმა და შეერთებულმა შტატებმა საქართველო მეზობელ რუსეთს ჩამოაშორეს, რომელთანაც მეგობრობა ქართველებისთვის ყოველთვის სიკეთე მოჰქონდა".

კვირას საპროტესტო მიტინგი ექსცესების გარეშე დასრულდა. ჯერ კიდევ მიტინგამდე ოპოზიციის ლიდერები აცხადებდნენ, რომ უარს ამბობენ ქალაქში მსვლელობისგან, რათა ხელისუფლებასთან კონფრონტაცია არ დაუშვან. აქციის ორგანიზატორებმა მიტინგის მონაწილეებს დაშლისთვის მოუწოდეს და შეპირდნენ, რომ უახლოეს დღეებში გამოუცხადებენ თავიანთ შემდგომ გეგმებს.

შემდეგ აქციას ხალხის პარტია აპირებს სამშაბათს შეერთებული შტატების საელჩოს წინ იმის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად, რომ შეერთებულმა შტატებმა არჩევნები თავისუფალ და დემოკრატიულ არჩევნებად ცნო. ადრე ოპოზიცია აპირებდა მიტინგის შემდეგ ქალაქის ცენტრისკენ რუსთაველის პროსპექტით მსვლელობის მოწყობას, მაგრამ საამისოდ მუნიციპალური ხელისუფლების ნებართვა ვერ მიიღო. მომიტინგეთა დიდძალი რაოდენობის მიუხედავად იპოდრომზე პოლიცია პრაქტიკულად არ ყოფილა. მისი ფუნქცია მხოლოდ იპოდრომის გარშემო გზების პატრულირებით შემოიფარგლა.

**ქეთი ბოჭორიშვილი**

BBC RUSSIAN.com

# სააკაშვილი ისევ ხელებს იწვდის „ჩრდილოელი მეზობლისკენ"

20 იანვარს მიხეილ სააკაშვილი მეორედ გახდა საქართველოს პრეზიდენტი. თანამდებობის დაკავების საზეიმო ცერემონია თბილისის რუსთაველის პროსპექტზე ბევრად უფრო პომპეზური იყო, ვიდრე 4 წლის წინათ. ინაუგურაციამდე საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებულმა სააკაშვილმა მარტომ ილოცა ქუთაისის მახლობლად გელათის სამონასტრო კომპლექსში დავით აღმაშენებლის საფლავზე.

ინაუგურაციაც და სააკაშვილის 40-წუთიანი სიტყვაც მიზნად ისახავდა ხალხისა და ხელისუფლების უმაგალითო ერთიანობის ილუსტრირებას. ამისათვის თბილისში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" აღფრთოვანებული აქტივისტები საქართველოს თითქმის ყველა რაიონიდან ჩამოიყვანეს. ამ დროს 80-ათასი ადამიანი მიტინგს მართავდა იპოდრომზე, პროტესტს უცხადებდა რა არჩევნების გაყალბებას. „სააკაშვილი პრეზიდენტი არ არის, მას არ გაუმარჯვია, ამიტომ ინაუგურაცია არ ყოფილა. რუსთაველის პროსპექტზე ჩვენ ძალა გვიჩვენეს – არმიის მონაწილეობით", – განაცხადა გაერთიანებული ოპოზიციის ერთ-ერთმა ლიდერმა ზვიად ძიძიგურმა.

თავად სააკაშვილი თეთრ-წითელ ფერებში გაფორმებული პარლამენტის წინ ტრიბუნაზე გამოვიდა. მასთან ახლდა მეუღლე სანდრა და ორი ვაჟიშვილი. უმცროსი, ნიკოლოზი, გულში რაღაც სათამაშოს იკრავდა. სანამ მამამისი ფიცს დებდა, სწორედ ამით ერთობოდა. უფროსი სააკაშვილი იმდენად ღელავდა, რომ კონსტიტუციაზე ხელის დადება დაავიწყდა. ეს სულ ბოლოს გააკეთა. საინაუგურაციო სიტყვის დასაწყისიც არ ყოფილა ომახიანი. პრეზიდენტი ბორძიკით ლაპარაკობდა, თითქოს სიტყვებს ეძებსო. მაგრამ მერე ეშხში შევიდა. პრეზიდენტი ცდილობდა ეჩვენებინა, რომ პარტიული ინტერესების მაღლა დგას და მადლობასაც უხდიდა ოპოზიციას. „ყველა ერთად ავაშენებთ საქართველოს სიღარიბის გარეშე, გავაერთიანებთ ქვეყანას, განვამტკიცებთ ჩვენს უშიშროებასა და ერთიანობას, ხელს გავუწვდით ჩვენს ჩრდილოელ მეზობელს რუსეთს და კიდევ უფრო მტკიცე ნაბიჯით ვივლით ნატოსკენ და ევროკავშირისკენ", – თქვა სააკაშვილმა. თანაც დასძინა, რომ „ოთხი წლის წინათაც მეგობრობის ხელს უწვდიდა რუსეთს".

მოსკოვს ინაუგურაციაზე წარმოადგენდა საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი. თბილისში ჩამოფრინდნენ აგრეთვე პოლონეთის, ლატვიის, ლიტვის, ესტონეთის და რუმინეთის პრეზიდენტები, აზერბაიჯანისა და ყაზახეთის მთავრობათა მეთაურები. ავადმყოფობის გამო მეგობრისა და კოლეგის მისალოცად ვერ ჩამოვიდა უკრაინის პრემიერი იულია ტიმოშენკო.

სამაგიეროდ შეერთებულ შტატებს ერთბაშად სამი მოხელე წარმოადგენდა: ვაჭრობის მინისტრი კარლოს გუტიერესი, გენერალური მდივნის მოადგილის თანაშემწე მეთიუ ბრაიზა და ამერიკის ელჩი საქართველოში ჯონ ტეფტი. განსაკუთრებული ყურადღებით სტუმრები თვალს ადევნებდნენ ალუმს, რომლის 2500 მონაწილე პირველად გამოჩნდა ხალხის წინაშე ხელში ახალი ამერიკული ემ–4 ავტომატით. ამ ავტომატური კარაბინის პირველი პარტია სამხედრო მოსამსახურეებს ორი დღის წინათ თავად სააკაშვილმა გადასცა.

ქვეითების გარდა, რუსთაველის პროსპექტით ჩაიარა რამდენიმე ჯავშანტრანსპორტიორმა და საარტილერიო დანადგარმა, პარლამენტს კი თითქმის მთელი საქართველოს ავიაციამ გადაუფრინა – „იროკეზის" და მი-24 ტიპის ვერტმფრენებით დაწყებული და სუ-25 მოიერიშე თვითმფრინავებით დამთავრებული.



საინტერესოა, რომ ინაუგურაციის წინა დღეს თეთრი სახლის წარმომადგენლები ოპოზიციურ ლიდერებს ხვდებოდნენ, აშკარად ცდილობდნენ რა ანტიამერიკული ვნებების დაცხრობას. ოპოზიციონერებს ლავროვიც უნდა შეხვდეს, მას მერე, რაც გამართავს საუბარს საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის წინამძღოლთან, კათალიკოს-პატრიარქთან ილია მეორესთან და მოლაპარაკებას სააკაშვილთან. სწორედ ასეთი თანამიმდევრობით... ინაუგურაციის პირველი ნაწილი თბილისის ოპერაში ესპანელი ტენორის ხოსე კარერასის კონცერტით დასრულდა. „მეორე სერია" ორშაბათს ქუთაისში – 1003 წელს ნაკურთხ ბაგრატის ტაძარში გაიმართება.

**ალექსანდრე იაშვილი**

ИЗВЕСТИЯ

ОБЩЕНАЦИОНАЛЬНАЯ ГАЗЕТА

№ 11. სამშაბათი, 22 იანვარი, 2008 წელი.

● ოპოზიციის გუშინდელი აქციის ლოზუნგები იგივე იყო, რაც იმ მიტინგებზე, რომლებიც დედაქალაქში ორი კვირის წინ იმართებოდა



◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# სააკაშვილმა პრეზიდენტის პოსტი მეორე ვადით დაიკავა

გუშინ თბილისში გაიმართა მიხეილ სააკაშვილის ინაუგურაცია, რომელმაც 5 იანვარს ვადამდელ საპრეზიდენტო არჩევნებში გაიმარჯვა. ამ მასშტაბურ და შთამბეჭდავ ღონისძიებაში ახლად არჩეული პრეზიდენტის ათასობით მომხრე, მრავალი უცხოელი სტუმარი მონაწილეობდა. გაიმართა აღლუმი, რომელშიც მონაწილეობდნენ საქართველოს არმიის ელიტური ქვედანაყოფები, ჯავშანტექნიკა და საბრძოლო თვითმფრინავებიც კი, რომლებმაც აღლუმის ბოლოს რუსთაველის პროსპექტს გადაუფრინეს. საზეიმო ღონისძიება დღესაც გრძელდება — არა დედაქალაქში, არამედ ქვეყნის სიდიდით მეორე ქალაქში — ქუთაისში, გელათის სატაძრო კომპლექსში, სადაც ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის უმაღლესი მღვდელთმსახურნი მიხეილ სააკაშვილს აკურთხებენ როგორც პრეზიდენტს.

შაბათ საღამოდან თბილისის აეროპორტი სრული დატვირთვით მუშაობდა — აქ იღებდნენ სპეცრეისებს, რომლებითაც საზღვარგარეთის დელეგაციები ჩამოდიოდნენ. მიხეილ სააკაშვილის მისალოცად თბილისში ჩამოვიდნენ ბალტიისპირეთის სამივე ქვეყნის, პოლონეთისა და რუმინეთის პრეზიდენტები. მთავრობათა მეთაურების დონეზე იყვნენ წარმოდგენილი აზერბაიჯანი და ყაზახეთი. თავის დღესასწაულზე სააკაშვილი უკრაინის პრემიერს იულია ტიმოშენკოსაც ელოდა, მაგრამ იგი ავადმყოფობის გამო თბილისში ვერ ჩამოვიდა და თავისი ერთ-ერთი ვიცე-პრემიერი გამოგზავნა. დელეგაცია ჩამოვიდა რუსეთიდანაც — კვირას დილით თბილისში ჩამოფრინდა რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს მეთაური სერგეი ლავროვი.

ცერემონიაზე შეერთებული შტატების ადმინისტრაციას წარმოადგენდნენ ვაჭრობის მინისტრი კარლოს გუტიერესი და სახელმწიფო მდივნის თანაშემწე მეთიუ ბრაიზა. საპატიო სტუმართა შორის იყვნენ აგრეთვე ნატოს, ევროკავშირისა და ეუთოს მაღალი თანამდებობის წარმომადგენლები. სულ, როგორც „ნეზავისიმაია გაზეტას“ საქართველოს სახელმწიფო კანცელარიაში აცნობეს, თბილისში ზეიმზე ჩამოვიდა ახლო და შორი საზღვარგარეთის თითქმის 40 ქვეყნის დელეგაცია. ამასთან სახელმწიფო კანცელარიაში ხაზი გაუსვეს, რომ ახლა საზღვარგარეთის წარმომადგენლობის დონე უფრო მაღალი იყო, ვიდრე ოთხი წლის წინათ, როცა სააკაშვილმა პირველად დაიკავა პრეზიდენტის თანამდებობა — მაშინ მის ინაუგურაციაში საგარეო საქმეთა მინისტრები მონაწილეობდნენ.



მიხეილ სააკაშვილმა თავის ნახევარსაათიან მეტად ემოციურ საინაუგურაციო სიტყვაში ხაზი გაუსვა, რომ საქართველომ იანვრის არჩევნებში ღირსეულად ჩააბარა დემოკრატიული პრინციპებისადმი ერთგულების გამოცდა და ეს მსოფლიო გაერთიანებამაც აღიარა.

მომავალი ხუთი წლისათვის უმთავრეს ამოცანებად მან დაასახელა სიღარიბის დაძლევის პროგრამების რეალიზაცია, ეროვნული ეკონომიკის ყველა დარგის დაჩქარებული განვითარება, ქვეყნის გაერთიანება, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დაბრუნება, ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაცია. სააკაშვილი საქართველო-რუსეთის ურთიერთობის პრობლემასაც შეეხო. „ჯერ კიდევ ოთხი წლის წინათ ჩვენ პარტნიორობის ხელი გავუწოდეთ ჩვენს ჩრდილოელ მეზობელს. უნდა ვიმეგობროთ, უნდა დავაახლოვდეთ, ერთად უნდა ვიდგეთ“, — განაცხადა სააკაშვილმა.

აღსანიშნავია, რომ ინაუგურაციის მონაწილეთა შორის არ იყო სააკაშვილის არც ერთი მეტოქე საპრეზიდენტო არჩევნებში. მათ ამ ღონისძიების იგნორირება მოახდინეს და 10 ათასობით მომხრესთან ერთად პრაქტიკულად იმავე დროს მორიგი საპროტესტო მიტინგი გამართეს ქალაქის მეორე ბოლოში — თბილისის იპოდრომის ტერიტორიაზე. თავდაპირველად გაერთიანებული ოპოზიციის ეროვნული საბჭოს ლიდერებს აქციის გამართვა იქვე, რუსთაველის პროსპექტზე უნდოდათ, მაგრამ დედაქალაქის მერიამ ასეთი განაცხადი კატეგორიულად უარყო. ქალაქის ხელისუფალთა აზრით ამას შეიძლებოდა ახლადარჩეული პრეზიდენტის მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა შორის შეხლა-შემოხლა გამოეწვია.

ოპოზიციის გუშინდელი აქციის ლოზუნგები იგივე იყო, რაც იმ მიტინგებზე, რომლებიც დედაქალაქში ორი კვირის წინ იმართებოდა. ოპოზიცია არ აღიარებს სააკაშვილის გამარჯვებას, არჩევნების ოფიციალურ შედეგებს გაყალბებულს უწოდებს და ხმების ხელახლა დათვლას მოითხოვს. მაგრამ როგორც ჩანს, ეროვნული საბჭოს ლიდერები შეეგუენ იმას, რომ კენჭისყრის მეორე ტურის დანიშვნა ვერ მოხერხდება. როგორც მიხეილ სააკაშვილის ინაუგურაციის წინ ეროვნული საბჭოს წევრმა, პარლამენტის დეპუტატმა ლევან ბერძენიშვილმა განაცხადა, ოპოზიცია ახლანდელ ხელისუფლებასთან არ ითანამშრომლებს და ბრძოლას განაგრძობს.

ანატოლი გორდიენკო

НЕЗАВИСИМАЯ ГАЗЕТА


## ს/ს „ვედიდკარის“ მმართველი გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ საქართველოს კანონის, ს/ს „ვედიდკარის“ გაკოტრების მმართველის 2007 წლის 10 ნოემბრის №4 ბრძანებით დამტკიცებული ს/ს „ვედიდკარის“ გაკოტრების მასის (ქონებისძ რეალიზაციის ფორმისა და წესის შესახებ დებულების შესაბამისად აცხადებს

## განმეორებით აუქციონს

გაკოტრების მმართველის 2007 წლის 16 ნოემბრის №5 ბრძანების საფუძველზე აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი იქნება:

| № | ქონების დასახელება | გამოშვების წელი | საწყისი ღირებულება (ლარი) | № | ქონების დასახელება | გამოშვების წელი | საწყისი ღირებულება (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | ჩაის ფაბრიკის მოდულის შენობა | 1989 | 4000 ათ.ლარი, | 19. | ავტომანქანა გაზ 53-12. | 1987 | 800 ლარი, |
| 2. | სასადილოს შენობა | 1989 | 2000 ლარი, | 20. | ავტომანქანა გაზ 52 ბენზინმზიდი | 1983 | 400 ლარი, |
| 3. | ავტოსარემონტო სახელოსნო | 1990 | 380 ლარი, | 21. | ავომანქანა ა.ტ.ო.966 | 1985 | 400 ლარი, |
| 4. | კანტორის შენობა | 1968. | 3000 ლარი, | 22. | ავტომანქანა გაზ 53 სახელოსნო | 1988 | 400 ლარი, |
| 5. | ავტომანქანის სადგომი | 1970 | 250 ლარი, | 23. | ტრაქტორი მტზ 80 | 1988 | 3000 ლარი, |
| 6. | სასადილოს შენობა კანტორის ეზოში | 1967 | 2000 ლარი, | 24. | ტრაქტორი მტზ 80 | 1991 | 3500 ლარი, |
| 7. | საბავშვო ბაღის შემოკავება | 1989 | 500 ლარი, | 25. | ტრაქტორი დტ 75 | 1988 | 4000 ლარი, |
| 8. | ელექტროწისქვილი | 1990 | 1000 ლარი, | 26. | ტრაქტორი ტ-16 მმჩ | 1988 | 160 ლარი, |
| 9. | წყლის წისქვილი | 1972. | 1000 ლარი, | 27. | ტრაქტორი ტ-16 მმჩ | 1990 | 200 ლარი, |
| 10. | ფინური სახლი №1. | 1968. | 1000 ლარი, | 28. | ტრაქტორი მტზ ექსკავატორი ე.ო. 2612 | 1988 | 3000 ლარი, |
| 11. | ფინური სახლი №2. | 1968 | 500 ლარი, | 29. | ხელის ამწე (ტალიძ | 1974 | 200 ლარი, |
| 12. | მახათის მაღაზია | 1990 | 1200 ლარი, | 30. | ტრაქტორი მისაბმელი პსპ 125 | 1989 | 80 ლარი, |
| 13. | ფინური სახლი №3. | 1968 | 1000 ლარი, | 31. | გუთანი პლნ 4.35 | 1988 | 20 ლარი, |
| 14. | გარე ელექტროგაყვანილობა | 1976 | 125 ლარი, | 32. | გუთანი პლნ 4.35. | 1991 | 20 ლარი, |
| 15. | კულტურის სახლის საამშ.მასალები | 1987 | 7665 ლარი, | 33. | კულტივატორი კ.რ.მ.3 | 1986 | 20 ლარი, |
| 16. | რკინაბეტონის ფილები 17 ცალი | – | 1700 ლარი, | 34. | კულტივატორი კ.რ.მ.2 | 1988 | 20 ლარი, |
| 17. | დანადგარმოწყობილობა ჯართი 35 ტონა | – | 5600 ლარი, | 35. | ფარცხი ხელნაკეთი 2 ც. | 1976 | 20 ლარი, |
| 18. | ავტომანქანა უაზ 3303. | 1990 | 1000 ლარი, | 36. | სეიფი რკინის | 1970 | 100 ლარი. |

*სულ სარეალიზაციოდ გამოტანილი ქონების საწყისი ფასი შეადგენს 63870 ლარს.*

*ქონება მდებარეობს მისამართზე. მარტვილის რაიონი, სოფ.ვედიდკარი.*

*აუქციონზე მონაწილეობის მსურველი პირი ვალდებულია აუქციონის დაწყებამდე წინასწარ გადაიხადოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი იმ ქონების საწყისი ღირებულების 2% (მიმღები: სახალხო ბანკის მარტვილის ფილიალი ს/ს „ვედიდკარი“ ანგ. №№36020307, ბანკის კოდი 220101439, საზოგადოების საიდენტიფიკაციო ნომერი 23544509ძ, რომლის შეძენასაც იგი აპირებს, რაც გამარჯვების შემთხვევაში ჩაითვლება გადასახდელი თანხის ანგარიშში.*

*ნებისმიერი მყიდველი, რომელიც აუქციონზე შეისყიდის ქონებას, ვალდებულია, დაუყოვნებლივ გადაიხადოს მის მიერ შემოთავაზებული ფასის სულ ცოტა ნახევარი, ხოლო თანხის დარჩენილი ნაწილი უნდა დაიფაროს 14 დღის განმავლობაში. თანხის მთლიანად დაფარვამდე მყიდველს არ გააჩნია ქონებაზე საკუთრების უფლება.*

*ყველა დაინტერესებულ პირს უფლება აქვს გაკოტრების კომისიასთან შეთანხმებით წინასწარ გაეცნოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილ ქონებას.*

*აუქციონი ჩატარდება 2008 წლის 28 იანვარს 16 საათზე, მისამართზე მარტვილის რაიონის ს/ს „ვედიდკარის“ ადმინისტრაციულ შენობაში.*

*ცნობებისათვის მიმართეთ ს/ს „ვედიდკარის“ გაკოტრების კომისიას. ტელ:895-92-13-72.*

2007 წელს ყველაზე მძიმე სიტუაცია ერაყში იყო, სადაც 25 ჟურნალისტი გაიტაცეს, ათი კი გამტაცებლებმა მოკლეს. ერაყში, მინიმუმ 14 ჟურნალისტი კვლავ ტყვეობაშია



◎ შავი სტატისტიკა

# მედიის თავისუფლება

## ჟურნალისტებს აპატიმრებენ, ხოცავენ...

**რამდენიმე დღის წინათ, საქართველოს სახალხო დამცველის ოფისში გაიმართა ფოტოგამოფენა თემაზე „ჟურნალისტები – სიტყვის თავისუფლების მსხვერპლნი“, რომელიც ეძღვნებოდა იმ ჟურნალისტთა ხსოვნას, რომლებიც პროფესიული საქმიანობის შესრულებისას დაიღუპნენ. გამოფენის ორგანიზატორები იყვნენ არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს სომხური თანამშრომლობის ცენტრი“ და სახალხო დამცველთან არსებული ეროვნულ უმცირესობათა საბჭო.**

მსოფლიოში უკვე ბევრი ორგანიზაცია ხმამაღლა ლაპარაკობს ჟურნალისტთა უფლებების შეზღუდვასა და იმ საფრთხეზე, რომელიც პრესის დამოუკიდებლობას ემუქრება. ეს პრობლემა რომ მხოლოდ საქართველოს არ ეხება, ნათლად ჩანს იმაშიც, რომ რამდენიმე დღის წინათ, ნიდერლანდებში გამართულ შეხვედრაზე ხუთ უმსხვილეს საერთაშორისო მაუწყებლის ხელმძღვანელმა ბი-ბი-სი (BBCძ, „გერმანული ტალღა“ (Deutche Welled, საფრანგეთის საერთაშორისო რადიო (REIძ, ნიდერლანდების მსოფლიო რადიო და „ამერიკის ხმა“ძ, განაცხადა, რომ მრავალ ქვეყანაში, სადაც ისინი მაუწყებლობენ, სულ უფრო მეტად ზღუდავენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს და თავს ესხმიან ჟურნალისტებს. ისინი გმობენ „სერიოზულ“ და „მზარდ“ საფრთხეს, რომელიც ემუქრება პრესის თავისუფლებას.

ორგანიზაციამ „რეპორტიორები საზღვრებს გარეშე“ კი 2007 წელს მსოფლიოში პრესის თავისუფლების მდგომარეობა შეაჯამა და ამ წლის დასაწყისში ანგარიში გამოაქვეყნა, სადაც ნათქვამია, რომ ბოლო ხუთი წლის განმავლობაში მოკლულ ჟურნალისტთა რაოდენობამ 244-ჯერ მოიმატა. მთელ მსოფლიოში 2007 წელს 86 ჟურნალისტი მოკლეს. მათი უმრავლესობა ერაყში დაიღუპა. ჟურნალისტთა მკვლელობის პიკი 1994 წელს იყო, როცა 103 ჟურნალისტი მოკლეს. ბევრი მათგანი რუანდის გენოციდს შეეწირა, 20-მდე ჟურნალისტი – ალჟირის სამოქალაქო ომის დროს და თორმეტი ყოფილ იუგოსლავიაში დაიღუპა.

„რეპორტიორები საზღვრებს გარეშეს“ თანახმად, ჟურნალისტთა მკვლელობათა შემთხვევების დაახლოებით 90 პროცენტი დაუსჯელი რჩება. ხელისუფლები ხშირად, დროის მოგებას ცდილობენ და საზოგადოების მეხსიერების ჩაცხრობის იმედი აქვთ.

ანგარიშის მიხედვით, 2007 წელს დღეში ორ ჟურნალისტს მაინც აპატიმრებენ. მსოფლიოს მასშტაბით, 2008 წლის პირველი იანვრისთვის, 135 ჟურნალისტი იჯდა ციხეში და ეს რიცხვი ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში თითქმის არ შემცირებულა. 2007 წელს სულ მცირე 887 ჟურნალისტი დააპატიმრეს. უმეტესად პაკისტანში (195ძ, კუბასა (55ძ და ირანში (54ძ.

მოიმატა ჟურნალისტთა გატაცების შემთხვევებმაც. ეს ჩვეულებრივი ამბავი გახდა ირანსა და ავღანეთში, სადაც რამდენიმე მსხვერპლი კიდეც მოკლეს. სულ მცირე, 67 თანამშრომელი გაიტაცეს 15 ქვეყანაში. 2007 წელს ყველაზე მძიმე სიტუაცია ერაყში იყო, სადაც 25 ჟურნალისტი გაიტაცეს, ათი კი გამტაცებლებმა მოკლეს. ერაყში, მინიმუმ 14 ჟურნალისტი კვლავ ტყვეობაშია.

ანგარიშში ისიც ნათქვამია, რომ 65 კიბერდისიდენტი იმყოფება ციხეში ინტერნეტის საშუალებით აზრის გამოთქმის გამო, ყველაზე მეტი კი (50ძ ჩინეთშია დაპატიმრებული.

მსოფლიოს მასშტაბით 2007 წელს 2600-ზე მეტი ვებსაიტი დაიხურა, მათი უმრავლესობა სადისკუსიო ფორუმი იყო. ყველაზე მკაცრი ცენზურა ჩინეთში იყო. „ზოგიერთი ქვეყანა ცენზურას უწევს ინტერნეტს ისევე, როგორც ტრადიციულ მედიას და ჩინეთი მსოფლიო ჩემპიონია ამ მხრივ. მისმა კიბერპოლიციამ ძალიან იაქტიურა, ყველა მთავარი პოლიტიკური მოვლენის წინ, განსაკუთრებით 2007 წლის კომუნისტური პარტიის კონგრესის წინა თვეებში, როდესაც დაახლოებით 2500 ვებსაიტი და ბლოკი დაიხურა, უმეტესობა პოლიტიკური, დაიბლოკა,“ – აღნიშნულია ორგანიზაციის – „რეპორტიორები საზღვრებს გარეშე“ ანგარიშში.

მოამზადა
**ოლღა ცისკარიშვილმა**

◎ ფეხბურთი

# ევროპის სტადიონებზე

**დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობისა და ბალტიის ქვეყნების ჩემპიონთა თასის ტრადიციულ გათამაშებას წლეულს პირველად მასპინძლობს სანკტ-პეტერბურგი. სასიამოვნოა, რომ ნევისპირა ქალაქში წარმატებით აიღო სტარტი რუსთავის „ოლიმპმა“, რომელმაც ზედიზედ ორი გამარჯვებით ვადამდე მოიპოვა მეოთხედფინალში თამაშის უფლება.**

მართალია, ქვემოქართლელები ტურნირზე ტრავმირებული დაცვის ბურჯის ჭიჭვეიშვილის გარეშე გაემგზავრნენ, მაგრამ უკრაინელი მწვრთნელის ანატოლი პისკოვეცის მიერ თანამემამულე ლეგიონერებზე აღებულმა კურსმა გაამართლა, რამაც განაპირობა კიდეც პროგრამა-მინიმუმის შესრულება – ჯგუფიდან გასვლა. კერძოდ, პირველ შეხვედრაში უკონკურსოდ მოასპარეზე ბელგრადის ოფკსთან თავი ისახელა ომელიანოვმა და „დუბლით“ ახალ პარტნიორებს სადებიუტო წარმატება მოუტანა – 2:0, ხოლო მეორე დღეს ყირგიზეთის „დორდოი-დინამოსთან“ უკვე კოვალევსკის ჯერი დადგა, რომელმაც მეტოქის კარში ასევე ორი გოლი გაიტანა – 3:2.



გუშინ გუნდები ისვენებდნენ, დღეს კი რუსთაველები დასკვნით მატჩ ლატვიის „ვენტსპილსთან“ გამართავენ, რომელსაც ასევე ქულათა მაქსიმუმი აქვს მოგროვებული და მათ დუელს, ალბათ, ფორმალური ხასიათი ექნება.

რაც შეეხება ერთ-ერთ უმთავრეს ფავორიტს კიევის „დინამოს“, უკრაინელები სარეზერვო შემადგენლობიდან გამოდიან და ლოგიკურია, რომ ჯერჯერობით საკუთარ ჯგუფში 1 ქულით უკანასკნელი ადგილი უკავიათ.

* * *

**იტალია.** „ინტერი“ – „პარმა“ 3:2, „რომა“ – „კატანია“ 2:0, „იუვენტუსი“ – „სამპდორია“ 0:0.

**ლიდერთა ჯგუფი:** „ინტერი“ – 49, „რომა“ – 42, „იუვენტუსი“ – 37 ქულა.

**ესპანეთი.** „ატლეტიკო“ – „რეალი“ 0:2, „ბარსელონა“ – „რასინგი“ 1:0, „ვილიარეალი“ – „ვალენსია“ 3:0.

**ლიდერთა ჯგუფი:** „რეალი“ – 50, „ბარსელონა“ – 43, „ვილიარეალი“ – 38 ქულა.

**ინგლისი.** „რედინგი“ – „მანჩესტერი“ 0:2, „ფულჰემი“ – „არსენალი“ 0:3, „ბირმინჰემი“ – „ჩელსი“ 0:1.

„მანჩესტერი“, „არსენალი“ – 54-54, „ჩელსი“ – 50 ქულა.

**საფრანგეთი.** „ლანსი“ – „ლიონი“ 3:0, „ლე მანი“ – „ბორდო“ 1:2, „ნიცა“– „ნანსი“ 1:0.

„ლიონი“ – 42, „ბორდო“ – 39, „ნანსი“ – 36 ქულა.

* * *

**აფრიკის ერონებათა თასი. გახსნის მატჩი.** განა-გვინეა 2:1.

◎ მხარე

# რამ გაუცრუა იმედი დედოფლისწყაროს გამგებელს?

## ნაციონალები იმიჯის ჩამორეცხვას სუფთა წარსულის თავმჯდომარის მეშვეობით ამაოდ შეეცადნენ

**დედოფლისწყარო ის რაიონია, სადაც ხელისუფლებამ რეკორდულად ცოტა ხმა მიიღო. ამის მიზეზად ადგილობრივები სწორედ ნაცმოძრაობის იმიჯშელახული კადრებით დაკომპლექტებას მიაწერენ. იმიჯის ჩამორეცხვას დედოფლისწყაროელი ნაციონალები სუფთა წარსულის თავმჯდომარის მეშვეობით შეეცადნენ, თუმცა ახალი ლიდერი ზაზა კედელაშვილი სპორტული კარიერითაა დაკავებული და პარტიული საქმეებისთვის ვერ იცლის და ხშირად დედოფლისწყაროში ჩამოსვლასაც ვერ ახერხებს. კულუარებში ბევრს ლაპარაკობენ, რომ კედელაშვილი ფიქტიური თავმჯდომარეა, რომელსაც პარტია საერთოდ არ აინტერესებს, ამით სარგებლობს პარტიის ლიდერობიდან გათავისუფლებული ბენიაიძე და კვლავაც ლიდერის ფუნქციებს ინარჩუნებს. იმის შესახებ, თუ რამდენად კმაყოფილნი არიან არჩევნების შედეგებით დედოფლისწყაროს გამგეობაში, რაიონის გამგებელს დავით ლეკიშვილს ვესაუბრეთ.**

დავით ლეკიშვილი: რაც შეეხება არჩევნების შედეგებს, მთავარია ყველაფერმა მშვიდად ჩაიარა. განსაკუთრებულ ექსცესებს ადგილი არ ჰქონია. სიმართლე გითხრათ, უფრო მეტ შედეგს ველოდი...

**– ანუ გარკვეულწილად იმედგაცრუება გქონდათ?**

– გაცილებით მაღალი პროცენტის მოლოდინი გვქონდა, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ არც 42 პროცენტია ცოტა...

**– ცდებით, ბატონო დავით, ცესკოს ინტერნეტ-საიტის მონაცემებით დედოფლისწყაროდან სააკაშვილმა მხოლოდ 38 პროცენტი მიიღო, რაც კახეთში ყველაზე დაბალი მაჩვენებელია...**

– ალბათ, რაღაც ხმები მოაკლდა, ვერ გეტყვით. მას შემდეგ ამ საკითხს აღარ ჩავძიებივარ.

**– მმართველი პარტიის ლიდერის ვინაობა დედოფლისწყაროში დიდი ხანია გაურკვეველი იყო, აქაური ნაციონალებისგან იმედგაცრუებული ხელისუფლება ლიდერის დანიშვნას რატომღაც არ ჩქარობდა, ახლა რა მდგომარეობაა?**

– როგორც ვიცი, ახლახან დედოფლისწყაროში პარტიის ლიდერად ცნობილი მოჭიდავე, მსოფლიო ჩემპიონი ზაზა კედელაშვილი დაინიშნა, ხოლო მის მოადგილედ – ნიკო ბენიაიძე.

**– ბენიაიძე დედოფლისწყაროში ნაცმოძრაობას ხელმძღვანელობდა და ფაქტობრივად კირკიტაძის „დაწუნებული კადრია“. საინტერესოა, პარტიიდან გადაყენებულ ლიდერს ხელისუფლებამ რატომ გამოუცხადა ნდობა, მით უფრო რომ სააკაშვილის შტაბსაც სწორედ ბენიაიძე ხელმძღვანელობდა?**

– ვერ გეტყვით, პარტიული საქმეები მე არ მეხება და ეს ჩემი კომპეტენცია არ გახლავთ...

**ილია კახეთელიძე**

◎ ჭადრაკი

# სოფიკო გამარჯვებით იწყებს

**ესტონეთის დედაქალაქ ტალინში დამთავრდა პაულ კერესის სახელობის ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი, რომელიც სამ კატეგორიად გაიმართა. A და B-ში 10-10 მოჭადრაკე წრიული სისტემით ეჯიბრებოდა ერთმანეთს, C ჯგუფში კი ახალგაზრდები შვეიცარიული სისტემით თამაშობდნენ.**



საასპარეზოდ მიწვეული გახლდათ თბილისელი დიდოსტატი, საქართველოს შარშანდელი ჩემპიონატის მეორე პრიზიორი სოფიკო ხუხაშვილი. B ჯგუფში 9 შესაძლებლიდან 7 ქულით პირველობა სწორედ მას ხვდა. 6,5:6,5 ქულით მეორე-მესამე ადგილები რუსმა ტატიანა შუმიაკინამ და უკრაინელმა ინა გაპონენკომ გაიყვეს.

სოფიკომ ბლიცტურნირშიც იასპარეზა და 4,5 ქულით მესამე ადგილი ერგო, ხოლო პირველ-მეორე ადგილებზე 5-5 ქულით დიდოსტატები ვიქტორია ჩმილიტე და ირინა ბერეზინა გავიდნენ.

თებერვლის მიწურულს ხუხაშვილი ეროვნული ჩემპიონატის ფინალში ითამაშებს.

№ 11. სამშაბათი, 22 იანვარი, 2008 წელი.

# სპორტი

- **იმედია, ბელგიაში მიღწეული წარმატებით ფრთებშესხმული ჩვენი ბიჭები ამ ტურნირისთვისაც სათანადოდ მოემზადებიან**

**ორბიტაზე**

## ფეხბურთი ეკლესიებს გააერთიანებს

**ფეხბურთში 2008 წლის ევროპის ჩემპიონატის მასპინძელი ქვეყნების – ავსტრიისა და შვეიცარიის ეკლესიებმა აამუშავეს ერთიანი ინტერნეტ-პორტალი Kihrhe 08. eu.**

ამ ქვეყნების ეკლესიებიც ემზადებიან წლის ერთ-ერთი მთავარი სპორტული მოვლენისთვის, რომელიც 7-29 ივლისს გაიმართება. კათოლიკური და პროტესტანტული საზოგადოებები გეგმავენ უმეტესი აქციების ერთად ჩატარებას. მათ შესახებ




მრევლი სპეციალური საიტით შეიტყობს. ის ხუთ ენაზე შეიქმნება. შესაბამის სიმბოლოზე თითის დაჭერით დაინტერესებული პირები გაეცნობიან რვავე ქალაქში, სადაც ჩემპიონატის მატჩები გაიმართება, მოვლენათა კალენდარს.

ჩემპიონატის პირველ დღეს ციურიხის უდიდეს ტაძარში გაიმართება ეკუმენური წირვა. ჩემპიონატის დროს გულშემატკივართა დიდი თავშეყრის ადგილებში იმუშავებენ მღვდლები. მათთვის მიმართვა ყველა მსურველს შეეძლება. ტურნირის დასაწყისისთვის გაიმართება მიუზიკლის „ფეხბურთის შექმნის“ პრემიერა, რომელიც დაწერა და დადგა შვეიცარიელმა მღვდელმა ახიმ კუნ ფონ ადრისვილმა. სამყაროს შექმნის ლეგენდის ანალოგიით ამ იუმორისტულ სპექტაკლში ნაჩვენები იქნება, თუ როგორ შეაცდინა ადამიანი ფეხბურთის ბურთმა.

## უეფას ნაკრები

**ევროპული ფეხბურთის შტაბმა შეადგინა 2007 წლის ნაკრები უეფას საიტზე გულშემატკივართა ხმის მიცემის შედეგების მიხედვით.**

აი, ვის მიანიჭეს უპირატესობა ფეხბურთის ქომაგებმა: **იკერ კასილიასი** („რეალი“), **დანიელ ალვესი** („სევილია“), **ალესანდრო ნესტა** („მილანი“), **ჯონ ტერი** („ჩელსი“), **ერიკ აბიდალი** („ბარსელონა“), **კრიშტიანუ რონალდუ** („მანჩესტერ იუნაიტადი“), **სტივენ ჯერარდი** („ლივერპული“), **კაკა** („მილანი“), **კლარენს ზეედორფი** („მილანი“), **იბრაგიმოვიჩი** („ინტერი“), **დროგბა** („ჩელსი“).

მწვრთნელებიდან ყველაზე მეტი ხმა მიიღო ალექს ფერგიუსონმა („მანჩესტერ იუნაიტედი“).

## ჟანინი წინ გაიჭრა

**როგორც უკვე ჩვენი გაზეთის წინა ნომერში ვწერდით („ფეხბურთის ლამაზმანები“), მიუნხენის „ბავარიამ“ გამოაქვეყნა კლუბის ფეხბურთელების ლამაზმანი ცოლებისა და შეყვარებულების სია და რომ მათ ლიდერს კენჭისყრა გამოარკვევდა.**

ახლახან ცნობილი გახდა, რომ ჯერჯერობით პირველი კვირის შედეგების მიხედვით, ლამაზმანების ამ „დათვალიერებაში“ საკმაოდ წინ გაიჭრა „ბავარიის“ მცველის კრისტიან ლელის ყოფილი გულისვარდი ჟანინ ჰაბეკი. მან გაზეთის Bild მკითხველთა 38,15 პროცენტი მიიღო და 20 პროცენტით უსწრებს მეორე ადგილზე მყოფ როკე სანტა-კრუსის ცოლს ჰისელს.

ჟანინმა ხალხი აალაპარაკა ჯერ კიდევ 2004 წლის თებერვალში, როცა „პლეიბოიმ“ თავის ფურცლებზე მისი ფოტოები გამოაქვეყნა, ხოლო ყველაზე ინტიმური მისი ფოტოსურათი ინტერნეტშიც მოხვდა. ფეხბურთელთან ხანმოკლე მქუხარე რომანის შემდეგ, ლამაზმანი ჟანინი ამერიკაში გაემგზავრა პროფესიული კარიერის გასაგრძელებლად.



ამას წინათ კი „ბავარიის“ მცველი ახალ სატრფოსთან – სარასთან – ერთად ნასვამი გამოიჭირეს, როცა ავტომანქანით დისკოთეკას სტოვებდა.

**მემორიალი**





# აპიაგომბი

**ზურაბ საკანდელიძისა და მიხეილ ქორქიას ხსოვნისადმი მიძღვნილ ტურნირს რუსთავმა უმასპინძლა.** ბევრი დარწმუნებული იყო, რომ მთავარ პრიზს ქვეყნის მოქმედი ჩემპიონი ადგილობრივი „ენერჯი ინვესტი“ მოიპოვებდა, მაგრამ ძირითადი გამთამაშებლის ლაშა გამყრელიძის გარეშე მოასპარეზე ფავორიტს ფინალში მოულოდნელი ალიყური „თბილავიამშენმა“ უთავაზა – 80:78.

გადამწყვეტი მატჩის გმირად კოტე ტულუში მოგვევლინა, მემორიალის საუკეთესო მოთამაშედ კი გამარჯვებულთა კაპიტანი ირაკლი ხოშტარია მიიჩნიეს. მას სპეციალური პრიზი ლეგენდარულ ოლიმპიურ ჩემპიონთა ძმამ და ბიძაშვილმა – ანზორ საკანდელიძემ და ნოდარ ქორქიამ გადასცეს.

**ელდარ მალხაზიშვილის ფოტო.**



**ხელბურთი**

## ევროპისკენ „ჩელენჯ ტროფით“ შელებული ფანჯარა

**ნორვეგიის ქალაქ დრამენში ხელბურთელ ვაჟთა „ჩელენჯ ტროფის“ ფინალური ორთაბრძოლა გაიმართა. მთავარი პრიზისთვის ერთმანეთს საქართველოს და ლუქსემბურგის ნაკრები გუნდები დაუპირისპირდნენ.**

მოგეხსენებათ, შარშან შემოდგომაზე ჩვენმა ხელბურთელებმა თბილისის სპორტის სასახლეში ზედიზედ დაამარცხეს სომხები, აზერბაიჯანელები, მოლდოველები და გადამწყვეტი მატჩისკენ გაიკაფეს გზა. ამ პაექრობისთვის დეკემბერში შეუდგნენ მზადებას. საწვრთნელი შეკრება თურქეთშიც გაიარეს, წლეულს კი სტუ-ს გაყინულ დარბაზში ვარჯიშობდნენ. ყოველივეს მიუხედავად, ქართველებმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს მეტოქეს. უფრო მეტიც, პირველი ნახევრის მიწურულს იმედო ფხაკაძისა და გარი თურქიას შეგირდები ერთი ბურთით დაწინაურდნენ.



შესვენების შემდეგ ჩვენებმა უფრო გაილაღეს – აშკარად დაჩაგრეს ლუქსემბურგელები, ანგარიშში სხვაობა ხუთ ბურთამდეც გაზარდეს. საფინალო სასტვენამდე ორი წუთით ადრე კი მეკარე შოთა თევზაძემ გვიხსნა აშკარა მარცხისგან, თუმცა მეტოქემ ოთხი ბურთის გაქვითვა მაინც ვერ მოახერხა. საბოლოოდ, საქართველოს ნაკრებმა (თევზაძე, ანდრიაძე, ქობელაშვილი, ყიფიანი, რუსია, წივწივაძე, გოგალაძე, ბერძენიშვილი, ჭანტურია, ტალახაძე, ჩიქოვანი, მაისურაძე, მსხვილიძე, დათუკაშვილი) 28:27 გაიმარჯვა და „ჩელენჯ ტროფის“ ჩემპიონობა მოიპოვა.

აპრილში ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ციკლის წილისყრა გაიმართება, ზაფხულში კი შესარჩევი მატჩები დაიწყება. **იმედია, ბელგიაში მიღწეული წარმატებით ფრთებშესხმული ჩვენი ბიჭები ამ ტურნირისთვისაც სათანადოდ მოემზადებიან.**

● მკურნალობის ერთი კურსი 10-12 დღიდან ექვს თვემდეა. თუ მთავარი ტრიგერი მცენარეთა მტვერია, მკურნალობა უნდა ჩატარდეს შემოდგომის დამლევს და ზამთრის დამდეგს



№ 11. სამშაბათი, 22 იანვარი, 2008 წელი.

## იცით?

**ძალზე დიდი რაოდენობით შაქრის გამოყენება თურმე ზრდის გულსისხლ-ძარღვთა, დაავადებების აგრეთვე კიბოსა და უნაყოფობის რისკს.**

ფრუქტოზასა და გლუკოზას დიდი რაოდენობა გავლენას ახდენს გენებზე, ადამიანის ორგანიზმში აქტიური ტესტოსტერონისა და ესტროგენის დონეს რომ აწესრიგებს — ეს აჩვენა ახალმა გამოკვლევებმა. ფრუქტოზასა და გლუკოზას ღვიძლი ამუშავებს, როდესაც ადამიანის რაციონში ძალზე ბევრი შაქარია, ღვიძლი ლიპიდებად გარდაქმნის. მეცნიერებმა გამოიკვლიეს, რომ ლიპიდების დიდი რაოდენობა აქვეითებს SHBG ცილის (სასქესო ჰორმონების შემაკავშირებელი გლობულინის) გამომუშავებას. გლობულინი კი უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს

### „მწარე“ შაქარი

სისხლში ტესტოსტორონისა და ესტროგენის გაკონტროლებისთვის.

თუ ორგანიზმში მცირე რაოდენობითაა SHBG, მკვეთრად იზრდება სქესობრივი ჰორმონების შემცველობა, რაც იწვევს მუწუკებს, უნაყოფობას, ზედმეტი წონის ქალებში საკვერცხეების პოლიკისტოზსა და საშვილოსნოს კიბოს. SHBG- შემცველობის დონის შემცირებას ასევე მივყავართ სისხლში შემცველობაში ტესტოსტერონისა და ესტროგენის ბალანსის რღვევასთან, რაც ქალებში გულსისხლძარღვთა დაავადებათა პროვოცირებას იწვევს.

„ჩვენ გამოვარკვიეთ: ადამიანის სისხლში SHBG-ის დაბალი დონე ნიშნავს, რომ ღვიძლი ცუდად მუშაობს. ეს შეიძლება, გამოწვეული იყოს ცუდი კვებითაც, ან და ინფექციით, — აღნიშნავს კანადის უნივერსიტეტის პროფესორი ჯეფრი ჰამონდი, — ეს გამოკვლევა დაგვეხმარება, SHBG-ს შემცველობის მაჩვენებლები გამოვიყენოთ პაციენტის ღვიძლის მდგომარეობის შემოწმების საშუალებად იქამდე, სანამ მას ავადმყოფობის პირველი ნიშნები გაუჩნდება. ამა გარდა, SHBG-ს დონის გაზომვით ჩვენ შევძლებთ სხვადასხვა დიეტების, აგრეთვე წამლების მიღებისას ორგანიზმზე გავლენის თვალის მიდევნებას.

ეს გამოკვლევა იმაზეც მიუთითებს, რომ საკვებში აუცილებლად უნდა გამოვიყენოთ რთული ნახშირბადები (ხილი, ბოსტნეული, მარცვლოვანებიძ, ისინი შეიცავენ უჯრედოვნებს და გაცილებით სასარგებლოა, ვიდრე შაქარი.

## როგორ ვიმკურნალოთ

# ასთმა განაჩენი არ არის

**ჯერ კიდევ ნახევარი საუკუნის წინათ ასთმა იშვიათი დაავადება იყო. დღეს იგი იმდენად გავრცელებულია, რომ ექიმები მომავალ ეპიდემიაზეც კი საუბრობენ**

### გავრცელების არეალი

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, მსოფლიოში ბრონქული ასთმით 100-დან 150 მილიონამდე კაცია დაავადებული. სხვადასხვა ქვეყანაში ასთმა ჭირს ზრდასრული მოსახლეობის 8 პროცენტს და ბავშვების 15 პროცენტს. ყოველ ათწლეულში დაავადებულთა რიცხვი ერთნახევარჯერ იზრდება. რუსეთის ფედერაციის მთავარ პულმონოლოგს, აკადემიკოს ალექსანდრე ჩუჩალინს მიაჩნია, რომ რუსეთში ბრონქული ასთმით დაახლოებით 6 მილიონი კაცია დაავადებული.

### რა არის ეს?

ბრონქული ასთმა სასუნთქი გზების ქრონიკული ალერგიული დაავადებაა. მისი დამახასიათებელი ნიშანია მზემგრძნობიარე ბრონქები, რომლებიც ნებისმიერი გამღიზიანებლის ზემოქმედებაზე ბრონქოსპაზმით პასუხობს — მკვეთრად ვიწროვდება, ძლიერდება ლორწოს გამოყოფა და ლორწოვანას შეშუპება ხდება. ბრონქოსპაზმის დროს ჩვეულებრივ გაძნელებულ სუნთქვას და ხუთვას უჩივიან.

### ბრონქული ასთმის სიმპტომები

**● ხველა — მშრალი (არაპროდუქტიული, გამუდმებული და მტანჯველი, ღამ-ღამობით, სიცივეში, ფიზიკური მუშაობის შემდეგ ძლიერდებაძ;**

**● მსტვენი სუნთქვა, ზოგჯერ შორ მანძილზეც ისმის;**

**● ქოშინი, ხუთვა — შევიწროებული სასუნთქი გზებით გაძნელებულია ჰაერის გატარება, რაც აჩქარებულ სუნთქვას იწვევს.**

**თუ სიმპტომები ასთმის საწინაალმდეგო პრეპარატებით იხსნება, დიაგნოზი „ბრონქული ასთმა“ ავტომატურად ისმება.**

### ზამთრის ასთმა

შემოდგომის დამლევი და ზამთრის დამდეგი ასთმიანებისთვის ნამდვილი განსაცდელია. ცივ ჰაერზე ჰიპერმგრძნობიარე ბრონქები მომენტალური სპაზმით რეაგირებს.

„ბრონქები სიცივეს რომ შეაჩვიოთ, დაიცავით მარტივი წესები, — გვირჩევს პროფესორი იური ნოვიკოვი. — ეცადეთ სასუნთქი სისტემისთვის ტემპერატურის ცვალებადობა ნაკლებად მკვეთრი გახადოთ. შინიდან გასვლისას ღია სარკმელთან ისუნთქეთ, ქუჩაში ისუნთქეთ მხოლოდ ცხვირით (ლორწოვან გარსში გავლისას ჰაერი თბებაძ, პირსა და ცხვირზე შარფი ან ხელთათმანი აიფარეთ. შეტევის შემთხვევისთვის მუდამ თან იქონიეთ წამალი ან ინჰალატორი“.

### საინტერესო ფაქტი

**ბელფასტში (დიდი ბრიტანეთიძ სამეფო ბავშვთა ჰოსპიტლის მეცნიერებმა განაცხადეს, რომ საკეისრო კვეთით დაბადებული ბავშვები ბევრად უფრო ხშირად ავადდებიან ასთმით, ვიდრე ბუნებრივი გზით დაბადებული. ეს იმით ახსნეს, რომ ბუნებრივი მშობიარობისას ბავშვს შეხება აქვს ბაქტერიებთან, რომლებიც დედის საშოშია. ამრიგად, მას უნვითარდება იმუნური სისტემა.**

### წარმოშობის მიზეზი

მემკვიდრეობითობა — თუ ბავშვის მშობლები ასთმიანები არიან, ბავშვის დაავადების ალბათობა 70-80 პროცენტია.

არარაციონალური კვება — ექიმები ვარაუდობენ, რომ დაავადება შეიძლება გამოიწვიოს მაღალალერგიული პროდუქტების — ციტრუსების, თაფლის, შოკოლადისა და თევზის დიდი რაოდენობით მიღებამ.

ეკოლოგია — ბრონქული ასთმით დაავადების მკვეთრი ზრდა ბევრად განპირობებულია გარემოს დაბინძურებით.

— ალერგენების ზემოქმედება — ბრონქული ასთმით ყოველ დაავადებულს აქვს თავისი ტრიგერი, რომელიც იწვევს ან ამწვავებს დაავადებას. ტრიგერის როლი შეიძლება შეასრულოს საყოფაცხოვრებო ალერგენებმა (ბინის მტვერმაძ, მცენარეთა მტვერმა და სამკურნალო პრეპარატებმა (განსაკუთრებით საშიშია პენიცილინის რიგის ანტიბიოტიკები, ვიტამინები, სულფანილამიდის პრეპარატები, ასპირინიძ.

### დიაგნოსტიკა

ბრონქოსპაზმი (ხუთვის შეტევაძ — დაავადების სავიზიტო ბარათია. ბრონქოსპაზმის სამი შემთხვევის შემდეგ დიაგნოზი ეჭვს არ იწვევს.

დასაზუსტებლად ჩვეულებრივ ნიშნავენ დამატებით გამოკვლევას:

**● რენტგენს;**

**● ფილტვების ფუნქციურ გამოკვლევას;**

**● სხვადასხვა ალერგენებისადმი ანტისხეულზე და იმუნოგლობულინზე სისხლის გამოკვლევა, რაც ორგანიზმის საერთო ალერგიულ განწყობას აჩვენებს.**

### ბრონქული ასთმის მკურნალობა

„ბრონქული ასთმის მკურნალობა ხანგრძლივი პროცესია, რომელიც ექიმის მუდმივ კონტროლს და ავადმყოფის მაღალ პასუხისმგებლობას მოითხოვს, — **ამბობს რუსეთის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პულმონოლოგიის კათედრის გამგე, პროფესორი იური ნოვიკოვი.** — ასთმის მკურნალობისთვის პრეპარატების მოქმედება მიზნად ისახავს არა დაავადების მიზეზის აღმოფხვრას (რომელიც, სხვათა შორის, ჯერ უცნობიაძ, არამედ შეტევის მოხსნას და მის პროფილაქტიკას“.

ასთმის მკურნალობისთვის გამოსაყენებელი წამალი ორი სახისაა: სიმპტომატური (ანუ სასწრაფო დახმარების პრეპარატებიძ, რომლებიც ბრონქების გამტარუნარიანობას აღადგენს და ხსნის ბრონქოსპაზმს, და საბაზისო თერაპიის პრეპარატები, რომლებიც ამცირებს და თრგუნავს ალერგიულ ანთებას ბრონქებში. დაავადების სიმძიმის მიხედვით მკურნალობა ან კურსებით მიმდინარეობს — შემოდგომაზე და გაზაფხულზე, ანდა რამდენიმე წლის განმავლობაში ნონ-სტოპის რეჟიმით.

ატოპიური (ალერგიულიძ ბრონქული ასთმის მკურნალობაში კარგ შედეგს იძლევა სამკურნალო ალერგენებით სპეციალური იმუნოთერაპია. საგულდაგულო გამოკვლევის შედეგად ვლინდება ალერგენი, რომელიც დაავადების მიზეზს წარმოადგენს. ავადმყოფის კანქვეშ შეყავთ მცირე რაოდენობით სამკურნალო ალერგენი, დოზას თანდათანობით ზრდიან. დროთა განმავლობაში ალერგენისადმი ორგანიზმის მგრძნობელობა მცირდება და ყოფილ მტერზე იგი მძაფრად აღარ რეაგირებს. ეს მეთოდი ავადმყოფებში ხანგრძლივი რემისიის შენარჩუნების საშუალებას იძლევა.

მკურნალობის ერთი კურსი 10-12 დღიდან ექვს თვემდეა. თუ მთავარი ტრიგერი მცენარეთა მტვერია, მკურნალობა უნდა ჩატარდეს შემოდგომის დამლევს და ზამთრის დამდეგს.

### პროფილაქტიკა

ბრონქული ასთმით დაავადებულმა პაციენტებმა თავი უნდა აარიდონ იმას, რაც ხუთვის შეტევის პროვოცირებას ახდენს — ვირუსულ დაავადებებს, სარეცხი საშუალებების, სუნამოების, საყოფაცხოვრებო ქიმიის საგნების, თამბაქოს კვამლის მკვეთრ სუნს და ცივ და ქარიან ამინდში სეირნობას.

ასთმით დაავადებულებისთვის სასარგებლოა სპორტი — განსაკუთრებით მისი ის სახეობები, რომლებიც განავითარებს სუნთქვის აპარატს: ცურვა, ნიჩბოსნობა, ხელბურთი, კალათბურთი და სასუნთქი ვარჯიშები — უშუ, ციგუნი. სისტემატური ვარჯიში მნიშვნელოვნად ასუსტებს დაავადებას.

### თუ სახლში ასთმიანი გყავთ

**● ყოველდღე სველი წესით დაალაგეთ ბინა;**

**● გადაყარეთ ბუმბულის ბალიშები, საბნები და შალის ნოხები;**

**● საიმედო ადამიანებზე გაასხვისეთ შინაური ცხოველები — კატები, ძაღლები და აკვარიუმის თევზები;**

**● ბინაში ნუ მოწევთ.**

### ასთმით დიდხანს და ბედნიერად ცხოვრობენ

● მომღერალი სოფია როტარუ.

● პოლ სკოუზი, „წითურა პოლი“, — დიდი ბრიტანეთის და „მანჩესტერ იუნაიტედის“ ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ფეხბურთელი.

● რეჟისორი მარტინ სკორსეზე.

● ლინდსეი ლოჰანი — ჰოლივუდის მსახიობი, რომელზეც ყველაზე მეტს ჭორაობენ („ჭირიანი პარასკევი“, „ხაფანგი მშობლებისთვის“, „ახალგაზრდა ვარსკვლავი“, „იდეალური სათამაშო“ძ.

● ალექსანდრა იაკოვლევა — მსახიობი, („ეკიპაჟი“, „კაცი კაპიცუნების ბულვარიდან“ძ.

რეკლამა
კოსტავას 12
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 98-65-87; 899 32-85-76.

● *თქვენ ჩვენთვის როგორ არა ხართ, ჩვენ აღარა ვართ თქვენთვის!*



დისწულები ვანო, მანანა, მარინა ზოდელავები, რეზო, ნანი ხარჩილავები, ძმისწულები თემური, ავთო ჟვანიები, რძლები მაია ნიკოლაძე, მანანა გირკელიძე, ნანი ბერაია, სიძეები ზეზვა ღულუნიშვილი, რამაზ ქორქია, შვილიშვილები გიგა, ნინო ღულუნიშვილები, ნინო არზიანი, ივა, ნიკუშა ზოდელავები, ირაკლი, გივი, ნინო ჟვანიები, რეზო, ნინო ხარჩილავები, ლელა, ლიკა, ზიკო ქორქიები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

მარგო ჟვანია

პანაშვიდი 22, 23 I, 17 სთ. გამოსვენება 24 I, 13 სთ. ფალიაშვილის 43, მესამე სადარბაზო.

---

ნუგზარ ფოფხაძე, არმაზ სანებლიძე, ჯანსულ ჩარკვიანი, გიორგი მამაცაშვილი, მერაბ ჩანჩალაშვილი ღრმა მწუხარებით თანაუგრძნობენ კოლეგასა და მეგობარს გია ნუცუბიძეს მამის, დამსახურებული პედაგოგისა და შესანიშნავი ადამიანის

დიმიტრი ნუცუბიძის

გარდაცვალების გამო.

---



მეუღლე ნაილი, შვილები ლია, გოჩა, და მარიამი. შვილიშვილები ლაშა, გიორგი, სიძე მერაბ ჯიბუტი, რძლები რუსუდან ბააკაშვილი, ნანა გველესიანი, მძახალი სოსო ბააკაშვილი, დისწულები, ძმისწულები იუწყებიან

გივი შავგულიძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 22, 23 I, 16 სთ. დაკრძალვა 24 I, 14 სთ. მისამართი: თბილისი, ნინოშვილის 78.

---

გოჩა, ქეთინო მურუსიძეები ღრმა მწუხარებას გამოხატავენ და თანაუგრძნობენ ჩხარტიშვილების ოჯახს მამის

მიხეილ ჩხარტიშვილის

გარდაცვალების გამო.

---

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა შესანიშნავი პიროვნება და მეგობარი, უმწიკვლო ადამიანი, რედაქციის გამოცდილი სტილისტ-კორექტორი

ქეთევან ქუჯიშვილი

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია თანაუგრძნობს ბატონ ივანე ჩხარტიშვილს მამის

მიხეილ ჩხარტიშვილის

გარდაცვალების გამო.

---

საქართველოს პარლამენტის ფრაქცია „დამოუკიდებელი მაჟორიტარების“ წევრები თანაგრძნობას უცხადებენ ფრაქციის თავმჯდომარეს ივანე ჩხარტიშვილს მამის

მიხეილ ჩხარტიშვილის

გარდაცვალების გამო.

---

საქართველოს პარლამენტის ფრაქცია „დამოუკიდებელი მაჟორიტარების“ აპარატი თანაუგრძნობს ფრაქციის თავმჯდომარეს ივანე ჩხარტიშვილს მამის

მიხეილ ჩხარტიშვილის

გარდაცვალების გამო.

---

შპს „მგ კომპანია“ თანაუგრძნობს ვანო ჩხარტიშვილს მამის

მიხეილ ჩხარტიშვილის

გარდაცვალების გამო.

---

შპს „სომგოს კომპანია“ თანაუგრძნობს ვანო ჩხარტიშვილს მამის

მიხეილ ჩხარტიშვილის

გარდაცვალების გამო.

---

გოდერძი ბუკიას ოჯახი თანაუგრძნობს ვანო ჩხარტიშვილს მამის

მიხეილ ჩხარტიშვილის

გარდაცვალების გამო.

---

ბადრი ბერაია ოჯახით მწუხარებას გამოთქვამს

მიხეილ (მიშაძ ჩხარტიშვილის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახის ყველა წევრსა და ახლობელს.

---

ლევან სკამკოჩაშვილი ოჯახით მწუხარებას გამოთქვამს

მიხეილ (მიშაძ ჩხარტიშვილის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახის ყველა წევრსა და ახლობელს.

---

სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის საქველმოქმედო ფონდთან არსებული ქართული საგალობლისა და სიმღერის საერთაშორისო ცენტრის თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ ივანე ჩხარტიშვილს მამის

მიხეილ (მიშაძ ჩხარტიშვილის

გარდაცვალების გამო.

---

თბილისის სასულიერო აკადემიასთან არსებული საეკლესიო გალობისა და ხალხური სიმღერის უმაღლესი სასწავლებლის კოლექტივი სამძიმარს უცხადებს ივანე ჩხარტიშვილს მამის

მიხეილ (მიშაძ ჩხარტიშვილის

გარდაცვალების გამო.

---

ვაჟა ბერიძე, გიორგი გიორგაძე, სოსო გალუმაშვილი თანაუგრძნობენ ვანო ჩხარტიშვილს მამის

მიხეილ (მიშაძ ჩხარტიშვილის

გარდაცვალების გამო.

---

აფხაზეთის მთავრობა და აფხაზეთის უმაღლესი საბჭო იუწყება იმერეთის რეგიონში აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლობის ხელმძღვანელის

ოთარ კუხალაშვილის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

სააქციო საზოგადოება „ეგრისის“ აქციონერები და თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ქალბატონ ნაირა კვესელავას მამის, ბატონ დავით ინჯიას სიმამრის, ჯაბა და ლიკა ინჯიებს ბაბუის

თენგიზ კვესელავას

გარდაცვალების გამო.

---

# განცხადება

შპს „მირიანის საბროილერო მეფრინველეობის ფაბრიკის“ ქონების აუქციონის წესით (მეოთხე აუქციონიძ გაყიდვის შესახებ.

შპს „მირიანის საბროილერო მეფრინველეობის ფაბრიკის“ გაკოტრების მმართველი აცხადებს აუქციონს შპს „მირიანის საბროილერო მეფრინველეობის ფაბრიკის“ ქონების (გაკოტრების მასაძ გასაყიდად.

**ქონების დასახელება:**

**ლოტი №1**

მეორად სამშენებლო მასალად (პეკაჟი, ბეტონის ბოძი, ბეტონის ანაკრეფი (სოგიძ, ბეტონის კოჭი, ფუნდამენტის ბეტონის ბლოკი, ბეტონის ჭები, ბეტონის ფერმა, აგური, საკედლე პანელი, საკომუნიკაციო მილები, შიდა და მისასვლელი გზები ასფალტის საფარით, სარწყავი და სასმელი წყლის სისტემები და სხვაძ, დასაშლელი, ამორტიზებული საფრინველეები, დამხმარე ნაგებობების კომპლექსი.

მდებარე – კასპის რაიონის სოფელ მირიანში.

საწყისი გასაყიდი ფასი: 161233 ლარი, ბიჯი: 1500 ლარი.

**ლოტი №2**

მანქანა-იარაღების საწყობი: ქვა-ღორღის კედელი, საკედლე ბლოკი, აგური, გადახურვის აცეიდის შიფერი, ქვა-ღორღის გალავანი, ნარგავები (ქონება ამორტიზებულიაძ.

მდებარე – კასპის რაიონის სოფელ ქვემო ხანდაკში.

საწყისი გასაყიდი ფასი: 15295 ლარი, ბიჯი: 500 ლარი.

**ლოტი №3**

1ძ ა/მ კამაზ-53212, სახ. № ოაფ 912, გამოშვების თარიღი 1989 წელი, საწყისი გასაყიდი ფასი 2600 ლარი, ბიჯი 200 ლარი.

**ლოტი №4**

2ძ ა/მ კამაზ-5320, სახ. № ოიი 084, გამოშვების თარიღი 1989 წელი, საწყისი გასაყიდი ფასი – 400 ლარი, ბიჯი – 50 ლარი.

**ლოტი №5**

3ძ ა/მ ზილ-130-ან, სახ. № 70-37 გრგ, გამოშვების თარიღი 1982 წელი, საწყისი გასაყიდი ფასი – 750 ლარი, ბიჯი – 50 ლარი.

**ლოტი №6**

4ძ ა/მ ზილ-130-431412, სახ. № 21-39 გაიუ, გამოშვების თარიღი 1987 წელი, საწყისი გასაყიდი ფასი – 400 ლარი, ბიჯი – 50 ლარი.

**ლოტი №7**

5ძ ა/მ პაზ-3742, სახ. № 66-34 გაბ, გამოშვების თარიღი 1988 წელი, საწყისი გასაყიდი ფასი – 850 ლარი, ბიჯი – 50 ლარი.

**ლოტი №8**

6ძ ა/მ მაზ-130-5312, სახ. № 168 გრნ, გამოშვების თარიღი 1990 წელი, საწყისი გასაყიდი ფასი – 1050 ლარი, ბიჯი – 100 ლარი.

**ლოტი №9**

7ძ ავტობუსი კავზ-685, სახ. № 688 ოაფ, გამოშვების თარიღი 1985 წელი, საწყისი გასაყიდი ფასი – 600 ლარი, ბიჯი – 50 ლარი.

**ლოტი №10**

8ძ ა/მ ზილ-მაზი-555-4502, სახ. № 03-44, გამოშვების თარიღი 1987 წელი, საწყისი გასაყიდი ფასი – 900 ლარი, ბიჯი – 100 ლარი.

**ლოტი №11**

9ძ ა/მ საზ-35-07, სახ. № 494 ოან, გამოშვების თარიღი 1990 წელი, საწყისი გასაყიდი ფასი – 1100 ლარი, ბიჯი – 100 ლარი.

**ლოტი №12**

10ძ ა/მ გაზ-5312, სახ. № 02-77 გრე, გამოშვების თარიღი 1987 წელი, საწყისი გასაყიდი ფასი – 650 ლარი, ბიჯი – 50 ლარი.

**ლოტი №13**

11ძ ა/მ ზილ-130, სახ. № 099 ოაჯ, გამოშვების თარიღი 1991 წელი, საწყისი გასაყიდი ფასი – 675, ბიჯი – 50 ლარი.

**ლოტი №14**

12ძ ა/მ კამაზ-5410, სახ. № 916 ოაბ, გამოშვების თარიღი 1989 წელი, საწყისი გასაყიდი ფასი – 2600 ლარი, ბიჯი – 200 ლარი.

**ლოტი №15**

13ძ მისაბმელი 93801, გამოშვების თარიღი 1985 წელი, საწყისი გასაყიდი ფასი – 750 ლარი, ბიჯი – 50 ლარი.

**ლოტი №16**

14ძ მისაბმელი ოდეზი 9772, სახ. № ოა 072, გამოშვების თარიღი 1988 წელი, საწყისი გასაყიდი ფასი – 750 ლარი, ბიჯი – 50 ლარი.

**ლოტი №17**

15ძ მისაბმელი ალფა, სახ. № ოა 283, გამოშვების თარიღი 1988 წელი, საწყისი გასაყიდი ფასი – 800 ლარი, ბიჯი – 50 ლარი.

**ლოტი №18**

16ძ ტრაქტორი მტზ-80, გამოშვების თარიღი 1986 წელი, საწყისი გასაყიდი ფასი – 400 ლარი, ბიჯი – 50 ლარი.

**ლოტი №19**

17ძ ტრაქტორი ტ-16, გამოშვების თარიღი 1989 წელი, საწყისი გასაყიდი ფასი – 450 ლარი, ბიჯი – 50 ლარი.

**ლოტი №20**

18ძ ტრაქტორი ტ-150, გამოშვების თარიღი 1989 წელი, საწყისი გასაყიდი ფასი – 1000 ლარი, ბიჯი – 100 ლარი.

ქონება შეიძლება გაიყიდოს ერთიანად (ერთ ლოტადძ განაცხადის არსებობის შემთხვევაში, საწყისი გასაყიდი ფასი – 37 500 ლარი, ბიჯი – 3 000 ლარი.

„ბე“ განისაზღვრება საწყისი გასაყიდი ფასის 10 პროცენტის ოდენობით.

ანგარიშსწორების ანგარიში:

სს „საქართველოს სახალხო ბანკის“ კასპის ფილიალი, კოდი 220101478 შპს „მირიანის საბროილერო მეფრინველეობის ფაბრიკის“ გაკოტრების მმართველის საააუქციონო ანგარიში 36020140.

აუქციონი ჩატარდება ქ. კასპში, დ. აღმაშენებლის ქ. № 2-ში, 2008 წლის 5 თებერვალს 12 საათზე.

განცხადებები მიიღება 21.01.2008-დან 04.02.2008 წლამდე, 10-დან 17 საათამდე.

აუქციონში მონაწილეობის მსურველები რეგისტრაციისათვის წარმოადგენენ:

1. განცხადებას აუქციონში მონაწილეობის შესახებ;
2. „ბე“-ს შეტანის დამადასტურებელ საბანკო ქვითარს;
3. პირადობის მოწმობის ასლს;
4. ნოტარიულად დამოწმებულ მინდობილობას, თუ პირი მოქმედებს სხვისი სახელით;
5. იურიდიული პირები დამატებით წარმოადგენენ სადამფუძნებლო დოკუმენტების ნოტარიულად დამოწმებულ ასლებს და მმართველი ორგანოს გადაწყვეტილებას აუქციონში მონაწილეობის შესახებ.

აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია ქონების შესაძენად მაქსიმალური ფასის გადახდა.

დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად მოგვმართეთ მისამართზე: ქ. კასპი, დ. აღმაშენებლის ქ. №2, საკონტაქტო ტელეფონი: 893 399 911, გაკოტრების მმართველი გიორგი მერებაშვილი.

*გაკოტრების მმართველი*
**გიორგი მერებაშვილი**

---

**შპს „ასლან ჯგუფი“ აცხადებს ლიკვიდაციას. დაინტერესებულმა პირებმა გთხოვთ, მოგვმართოთ მისამართზე: მე-2 ნადიკვარის ქუჩა №12, ტელ: 72-07-63.**


№ 11. სამშაბათი, 22 იანვარი, 2008 წელი.

● მაინც, სად უნდა ჩააბაროთ, ვის უნდა ჩააბაროთ, ან, რა ფულად უნდა ჩააბაროთ ეს ნაქურდალი, ხელმრუდებო?!

№ 11. სამშაბათი, 22 იანვარი, 2008 წელი.

## ინფორმაცია

### რამდენი გაზი მოვიხმარეთ შარშან?

**ბუნებრივი აირის მოხმარება საქართველოში 2007 წელს დაახლოებით 1,7 მლრდ კბ.მ იყო. ამის შესახებ საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციიდან იტყობინებიან.**



მოხმარება, 2006 წელთან შედარებით, დაახლოებით 100 მილიონი კუბური მეტრით შემცირდა.

კომპანიების მიხედვით, მოხმარების მაჩვენებლები მნიშვნელოვნად შეცვლილი არ არის. ამასთან, თბილისის გაზგამანაწილებელი კომპანიის – „ყაზტრანსგაზ-თბილისის" მიერ გაზის მოხმარება დაახლოებით 420 მლნ კბ.მ იყო, როცა 2006 წელს ეს მაჩვენებელი 380 მლნ კბ.მ შეადგინა.

ნავთობისა და გაზის კორპორაციის ცნობით, შემცირებულია „მტკვარი-ენერგეტიკას" და „ენერჯი-ინვესტის" მიერ, ხოლო გაზრდილი – „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაციის" მიერ მოხმარებული გაზის მოცულობა.

### მილები გაიყინა, სწავლის დაწყება გადაიდო

**თბილისის 10-მდე სკოლაში გათბობის სისტემის დაზიანების გამო სასწავლო პროცესი არ განახლებულა.**

როგორც განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან იტყობინებიან, თბილისის რამდენიმე საჯარო სკოლაში სასწავლო პროცესის განახლება ერთი კვირით გადაიდო.

დედაქალაქის ათამდე სკოლაში გათბობის სისტემებში წყალი დარჩა, რომელიც ძლიერი ყინვის დროს გაიყინა. ამის გამო რამდენიმე სკოლის გათბობის სისტემა რეაბილიტაციას საჭიროებს.

სამინისტროს ინფორმაციით, ამ სკოლებში სწავლა 28 იანვარს განახლდება.

წელს ზამთრის არდადეგები ცუდი კლიმატური პირობების გამო ერთი კვირით გაგრძელდა.

### ცხინვალი კვლავ უწყლოდაა

**ცხინვალში წყლის კრიზისი გრძელდება. როგორც სააგენტო „რეს"-ი ქალაქის დე ფაქტო ადმინისტრაციის უფროსის მოადგილეზე ალან კოტაევზე დაყრდნობით იუწყება, ამ დროისთვის ცხინვალს სასმელი წყლის ნორმის მხოლოდ 20-30% მიეწოდება.**

ოსური მხარე კვლავ წყალსადენის თამარაშენი-კეხვის მონაკვეთის შემოწმებას მოითხოვს.

ცხინვალს სასმელი წყლის მიწოდება ახალი წლის დღეებში შეუწყდა. დე ფაქტო ხელისუფლება პრობლემის ხელოვნურად შექმნაში ქართულ მხარეს ადანაშაულებს.

**ინტერპრესნიუსი**

### საქართველოს მოსახლეობა მცირდება

**2025 წლისთვის საქართველოს მოსახლეობა 800 ათასით შემცირდება. ამის შესახებ ნათქვამია მსოფლიო ბანკის მოხსენებაში, რომელიც ყოფილი საბჭოთა ქვეყნების დემოგრაფიული ვითარების შესახებ მომზადდა. ამ საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტის პროგნოზით, საქართველო პოსტსაბჭოთა სივრცეში სავალალო მაჩვენებლით მეოთხე ადგილზეა. მოსახლეობის შემცირების თვალსაზრისით მას რუსეთი, ბელორუსი და უკრაინა უსწრებენ.**

მსოფლიო ბანკი 2025 წლისთვის რუსეთის მოსახლეობის შემცირებას 17,3 მილიონით, უკრაინის მოსახლეობას 11,8 მილიონით, ბელორუსის მოსახლეობას კი 1,4 მილიონით ვარაუდობს.

ლატვიის, ყაზახეთისა და მოლდოვას მოსახლეობა 300 ათასით შემცირდება, სომხეთის 200 ათასით, ესტონეთის კი 100 ათასით.

კვლევის შედეგების თანახმად, ერის გამრავლება ელით ისლამისტური აღმსარებლობის მქონე პოსტსაბჭოთა ქვეყნებს – ტაჯიკეთს (2,6 მილიონითძ, უზბეკეთს (9,3 მილიონითძ, თურქმენეთს (1,6 მილიონითძ, აზერბაიჯანს(1,5 მილიონითძ და ყირგიზეთს(3 მილიონითძ.

**ჯი-ეიჩ-ენი**

რეკლამა კოსტავას 12
„საქართველოს რესპუბლიკაში"
98-65-87; 899 32-85-76.

## მკვახე შექახილი




### უზნეობის ზეიმი

**„ძეგლიპარიები" ამჯერად მემორიალურ დაფებს მიადგნენ – რამდენიმე დღის წინათ, ნინო რამიშვილისა და ილიკო სუხიშვილის მემორიალურ დაფებზე ამ ლეგენდარული ადამიანების ბრინჯაოს პორტრეტები მოიპარეს!**

მაინც, სად უნდა ჩააბაროთ, ვის უნდა ჩააბაროთ, ან, რა ფულად უნდა ჩააბაროთ ეს ნაქურდალი, ხელმრუდებო?!

ვაი, ჩვენს პატრონს! ახლა დამიწყებენ, ყველგან არიან ასეთი არაკაცებიო, რაღა ჩვენი გიკვირსო... ჯერ ერთი, ყველამ თავისას მიხედოს, ჩვენთან კი, უზნეობა რომ ზეიმობს, ყოველი ფეხის ნაბიჯზე შეიძლება იგრძნო და დაინახო!

პოეტისა არ იყოს, მოდი და იცხოვრე ასეთ ქვეყანაში.

**ვილენ მარდალეიშვილი**

## ახალი სკოლები

### თქვენ ოღონდ ისწავლეთ!..

**როგორც განათლების და მეცნიერების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველოდან გვაცნობეს, მარნეულის რაიონის სოფელ ხიხანში აჭარიდან გადმოსახლებულ ბავშვებს სკოლის შენობა არ ჰქონდათ. წლეულს, იანვრიდან ისინი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის პირობებში ისწავლიან, ახალი სკოლა მეგაპროგრამა „იაკობ გოგებაშვილის" ფარგლებში აშენდა და 259158 ლარი დაჯდა.**

გორის რაიონის სოფელ აძვის საჯარო სკოლის 150-მდე მოსწავლე 1897 წელს აგებულ ხის შენობაში სწავლობდა. აგრეთვე სრულიად ამორტიზებული იყო ამავე რაიონის სოფელ ქვემო სობისის საჯარო სკოლის შენობაც, ახალი წლიდან ამ სოფლების მოსწავლეები თანამედროვე ინვენტარით, გათბობის ახალი სისტემით აღჭურვილი სკოლებში სწავლობენ. აძვისა და ქვემო სობისის საჯარო სკოლების მშენებლობაც მეგაპროგრამა „იაკობ გოგებაშვილის" ფარგლებში განხორციელდა და 1200 000-მდე დაჯდა.

ამავე პროგრამის ფარგლებში აშენდა ახალგორის რაიონში საძეგურის სკოლა. ამ სკოლის ბავშვები გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან ყოფილი კანტორის შენობაში სწავლობდნენ.

სრულიად აღდგა მცხეთის რაიონის სოფელ წეროვანის საჯარო სკოლა, რაზეც სამინისტრომ 548 500 ლარი ჩარიცხა.

2008 წლის იანვრიდან ამ სოფლების და მიმდებარე სოფლების 380 მოსწავლე განახლებულ სკოლებში ისწავლის.

**ნათელა ფაილოძე**

## ანეკდოტები

თუ კარგ ადამიანს მიჰყვები ცოლად, აბსოლუტურად არა აქვს მნიშვნელობა, რა ფერისაა მისი „მერსედესი".

* * *

ოქროს თევზი რომ დაგეჭირა, რას სთხოვდი?

– ფულს, – ამბობს ერთი.

– ჯანმრთელობას.

– მე კი მისგან „უხას" მოვამზადებდი.



– რატომ?

– როდესაც იგი ამას წინათ დავიჭირე, სიყვარული და მეგობრობა ვთხოვე. ამ ნაგავმა კი ისე გააკეთა, რომ ახლა ცისფერები მახვევენ თავს საკუთარ სიყვარულს, ქალები კი მეგობრობას მთავაზობენ.

* * *

– გუშინ სასაფლაოზე იყავი? – ეკითხება ერთი მოხუცი ქალი მეორეს.

– ვიყავი.

– მერე რად დაბრუნდი?

* * *

კითხულობს მიხო პოლიტოლოგიის სახელმძღვანელოს.

– ვერაფერი გამიგია, – ეუბნება ნიკას, – აქ წერია, რომ სახელმწიფოთა მეთაურებს ან ირჩევენ, ან ძალაუფლება მემკვიდრეობით გადაეცემათ. მაგალითად, აშშ. კლინტონი აირჩიეს. უმცროს ბუშს, მართალია, პირდაპირ მამისგან არ მიუღია ძალაუფლება, მაგრამ მაინც მემკვიდრეობით ერგო იგი. ახლა ვფიქრობ, არჩევნები ჰილარი კლინტონმა რომ მოიგოს... სახელმძღვანელოებში დაწერენ, რომ ძალაუფლება სქესობრივი გზით გადაეცემა?

## კადრი



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. № 12. ტ: 899 53-76-16

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი" (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნის" დამფუძნებლები
აიწყო და დაკაბადონდა გამომცემლობა „მაქსიმუმში". 95-11-92
იბეჭდება „კოლორში" (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი ალეკო ასლანიშვილი
98-65-87; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ქოზულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 899 74-90- 07

ინდექსი 66434

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.